DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Pitskhelauri, K. / ფიცხელაური, კ. / Пицхелаури, К. Н.
- Title: Works Of Kakheti Archaeological expedition Volume V / კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები ტომი V (გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები) / Труды Кахетской Археологической Експедиции том V (Археологические Памятники С. Гадрекили)
- Publication Date: 1982
- Publisher: Georgian National Academy of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_8664d01eba

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

Ჯ. ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲠᲘᲫᲔ
Ს. ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠ

ᲛᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲛᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ



„ᲛᲔᲡᲘᲠᲔᲠᲔᲯᲘ"

IVE
4074(5)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კომისია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

კ. ფიცხელაური, ც. მენაბდე

გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები

კასეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები

V

2012

გამომცემლობა „მეცნიერება"
თ ბ ი ლ ი ს ი
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

902.6(с41)
63.4(2Г)
902.6(47.922)
ф697

ნაშრომში პირველად სრულად ქვეყნდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელიც ძირითადად ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს ეკუთვნის. შესწავლილია შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის გორასამარხების კომპლექსები, შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის სამარხეული ინვენტარი და „ნასადგომარის“ მრავალიარუსიანი სამაროვნის მდიდარი მასალა, რომლის თარიღი ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრის ფარგლებში ექცევა. აქვე გამოკვლეულია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის რამდენიმე სამარხი „პირდაპირი მიწვების“ სამაროვნიდან და ანაკრები მასალა ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულის გორანამოსახლარიდან — „შლარტი ღელე“.

ნაშრომში მიღებულია რიგი მნიშვნელოვანი დასკვნებისა ცენტრალური ამიერკავკასიის ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრის მატერიალური კულტურის არსისა და მისი ქრონოლოგია-პერიოდიზაციის შესახებ.

4/83

The work deals with the complete scientific publication of the second millenium B. C. archaeological monuments from Gadrekily village (Gurjaany region).

During the digging the Iory canal, there were demaged two tombs which mere deted by the author back to the last centuries of MB Age.

At place Brima Tckaly there were discovered two morg tombs, whih belonded to the transitional period from MB Age to LB Age. This fact gave an opportunity to point out the existanse of deep relations among these two ages.

ფ 10602 / М607(06)—82 226—82 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ბოლო წლებში კახეთში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც, ძირითადად, ახალ მშენებლობებთან დაკავშირებით აწარმოებს საველე სამუშაოებს, განსაკუთრებით მრავლად გამოავლინა ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. საანგარიშო პერიოდში ამ დროის არაერთი ნამოსახლარი იქნა მიკვლეული, მაგრამ გათხრითი სამუშაოები, ძირითადად, სამაროვნებზე წარმოებდა, ვინაიდან არც ერთი ნამოსახლარი მშენებლობის სამოქმედო ზონაში არ დაფიქსირდა, თუმცა ექსპედიცია ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში დიდი გულისყურით იკვლევდა უძველეს ნამოსახლარებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ძეგლი ერთი სიღრმით არ შეგვისწავლია, განვიზრახეთ წინამდებარე ნაშრომში მოგვექცია ყველა ის არქეოლოგიური ობიექტი, რომელიც გურჯაანის რაიონის ამ ერთ-ერთი უძველესი სოფლის, გადრეკილის, მიდამოებში იქნა მიკვლეული.

კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1969 წელს გამოსული შრომების პირველი ტომით დაიწყო ძეგლების პუბლიკაცია. მაგრამ შემდეგ აღარ მოხერხდა დაკვეთით შრომების გამოცემა და მხოლოდ პირველი ტომის გამოსვლას ათი წლის თავზე გახდა შესაძლებელი არქეოლოგიური კომისიის ხაზით გამოცემულიყო ეს ნაშრომი. ნაშრომში განხილულია შუაბრინჯაოს ხანის რამდენიმე სამარხი: შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის განათხარი ერთი გორასამარხი ადგილ ბრიმა წყლიდან, გვიანბრინჯაოს ხანის რამდენიმე ნამოსახლარი ბორცვი სოფლის ტერიტორიიდან და სოფლის განაპირას მდებარე ორ დიდ სამაროვანზე — „ნასადგომარსა“ და „პირდაპირ მიწებზე“ — განათხარი მრავალრიცხოვანი მასალა.

ამგვარად, შევეცადეთ ნაშრომში შეძლებისდაგვარად სრულად მოგვეცა ჩვენთვის ცნობილი ყველა ძეგლი სოფ. გადრეკილიდან.

აღნიშნული ნაშრომის ძირითადი მიზანია ძეგლთა ამომწურავი პუბლიკაცია. ნაშრომის ამ განაკვეთის ავტორია ცისანა მენაბდე. კვლევით ნაწილს შედარებით მცირე ადგილი აქვს დათმობილი. მიუხედავად ამისა, საუბარი გვიხდება მეტად მნიშვნელოვან პრობლემებზე, ვინაიდან სწორედ ამ მასალის ნაწილი დაგვეხმარა შუასა და გვიან ბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის გამოყოფისას და მატერიალური კულტურის განვითარების ამ ორი ეტაპის გენეტიკური კავშირის დადგენისას. პერიოდიზაციის საკითხების გარდა, ამ მასალებმა საშუალება მოგვცა დაბეჯითებით გვესაუბრა გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ქრონოლოგიაზეც. მათ საფუძველზე ახლებურად იქნა დასმული მატერიალურ კულტურათა განვითარებისა და განვრცობის საკითხი მთელი ცენტრალური ამიერკავკასიის მასშტაბით და სხვ. ნაშრომის კვლევითი მონაკვეთი

დაწერილია კ. ფიცხელაურის მიერ და, ცხადია, თუ ნაშრომის ამ ნაწილში რაიმე უზუსტობაა, კრიტიკა მხოლოდ მისი მისამართით უნდა წარიმართოს.

მასალა აღნუსხულია კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ინდექსაციით. პირველი ორი ციფრი — 06-ექსპედიციის ნომერია, შემდეგი სამი—412—ძეგლის ნომერი. შემდეგ კი ნივთების გამჭოლი ნუმერაცია არის ძეგლების მიხედვით, ცალკ-ცალკე — შუაბრინჯაოს ხანის სამარხების ინვენტარი, გარდამავალი ხანის სამარხების ინვენტარი და გადრეკილის სამაროვნების ინვენტარი. წიგნში აღწერილი მასალა დამუშავების შემდეგ მთლიანად გადაეცა გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და დიდი მადლობით მოვიხსენიოთ კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცის ყველა ის თანამშრომელი, რომელთაც თავდადებული შრომით — საველე კვლევა-ძიების დროს თუ მასალის კამერალური დამუშავების პროცესში — ხელი შეუწყვეს ამ ნაშრომის გამოსაცემად მოძზადებას.

საილუსტრაციო ნაწილის მომზადების დროს უდიდესი მნიშვნელობის სამუშაოები ჩაატარეს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მხატვარმა ანასტასია ამბრიაშვილმა და არქიტექტორმა გელა ჭიჭინაძემ.

მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ აგრეთვე კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის რესტავრატორები მაყვალა საკარული და თენგიზ ლომიევი, რომელთა მუყაითმა და მაღალკვალიფიციურმა შრომამ შესაძლებლობა მოგვცა დროულად მოგვეხდინა მასალის ფიქსაცია და მეცნიერული დამუშავება.

შუაბრინჯაოს ხანის სამარხები

სოფ. გადრეკილის სამხრეთით, გ. გეთიაშვილის კარმიდამოდან სულ რაღაც 300 — 400 მეტრის მოცილებით, სარწყავი არხის მილებისათვის მიწის გაჭრის დროს, ორი მეტრის სიღრმეზე, არხის გაყოლებით, ორი სამარხი აღმოჩნდა, დაზიანებული. ორივე შემთხვევაში შემორჩენილი იყო სამარხი ორმოს მცირე, ჩრდილო ნაწილი, შიგ ჩაზვინული მიწითა და ქვებით. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, როდესაც ეს მიდამოები ჯერ კიდევ არ იყო ათვისებული, რამდენიმე ადგილას რიყის ქვის ზვინულები ჰქონდათ შენიშნული, რომლებიც შემდგომ სამშენებლო მასალად გამოუყენებია სოფელს. თუ ამ მონაცემებს გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ქვაყრილიანი ყორღანები ყოფილა. მით უმეტეს, რომ აქ გათხრილი ორი სამარხი ორმოს ნაშთში ჩაცვენილი რიყის ქვა აღმოჩნდა დიდი რაოდენობით.

სოფ. გადრეკილის ამ უბანში აღმოჩენილი სავარაუდო ორმოიანი გორა-სამარხების ნაშთებში მხოლოდ თიხის ჭურჭელი იყო გადარჩენილი.

№ 1 გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი ს (ტაბ. II-6) შემორჩენილ ორმოში გამოვლინდა ექვსი თიხის ჭურჭელი (ტაბ. II-1-5) და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

1. ჯამი ფრაგმენტირებული. სილანარევი წმინდა თიხისა, თეთრი და უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცი ფხვიერი, მისი გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მოშავო რუხი. კარგად მოგლუვებული ნაპრიალები ზედაპირითა და შიდაპირით. ჭურჭელს ჰქონია ფართო, ოდნავ მოყრილი პირი, მომრგვალებული მხარი, დაბალქუსლიანი ძირი. მხარი შემკული აქვს ორ კონცენტრულ ამოღარულ ზოლს შორის დატანილი ერთიმეორის საპირისპიროდ მიმართული ამოღარული ხაზების ჯგუფებით, რომლებიც ქმნიან წვერით ქვემოთ მიმართულ სამკუთხედებს. ამ სამკუთხედებს შორის არე შევსებულია პრიალა ირიბი ხაზებით.

2. ჯამი ფრაგმენტირებული. სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი ფხვიერი, მისი გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი. შუაგული — მოშავო რუხი. კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ზედაპირითა და შიდაპირით. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ მოყრილი პირი, მომრგვალებული მხარი, დაბალქუსლიანი ძირი. მხარი შემკულია ორ კონცენტრულ ამოღარულ ზოლს შორის ჩასმული ერთიმეორის საპირისპიროდ მიმართული წმინდა სავარცხლისებილისებული მოგრძო ნაჭდევების ჯგუფებით, რომლებიც ქმნიან წვერით ქვემოთ მიმართულ სამკუთხედებს.

3. ჯამი ფრაგმენტირებული. კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი ფხვიერი. მისი გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოწაბლისფრო-ნაცრისფერი. კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ზედაპირითა და შიდაპირით. ჭურჭელს აქვს ფართო, ოდნავ მოყრილი პირი, მომრგვალებული მხარი, მკვეთრად დაქანებული კა-

ლთა და დაბალქუსლიანი ძირი. მხარი შემკულია ორ კონცენტრულ ამოღარულ ზოლს შორის დატანილი ერთიმეორის საპირისპიროდ დახრილი პრიალა ხაზების ჯგუფებით.

4. ჯამი სფერული, ფრაგმენტირებული. სილანარევი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი ფხვიერი, მისი გარე და შიდაპირის თხელი შრე—შავი, შუაგული—მოყავისფრო. კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ზედაპირით. ჭურჭელს აქვს ოდნავ მოყრილი პირი, პირს გარედან ღარით. შომრგვალებული მხარი, მკვეთრად დაქანებული კალთა და დაბალქუსლიანი ძირი.

5. ჭოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა, უხეშკეციანი, მოყავისფრო. ხაოიანი. ფართო პირით, ზემოდან მომრგვალებული ბაკოთი. ძალზე დაბალი ყელით, გამობერილი მუცლითა და ვიწრო ბრტყელი ძირით. ჭურჭელს ყელის ძირში ერთი ამოღარული ხაზი შემოუყვება, მის ქვემოთ მხარეზე კი ერთი ამოღარული ტეხილი ხაზი. კორპუსის ქვედა ნაწილს ძერწვის დროს მოსწორების კვალი ეტყობა.

6. თიხის ჭურჭლის ნატეხები. კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცი—ფხვიერი, მისი გარე და შიდაპირის თხელი შრე—შავი, შუაგული — წაბლისფერი. კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ზედაპირითა და შიდაპირით. ერთ ნატეხზე სუსტადაა გამოსახული პრიალა ბადური სახეები.

7. ძვლები წვრილფეხა საქონლის.

№ 2. გორასამარხის შემორჩენილ ნაშთში მხოლოდ თიხის ერთი ჭურჭელი აღმოჩნდა. (ტაბ. II-6).

1. ჭოთნის გვერდის ნატეხები. სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი ფხვიერია და სარჩულიანი. ჭურჭლის ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული და ნაპრიალები. მხარსა და მუცელზე ნაჭდევია წვერით ქვევით მიმართული სამკუთხედები, რომლებიც შედგენილია მოკლე გრეხილი ხაზების ჰორიზონტალური რიგებისაგან.

დასახელებული კომპლექსების ქრონოლოგიური კუთვნილების განსაზღვრა ხერხდება თიხის ჭურჭლის ფორმებისა და შემკობის მიხედვით. წვერდაშვებული სამკუთხედებით ჭურჭლის მხრის შემკობა დამახასიათებელია უკვე ადრებრინჯაოს ხანის დასასრულიდან ე. წ. ბედენური კულტურიდან (1, ტაბ. 44, 45, 47, 48). ხშირია ეს მოტივი თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზე 1, ტაბ. 61, 62, 63, 68, 69, 70, 84, 85, 86, 90, 96, 108). ცენტრალური ამიერკავკასიის ძეგლებისათვის დამახასიათებელი რჩება ძვ. წ. 1 ათასწლეულის ჩათვლით, მაგრამ იცვლება დატანის ტექნიკა და თვით ორნამენტის მოხაზულობა. ამ დეტალებით შეიძლება შემკულობის ამ სახეობაში ეტაპობრივი საფეხურების გამოყოფა.

გადრეკილის დასახელებულ სამარხებში აღმოჩენილი ტვიფრით დატანილი სამკუთხედების ზუსტი პროტოტიპები ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის სულ ბოლო ეტაპის ძეგლებზე (წაღვლის კომპლექსები 2, ტაბ. XXXVI; თრელი, სამარხი № 43, 53;) 3. ნახ. 19, 23 და სხვა). ეს ორნამენტი დამახასიათებელი რჩება შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი ეტაპის კომპლექსებისათვის თრელის № 74 სამარხი (3. ნახ. 28), ბრიმა წყლის, ნაომარი გორის, ზემო ბოდბის კომპლექსები (4, ტაბ. VI, VII, VIII, IX) და

სხვა. ტიპიურია შუაბრინჯაოს ხანისათვის ჯამების სფერული ფორმებიც. შუაბრინჯაოს ხანას ახასიათებს დასახელებული თიხის ჭურჭლების ფხვიერი კეციც. შედარებით მოგვიანო იერი აქვს № 1 სამარხში აღმოჩენილ № 5 ჭურჭელს. იგი წმინდა და ფხვიერი კეცით ისევ შუაბრინჯაოს ხანის უხეში, ე. წ. სამზარეულო კერამიკის მსგავსია, მაგრამ მხარს ირგვლივ შემოყოლებული ამოღარული ტალღური ტეხილი ხაზი ამ კომპლექსს უკვე გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკის ელფერს აძლევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ორივე კომპლექსი, რა თქმა უნდა, ტიპიური შუაბრინჯაოს ხანისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ შუაბრინჯაოს სულ ფინალური საფეხურის კუთვნილი უნდა იყოს და თანადროული ისეთი ძეგლებისა, როგორიცაა წაღვლის კომპლექსების ნაწილი, თრელის № 53 სამარხი და სხვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შუაბრინჯაოს ხანის ამ ეტაპის კერამიკა მეტად ღარიბულადაა შემკული წინარე საფეხურის ძეგლებთან შედარებით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გადრეკილის ამ კომპლექსების თანადროული კერამიკა საოცარ მსგავსებას იჩენს მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობის ჩანს ისიც, რომ ბოლო აღმოჩენების მიხედვით ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების თრიალეთურის იდენტური მასალა გამოვლინდა როგორც კახეთში, ისე შიდა ქართლში (თიხის ჭურჭელი სადუღადან და ბერიკლდეებიდან, რომელზედაც გამოწვით წითელი ფრეებია დატანილი, სხვადასხვა შავპრიალა თიხის ჭურჭელი, ოქროს სამკაული, ბრინჯაოს ნივთები და სხვა). რაც ცხადია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ მოსაზრების სისწორეს, რომლის მიხედვით მთელ აღმოსავლეთ საქართველოში შიდა ქართლის ჩათვლით, შუაბრინჯაოს ხანაში ერთი — თრიალეთური კულტურაა გავრცელებული.

შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ხანის სამარხები გრიმა წყლიდან

1972 წელს სოფ. გადრეკილის დასავლეთით, მთებს შორის მოქცეულ დაბლობში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბრიმა წყლის“ სახელწოდებით მოიხსენიებს, კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია გორასამარხს. გორასამარხის ყრილის დიამეტრი 20 მეტრია. სიმაღლე ცენტრალურ ნაწილში — 1,50 მეტრი. სამარხის ყრილი მიწის ზვინულს წარმოადგენს, გარშემო რიყის დიდი ქვების წრით. ყრილი ზემოდან ქვის ჯავშნითაა მოგებული, რაც ალაზნის ველის ადრებრინჯაოს ხანის დასასრულის გორასამარხების კონსტრუქციას მოგვაგონებს (ტაბ. III).

გორასამარხის ყრილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, ორი ორმოსამარხი აღმოჩნდა (ტაბ. III). ორივე სამარხი ოთხკუთხია, სიგრძივ დამხრობილი SW სამხრეთით მდებარე სამარხი ორმოს (პირობითად № 1) სიგრძეა 2 მეტრი, სიგანე—1,06 მეტრი, სიღრმე — 1,20 მეტრი. აღნიშნული სამარხის ჩრდილოეთით მისგან 0,15 მ დაშორებით მეორე (№ 2) სამარხია ამოჭრილი. მისი ფსკერი № 1 სამარხის ფსკერზე მაღლა მდებარეობს სამოციოდე სანტიმეტრით. ცხადია, ორივე სამარხი ორმო ერთდროულად რომ ამოეჭრათ ისინი ერთ სიღრმეზე

იქნებოდნენ ამოღებული და დონეებში არსებული სხვაობაც არ იქნებოდა. ამგვარად, ერთ-ერთი სამარხი შედარებით გვიანაა ჩაშვებული. მიუხედავად ამისა, როგორც ჩვენთ დავინახეთ, ორივე სამარხი დაახლოებით თანადროულია. მათ შორის № 2 სამარხის ინვენტარი შედარებით ადრეული უნდა იყოს.

ს ა მ ა რ ხ ი № 1 (ტაბ. IV 1-6). სამარხში ერთი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა, დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით N

მიცვალებულის ფეხთით გაიწმინდა რჩიანი წვრილფეხა საქონლის მთლიანი ჩონჩხი, რომელზეც მაღალფეხიანი მცირე სასმისი (№ 5) იყო დამხობილი. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში თიხის ჭურჭლის ნახევარი იდო (№ 2). მიცვალებულის თავის უკან ახალგაზრდა მსხვილფეხა საქონლის კიდურის ერთი ძვალი გამოვლინდა. იმავე ინდივიდის თავი, ბეჭი და სხვა ძვლები ეწყო სამარხის ჩრდილო კედლის გასწვრივ. მიცვალებულის პირისახის წინ უხეშკეციანი დიდი ქვაბჭოთანა იყო ჩამტვრეული (№ 6), იქვე შავპრიალა ჯამი იდო (№ 1), სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში კი პირვიწრო და მუცელგანიერი, შავპრიალა ჭურჭელი იყო ჩაშლილი (№ 3), რომელსაც ნაპრიალები ორნამენტის გარდა აქა-იქ თეთრი საღებავით მოხატვის ნიშნები ჰქონდა. მიცვალებულის მენჯთან დერგის რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა (№ 4).

1. ჯამი ფრაგმენტირებული. კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ზედაპირით. ჭურჭელს ჰქონია ფართო, ოდნავ მოყრილი, მრგვალბაკოიანი პირი და მომრგვალებული წიბოიანი მხარი.

2. ქვაბჭოთანა ფრაგმენტირებული. წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე-მოშავო, შუაგული-წაბლისფერი. ოდნავ მოგლუვებული ზედაპირით. ჭურჭელს ჰქონია ფართო, დაკუთხული პირი, პირს ზემოდან ღარით, ძალზე დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ბრტყელი ძირი. ყელი შემკულია ერთმანეთზე გადაბმული ნაჭდევების ერთი რიგით, მხარი-რელიეფური ზოლებითა და ირიბი ფრჩხილისეული ნაჭდევებით, ძირის კიდე-ასევე ირიბი ნაჭდევებით.

3. დერგი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი-შავი, წაბლისფერი თხელი სარჩულით. კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ზედაპირით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, მრგვალბაკოიანი ვიწრო პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი. მხარზე წნევით დატანილია პრიალა წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედების ერთი რიგი და კონცენტრული ღრმა ღარები, მუცელზე—რელიეფურ ზოლებს შორის პრიალა ბადური და წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედების ჯგუფები, სიმაღლე — 30 სმ; პირის დიამეტრი — 13 სმ; მუცლის დიამეტრი — 33 სმ; ძირის დიამეტრი — 12 სმ.

4. დერგი, პირთან ნაკლული. კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი შავი, წაბლისფერი თხელი სარჩულით. კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ზედაპირით. ჭურჭელს აქვს დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, რომელიც ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება და მთავრდება ბრტყელი ძირით. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ღრმა ღარები. სიმაღლე — 32 სმ; მუცლის დიამეტრი — 30 სმ; ძირის დიამეტრი — 13 სმ.

5. სასმისი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი შავი. კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ზედაპირით. ჭურჭელს აქვს ფართო, მრგვალბაკოიანი პირი, ბიკონუსური ტანი და ღრუჭუსლიანი ძირი. სიმაღლე — 10 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; მუცლის დიამეტრი — 14 სმ.

6. ქვაბქოთანა ფრაგმენტირებული. წვრილმარცვლოვანი თიხისა, უხეშკეციანი. გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი, მოგლუვებული ზედაპირით. ჭურჭელს ჰქონია ფართო, გადაშლილი, მრგვალბაკოიანი პირი, ზემოდან ღარით. დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი. მხარი შემკულია ტეხილი და ირიბი მოკლე ნაჭდევების თითო რიგით. მთელი ზედაპირი დასერილია წმინდა ჩარხისეული ღარებით. საქონლის ძვლები.

სამარხი № 2 (ტაბ. VI, 7-10). სამარხის ფსკერზე დაკრძალული აღმოჩნდა ერთი მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი თავით ჩრდილოეთით.

სამარხის ჩრდილო კედლის გაყოლებით წვრილფენა საქონლის ძვლები გამოვლინდა. ამავე კედლის აღმოსავლეთ ნაწილში თიხის ორი ჭურჭელი იდგა (№ 9 და № 10). მიცვალებულის გულმკერდის წინ, სამარხის დასავლეთ კედლის ძირში თიხის უხეშკეციანი, ქვაბქოთნის ფრაგმენტები ეწყო (№ 7), მიცვალებულის მუხლთან კი მაღალფეხიანი მცირე სასმისი იდო (№ 8).

სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი შემდეგი სახისაა:

7. ქვაბქოთანა ფრაგმენტირებული წვრილმარცვლოვანი თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. უხეშკეციანი. მორუხო-მოყავისფრო, ზედაპირზე შავი ლაქებით. ხორკლიანი. ჭურჭელს ჰქონია ფართო, ნაპირებგადმოკეცილი პირი, პირს ზემოდან ღარით. ძალზე დაბალი ყელი, მომრგვალებული მუცელი. ყელზე გარშემოუყვება ამოღარული ტეხილი ხაზი, მხარზე — კონცენტრული ღარები და მათზე დატანილი ირიბი ნაჭდევების ერთი რიგი, მუცელზე კი რელიეფურ ორ ზოლზე დატანილი ირიბი ნაჭდევების სარტყელი.

8. სასმისი № 1 სამარხში აღმოჩენილი № 5 თიხის ჭურჭლის იდენტური.

9. ქილა. პირთან ნაკლული. კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი. კარგად მოგლუვებული, სუსტად ნაპრიალები ზედაპირით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, პირს გარედან სუსტად გამოსახული ფართო ღარი გარშემოუყვება. დაბალი კონუსური ყელი, განზე გაზიდული მხარი, გამობერილი მუცელი ძირისკენ თანდათან ვიწროვდება და გადადის ვიწრო ბრტყელ ძირში. ყელის ძირზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ორი ხაზი, მუცელზე კი — ერთი. სიმაღლე — 18 სმ; პირის დიამეტრი — 12 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

10. ქილა, პირთან ნაკლული. კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი. კარგად მოგლუვებული, სუსტად ნაპრიალები ზედაპირით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, ძალზე გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება და მთავრდება ვიწრო, ბრტყელი ძირით. ჭურჭელს ყელის ძირში გარშემოუყვება სუსტად გამოსახული განიერი ღარი, მხარზე სავარცხლის კბილის შტამპით შესრულებული ჰორიზონტალური ხაზების სამკუთხედებია დატანილი, რომელთაგანაც წვე-

რით ზოგი ზემოთაა მიმართული, ზოგი — ქვემოთ. სიმაღლე 20 სმ, პირის დიამეტრი — 6 სმ; მუცლის დიამეტრი — 25 სმ.

ბრიმა წყლის სამარხები ჩვენს ბოლო მონოგრაფიაში დაწვრილებით არის განხილული და დათარიღებული (4. ტაბ. X, XI 1-4, გვ. 64—78). აქ მხოლოდ ერთ დეტალზე მინდა შევჩერდეთ. როგორც დავინახეთ, № 1 სამარხში აღმოჩენილ მესამე ჭურჭელს გამოწვის შემდეგ თეთრი საღებავით მოხატვის ნიშნები ჰქონდა. ჩვენ ადრე ვწერდით, რომ შემკობის ეს ტექნიკა ჩნდება სწორედ შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭელზე და შემდგომ გვიანბრინჯაოს ხანის მხოლოდ ადრეულ მასალებს ახასიათებს, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან კი ცენტრალურ ამიერკავკასიაში ამგვარად მოხატული ჭურჭელი აღარ გვხვდება. 1981 წელს ადგილ სადუღაზე გათხრილ № 4 სამარხში გამოწვის შემდეგ თეთრად მოხატული ჭურჭელი შევხვდა, რაც იმ ფაქტზე მიგვითითებს, რომ შემკობის ამ ტრადიციას უკვე თრიალეთური კულტურის წიაღში ეყრება საფუძველი.

სოფ. გადრეკილის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები

„შლარტი ღელეს“ ნამოსახლარი (ტაბ. V)

სოფ. გადრეკილის დასავლეთით, ორიოდე კილომეტრზე, „შლარტი ღელეს“ მარცხენა ნაპირზე, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობამ დააზიანა ნამოსახლარი ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

ნამოსახლარი ბუნებრივი (?) თავბრტყელი გორაა. გარშემო თხრილი ჰქონია შემოვლებული. ნამოსახლარის აღმოსავლეთით, 300-ოდე მეტრის მანძილზე, ადგილ „პირდაპირ მიწებზე“ არხმა ორმოსამარხები დააზიანა, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ ეს სამაროვანი ქრონოლოგიურად „შლარტი ღელეს“ ნამოსახლარს არ ეკუთვნის.

„შლარტი ღელეს“ ნამოსახლარი ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, იქ სადაც იგი არხითაა დაზიანებული, ჭრილში მოჩანს 1 მეტრის სიმძლავრის კულტურული ფენა, რომელშიც რაიმე დონეების დაფიქრება არ მოხერხდა. კულტურული ფენის ჭრილიდან საკმაო რაოდენობით შეგროვდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს დამწვარი ბზენარევი თიხის შელესილობის ნაშთების სიმრავლე, რაც აშკარად სარლასტით ნაგებ შენობათა არსებობაზე მიგვითითებს.

თიხის ჭურჭლის ნაშთებს შორის ყურადღებას იქცევს რამდენიმე ფრაგმენტი. ისინი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, კარგადაა გამომწვარი, წითლად ან მორუხო-მოწაბლისფროდ. კეცი მტკიცეა კარგად შემცხვარი. ორი მათგანი ნაპრიალებია კონცენტრული პარალელური ხაზებით, ერთი კი პრიალა ვერტიკალური ხაზებითაა შემკული.

თიხის ჭურჭლის ამგვარი კეცი იორ-ალაზნის აუზისათვის დამახასიათებელ კერამიკაში მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ჩნდება. ამავე თარიღზე მიუთითებს ნაპრიალებ აგურისფერ ზედაპირზე ნაპრიალები ხაზები. ამგვარი შემკულობა მხოლოდ ქვემო ქედის სახელოსნოზე მოპოვებულ თიხის ჭუ-

რჭელს ახასიათებს, რომელიც საკმაოდ სარწმუნოდ ასევე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებითაა დათარიღებული.

„შლარტი ღელეს“ ნამოსახლარზე შეკრებილი თიხის ჭურჭლის ორმოცდაათი პროცენტის კეცი კარგადაა შემცხვარი და წითლად-აგურისფრადაა გამომწვარი, რაც ისევ ამ თარიღს უფრო უჭერს მხარს. თუმცა აქვე აიკრიბა თიხის ჭურჭლის პირის, მხრისა და ძირის უხეშკეციანი ფრაგმენტები, რომლებიც როგორც ფორმებით. ისე ორნამენტით სრულიად ადვილად ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის ან I ათასწლეულის დასაწყისის მასალებში პოულობს პარალელებს. ეს არის მეტად უხეშად ნაძერწი შავლეგაზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი, რომლის ძირის კიდე ირიბი ნაჭდევებითაა შემკული. თიხის ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, რომლებიც ღრმა კონცენტრული ხაზებითაა დასერილი. ასევე არქაული ჩანს რამდენიმე პირ-გვერდის ფრაგმენტი. რომელთა ზედაპირი კონცენტრული ხაზებითა და ღრმა ირიბი, ე. წ. „ფრჩხილისეული“ ნაჭდევებითაა შემკული. ნამოსახლარზე ამავე დროის ფენების არსებობაზე მიგვითითებს აგრეთვე უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის პირის რამდენიმე კარგად დაკუთხული ბაკო და სულ მცირე ჯამის ზედაპირნაპრიალები პირ-გვერდის ფრაგმენტი.

საინტერესოა მეტად უხეში თიხისაგან დამზადებული ერთადერთი ფრაგმენტი. მისი კეცი მორუხო-მოწაბლისფროა და დიდი რაოდენობით აქვს შერეული წვრილად დაფქვილი ობსიდიანი. მსგავსი ფრაგმენტები დიდი რაოდენობით შეიკრიბა ივრის პირეთში მდებარე, ე. წ. „შვინდიანყელის“ ნამოსახლარზე. ამ ფრაგმენტების თარიღის დადგენა ჯერჯერობით არ მოხერხდა.

ამგვარად, სრულიად აშკარად „„„შლარტი ღელეს“ ნამოსახლარის თარიღი, ანაკრები მასალის მიხედვით უნდა განისაზღვროს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის პირველი ნახევრით. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქ თითქოს დადასტურდა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების მასალების არსებობაც.

„შლარტი ღელეს“ ნამოსახლარს სამხრეთ-აღმოსავლეთით დაჰრეცი ფერდი ეკვრის, რომელზედაც შეიკრიბა კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის ფრაგმენტები. მეტად არსებითია, რომ მათი კეცი შუაბრინჯაოს, შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდისა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლის მსგავსად ფხვიერკეციანია, შავადაა გამომწვარი, ზოგ შემთხვევაში მორუხო თხელი სარჩულით და უმეტესად ზედაპირი კარგად აქვს ნაპრიალები. ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ უფრო ადრეული ნამოსახლარი აქ თითქოს მთის ფერდზეა განლაგებული, მოგვიანო კი გამაგრებულ ბორცვზეა დაფიქსირებული.

ამგვარად, კიდევ ერთ მაგალითზე დასტურდება ჩვენი თეორია იმის შესახებ, რომ იორ-ალაზნის რეგიონში გამაგრებულ ბორცვებზე დასახლება მხოლოდ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს ჩნდება. უფრო ადრეული ნამოსახლარები კი ყოველთვის მთის ფერდებზე უნდა ვეძებოთ როგორც წესი, ამ გვიანდელ ნამოსახლარ ბორცვებთან შეწყვილებული. თუ ყველაფერი ისეა როგორც ჩვენ წარმოვსახეთ, მაშინ ვფიქრობთ ნაპოვნი გვაქვს ფერდზე მდებარე გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ნამოსახლარის სამაროვანიც. ასეთად მიგვაჩნია ადგილ „პირდაპირ მიწებზე“ გათხრილი რამდენიმე სამარხი, რომელიც „შლარტი ღელეს“ იმ ტერიტორიიდან, სადაც ჩვენ ადრეული თიხის ჭურ-

ლის ფრაგმენტები შევაგროვეთ აღმოსავლეთით სულ რაღაც ორასიოდე მეტრითაა დაცილებული.

„ნასადგომარის“ გვიანბრინჯაოს ხანის მრავალფენიანი სამაროვნის დასავლეთით ერთ-ერთ განზიდულ მაღალ ბორცვზე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის მასალები შეიკრიბა. იგი ჩვენ სამაროვნის მხოლოდ ზედა, ამჟამად განადგურებული, ფენების სამოსახლოდ შეიძლება მივიჩნიოთ. სამაროვნის დასავლეთით და ჩრდილოეთით ქვედა ფენების შესაბამისი კულტურული ფენების აღმოჩენა მიუხედავად მიზნობრივი ძიებისა არ მოხერხდა. ერთადერთი შესაძლებლობა ის დარჩა, რომ იგი ხევის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა, რომელიც ამჟამად მჭიდროდაა დასახლებული სოფ. გადრეკილის მოსახლეობის მიერ. ჩვენ ეს ფართობიც მოვიხილეთ, მაგრამ ჩვენმა ამ ცდამ შედეგი არ გამოიღო.

„ნასადგომარის“ გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი

1969 წლის შემოდგომაზე, გურჯაანის რაიონის სოფ. გადრეკილის მკვიდრმა, ამჟამად ქ. თბილისის მცხოვრებმა მარლენ გიორგის ძე გეთიაშვილმა (ქ. თბილისი, I გუჯარეთის ქ. № 22) ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიტანა სოფ. გადრეკილში (ამჟამად მახარაძე) ნაპოვნი ბრინჯაოს 5 მინიატურული ბაყაყი-საკიდი, 6 ფრინველი, 7 ღილი, 3 ბეჭედი, სარდიონის 2 მძივი. მისი ცნობით, ეს მასალა გამოვლენილია ხევის ფლატეში ადამიანის ძვლებთან და თიხის ჭურჭელთან ერთად.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგის პატივცემულ ალექსანდრე ჯავახიშვილის თავაზიანი წინადადებით, როგორც კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, მე დამევალა აღმოჩენის ადგილის შემოწმება.

ჩვენ დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ სოფ. გადრეკილში. გამოირკვა, რომ სოფლის მკვიდრს გიორგი გეთიაშვილს და მის ორ ვაჟს მარლენსა და მერაბს მიუგნიათ გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნისათვის. პირველაღმომჩენთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფლატეში რამდენიმე ნივთის პოვნის შემდეგ, არ გააგრძელეს თხრა, მიწა მიაყარეს აღმოჩენის ადგილს და სასწრაფოდ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს აცნობეს აღმოჩენის შესახებ. გ. გეთიაშვილის ოჯახი შემდგომი სამუშაოების დროსაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში და ყოველმხრივ ეხმარებოდა ექსპედიციას საველე სამუშაოების წარმოებაში, რისთვისაც ისინი მისაბაძნი არიან ყველასათვის და უდიდეს მადლობას იმსახურებენ ექსპედიციის ყველა წევრისაგან.

1969 წლის შემოდგომაზე მოვიხილეთ აღმოჩენის ადგილი, სასწრაფოდ გავთხარეთ სამარხი, რომელშიც ბრინჯაოს ნივთები იყო აღმოჩენილი და იგი პირობითად პირველი ნომრით აღვნიშნეთ[1]. ერთდროულად დადგინდა, რომ ამ

---

[1] ეს ნივთები და სამარხის საბოლოო გათხრის შედეგად მოპოვარი მთელი მასალა ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის ექსპოზიციაშია გამოფენილი.

ტერიტორიაზე 1970 წლიდან უნდა დაწყებულიყო მიწის ფართო სამუშაოები სარწყავი სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ვინაიდან სამაროვანს მშენებელთა მიერ, კერძოდ საქართველოს წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს ზემო სამგორის სარწყავი სამუშაოების გამო ელოდა დაზიანება და განადგურება, საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის № 3898 დადგენილების თანახმად დაიდო ხელშეკრულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და მშენებარე ორგანიზაციას შორის, რის შედეგადაც მშენებარე ორგანიზაციამ დააფინანსა სამაროვნის, არქეოლოგიური შესწავლა, სამაროვნის ტერიტორიის მშენებლობისათვის განთავისუფლების მიზნით. ამის საფუძველზე ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას დაეკისრა გათხრითი სამუშაოების ჩატარება აღნიშნულ ტერიტორიაზე და მისი ათვისება უმოკლეს ვადებში— 1970 წლის განმავლობაში, რის გამოც ექსპედიცია ველზე მუშაობდა ექვსი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ 1 ივნისიდან 1 დეკემბრამდე.

შესწავლამ ცხადყო, რომ სოფ. გადრეკილის SW 1 კმ-ის მანძილზე, ხვინჭიანთ ხევის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „ნასადგომარზე“, ხევის ფლატეში 700-ოდე მეტრის მანძილზე სხვადასხვა სიღრმეზე ორმოსამარხები ჩნდება.

ჩვენ შევეცადეთ კვლევის სფეროში თითქმის მთელი სამაროვანი მოგვექცია (ტაბ. VI$_1$). პირველ რიგში გავავლეთ თხრილები ხვინჭიანთ ხევის მარჯვენა ნაპირის ფლატის პირას, რომელიც ძლიერ იმეწყრება და სადაც დაზიანებული ორმოსამარხები ჩანდა. ერთი თხრილი გავლებულ იქნა „ნასადგომარის“ ველის ცენტრალურ ნაწილში, სწორედ იმ ზოლზე, სადაც მშენებლებმა პირველად დაგეგმეს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მილების ჩასაწყობი ტრასა. თხრილის აღმოსავლეთი ნაწილი თითქმის ხვინჭიანთ ხევის მარჯვენა ნაპირამდე მივიდა. თხრილი სიგრძივ 60 მეტრს უდრის, მის დასავლეთ ნაწილში სამარხები უკვე აღარ ჩნდება[2]. თავდაპირველად თხრილის სიგანე 3 მეტრს უდრიდა, მაგრამ შემდგომ მისი ცენტრალური ნაწილი გავაფართოვეთ, ვინაიდან აქ სამარხები განსაკუთრებით მჭიდროდ იყო განლაგებული და იგი სამაროვნის შესასწავლ მთავარ ფართობად იქცა (ტაბ. VI$_2$).

დასახელებული ფართობი, ისევე როგორც ადგილ „ნასადგომარის“ მთელი ტერიტორია გომბორის ქედის სამხრეთი ფერდის სულ ქვედა ნაწილშია განლაგებული და სამხრეთით ონდავ დაქანებულ ვაკეს წარმოადგენს. გათხრების მთავარი ფართობის ცენტრალურ ნაწილში მცირედ შემაღლებული ადგილი იყო თავდაპირველად, რომელიც გარეგნულად ერთ დიდ ყორღანს წააგავდა, მაგრამ როგორც შემდგომმა სამუშაოებმა დაგვანახა იგი მცირე ყორღანული სამარხების ყრილების გაერთიანების შედეგადაა წარმოქმნილი (ტაბ. VII. „ნასადგომარის“ სამაროვანზე სამარხები სამ იარუსადაა განლაგებული (ტაბ. VI). მიწის დამუშავების შედეგად ზედა ფენა თითქმის მთლიანადაა განადგურებული. „ნასდგომარის“ მინდორზე ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ საკოლმეურნეო ვენახები იყო გაშენებული და მოსახლეობის ცნობით მისი დამუშავების დროს დიდი რაოდენობით ხვდებოდნენ სხვადასხვა ნივთებს. ზევიდან მეორე სართუ-

[2] თხრილის მთელ ფართობზე დაფიქსირდა დიდი რაოდენობით შუაფეოდალური ხანის მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები ამ დროის ორმოების ნაშთებიდან. აქვე აღმოჩნდა რკინის წიდის არაერთი ნიმუში. სამწუხაროდ, ეს ფენა მიწის სამუშაოებს ძლიერ აქვს განადგურებული და ადგილზე მხოლოდ მასალის შეკრება მოხერხდა.

ლიც ხშირად ამავე მიზეზითაა დაზიანებული. უმეტესწილად გადარჩენილია ქვედა, მესამე ფენა, რომელიც კარგად შეიმჩნევა განამარხებული ჰუმუსის დონეზე.

მესამე ფენის სამარხთა ორმოები, ჩვეულებრივ მიწაყრილიან ყორღანებს ეკუთვნის, დიამეტრი დაახლოებით 10 მეტრს უდრის. ორი ზედა ფენის სამარხები კი ორმოსამარხებს წარმოადგენს.

სამაროვნის გათხრილ ნაწილში სულ თერთმეტი შემთხვევაა სამარხთა სტრატიფიცირებისა. აქედან სამ შემთხვევაში სამი სამარხია ერთიმეორეზე დაფენებული, რვაში კი სამარხები ორ იარუსადაა განლაგებული.

მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოთ დავინახეთ, ხშირ შემთხვევაში ზედა სამარხები ძლიერაა დაზიანებული, ეს იარუსების მიხედვით მასალის დახასიათებას აძნელებს.

არხის მშენებლებმა სამაროვნის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში ექსკავატორით „ნასადგომარის“ ველის მთელ სიგრძეზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ათიოდე მეტრის თხრილის გავლებისას დააზიანეს მხოლოდ ერთი ორმოსამარხი, საიდანაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მხოლოდ ერთი შედგენილტარიანი კახური სატევარი შემოგვინახეს.

ამგვარად, „ნასადგომარის“ სამაროვნის გავრცელების ფარგლები საკმაოდ კარგად გაირკვა (ტაბ. VI_1). დასავლეთით იგი ხვინჭიანთ ხევით ისაზღვრება ხევის მარჯვენა ნაპირის გადევნებით სამარხები 700 მეტრის სიგრძეზე გვხვდება, დასავლეთით კი სამაროვანი ხვინჭიანთ ხევის მარჯვენა ნაპირიდან დაახლოებით 50 მეტრის მანძილზე ვრცელდება. ნიშანდობლივია, რომ მშენებელთა მიერ არხის წყლის გასატარებელი მილების ტრასა შეიცვალა ჩვენი მუშაობის პერიოდში და თუ ადრე მას ჩვენი მთავარი სამუშაო ფართობის სიგრძივი მიმართულება უნდა ჰქონოდა, ე. ი. დასავლეთიდან სამხრეთისაკენ, ბოლოს გადაწყდა მისთვის სხვა მიმართულება მიეცათ. ამ ახალი გეგმის მიხედვით „ნასადგომარის“ სამაროვანი მშენებლებს უნდა გადაეჭრათ ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. არსებითია, რომ ამ მიმართულებით ჩვენ მიერ გავლებულმა საკმაოდ მოზრდილმა თხრილმა არცერთი სამარხი არ გამოავლინა. ცხადია, ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ ჩვენ სამაროვნის გავრცელების საზღვრები სწორად დავადგინეთ.

სოფ. გადრეკილის „ნასადგომარის“ სამაროვანზე სულ 105 სამარხი გაითხარა. მათ შორის თითქმის ნახევარი ისეთი სამარხებია, რომელთაგან მხოლოდ მცირე, უმნიშვნელო ნაშთია შემორჩენილი. ზოგჯერ მხოლოდ ადამიანის დამტვრეული ძვლების სახით, მაგრამ სამაროვანზე აღმოჩენილი ყველა სამარხის აღრიცხვის მიზნით მათ მაინც მივეცით თანმიმდევრული ნომერი, იმის შესაბამისად თუ რომელი სამარხი როდის აღმოჩნდა, ამავე თანმიმდევრობითაა ნაშრომში ისინი აღწერილი და არ არის გათვალისწინებული მათი ქრონოლოგიური კუთვნილება.

სამაროვანზე აღმოჩნდა სულ რვა ყორღანული სამარხი, მცირე მიწაყრილით (№№ 38, 42, 57, 65, 66, 71, 82 და 105), დანარჩნი 97 სამარხი ორმოსამარხს წარმოადგენს. თანაც აქედან მეტ-ნაკლები სისრულით მხოლოდ ორმოციოდეა შემორჩენილი. დანარჩენი სამარხები იმდენადაა განადგურებული, რომ სრულიად გამორიცხულია მსჯელობა მათ კონსტრუქციაზე, დამარხვის წესსა და ინვენტარზე.

ვინაიდან „ნასადგომარის“ სამაროვანზე მშენებლები 1970 წლის ზამთარში

აგრძელებდნენ მუშაობას, ჩვენ 1971 წელს ყოველი შემთხვევისათვის კვლავ მოვიხილეთ „ნასადგომარის“ სამაროვანი და გამოირკვა, რომ ქვემო სამგორის არხის მშენებლებს აქ კიდევ რამდენიმე სამარხი გამოუვლენიათ და დაუზიანებიათ. ესენია: სამარხი №№ 101, 102,103, 104, 105.

ჩვენ განზრახული გვქონდა ნახატების პარალელურად ფოტო-მასალის გამოქვეყნებაც, მაგრამ ვინაიდან გამოცემის ფორმატით შეზღუდული ვიყავით ამ დუბლირებაზე ხელი ავიღეთ. იმისათვის, რომ მკითხველს გაუადვილდეს ყველა ცალკეული ნივთის მოძიება, ჩვენ მათ ტაბულებზე შევუნარჩუნეთ ის ნუმერაცია, რომლითაც გატარებულია საველე დავთარში და აღნუსხულია აღწერილობისას. ვინაიდან, გადრეკილის № 1 სამარხის ნივთები გამოფენილი და დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის ექსპოზიციაში, ჩვენ ისინი ვერ დავნომრეთ და ლათინური ალფაბეტით აღვნიშნეთ აღწერისას და ტაბულაზე. „ნასადგომარის“ სამაროვნის ნივთებს გამჭოლი ნუმერაცია აქვს როგორც აღწერაში, ასევე ტაბულებზე და ტაბულების აღწერილობაში.

სამარხი № 1 (ტაბ. VIII). „ნასადგომარის“ სამაროვანზე № 1 აღვნიშნეთ ის სამარხი, რომელიც მ. გეთიაშვილმა აღმოაჩინა. ივი გაითხარა ჩვენ მიერ 1969 წლის გვიან შემოდგომაზე.

სამარხი № 1 აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,50 მეტრის სიღრმეზე. იგი წარმოადგენს ორმოსამარხს. ორმო ოთხკუთხია, სიგრძივ დამხრობილი NW-SO სამარხის NO ნაწილი ფლატის მხარესაა და იგი მთლიანად ჩაქცეულია. მეწყერს წაუღია სამარხში ჩატანებული თითქმის ყველა თიხის ჭურჭელი (გადარჩა მხოლოდ ის ჭურჭელი, რომელიც უშუალოდ მიცვალებულის სიახლოვეს იყო და ზოგიერთი სხვა ჭურჭლის თათო-ოროლა ფრაგმენტი). მიუხედავად იმისა, რომ თვით მიცვალებულის ძვლები ადგილიდან დაძრულია ფლატის ჩაცურების მიმართულებით, თითქმის სრულადაა გადარჩენილი ის ინვენტარი, რომელიც მის უშუალო სიახლოვეს ეწყო.

სამარხში აღმოჩნდა ერთი მიცვალებულის ჩონჩხი დაკრძალული მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ზუსტად ჩრდილოეთით.

მიცვალებულის ჩონჩხთან განსაკუთრებით მრავლად იყო სხვადასხვა სამკაული: თავთან— ბრინჯაოს გვერგვები და სარდიონის მძივები. ყელთან — ბრინჯაოს ბაყაყები; ბრინჯაოს დიადემა — მკერდის არეში. პირისახის წინ და თავთან — ბრინჯაოს უამრავი სხვადასხვანაირი სამკაული და მძივი. მიცვალებულის წელის არეში დიდი საკიდი გამოვლინდა, რომელსაც მოკლე ჯაჭვზე ჩამობმული ზარისმაგვარი წვრილი სამკაულები აქვს.

a) ბრინჯაოს მრგვალი ფირფიტა, დაფანჯრული სამკაულებით; b) ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული დიადემა, შემკული ნატვიფრი წერტილებით; C) ბრინჯაოს გრეხილღეროიანი გვერგვები; d) ბრინჯაოს ფირფიტისაგან დამზადებული ბეჭედი, რომლის კიდეებსაც ნაკაწრი ხაზები ამკობს; e) მსხლისებური საკიდი, დაფანჯრული სამკუთხედებით, შიგნით მოჩანს სამსხმელო თიხა. ყუნწზე გამობმული აქვს მრგვალი მავთულისაგან დამზადებული ჯაჭვის ნაწყვეტი. საფიქრებელია, რომ ეს ნივთი r საკიდს ეკუთვნის; f) ბრინჯაოს აბჯრის ორი ფირფიტა. ისინი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგანაა დამზადებული, მაგრამ სხვადასხვა ფორმისა და შემკულობისაა. ერთი უფრო მოზრდილია, ცალი მხარე ბრტყელი აქვს მეორე მომრგვალებული. კიდეებს ნაჭდევი წერტილები

ამკობს. შუაში სიგრძივ ორი ამობურცული ზოლი გასდევს, რომელთა ირგვლივ ასევე ნაჭდევი წერტილებია შემომწკრივებული. ფირფიტას ბრტყელ და მის შებრუნებულ მხარეს, რამდენიმე, ერთი შეხედვით უწესრიგოდ განლაგებული, ნახვრეტი აქვს, რომლებსაც ცნობილი რეკონსტრუქციების მიხედვით ბრინჯაოს აბჯრის ერთიმეორეზე მისამაგრებელი დანიშნულება ჰქონდა. მეორე ფირფიტას ცალი ბოლო ასევე ბრტყელი, მოპირდაპირე მხარე კი მომრგვალებული აქვს, მის კიდეებს ირგვლივ ნაჭდევი წერტილების ორი რიგი შემოსდევს, შუა ნაწილი სიგრძივ შებექებულია, მომრგვალებულ ბოლოზე კი ერთი ნახვრეტი აქვს. ეს უკანასკნელი დეტალი გვაფიქრებინებს, რომ იგი აბჯრის სულ ქვედა ნაწილი უნდა ყოფილიყო; g) ბრინჯაოს მრგვალღეროიანი ორი სამაჯური; h) ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულის მსგავსი ბრინჯაოს საკიდი. i) რომბისებური ბრინჯაოს ორი მძივი, შემაერთებელი; ერთ-ერთს შუაში ოთხი რელიეფური სპირალი ამკობს. ორივე მძივის შიდა ნაწილში სამსხმელო თიხა შეიმჩნევა, j) პასტის ვარდულისებრი მრავალი მძივი ღრმა ღარებით; k) ბრინჯაოს ბიკონუსური მძივები; e) ბრინჯაოს და ანტიმონის მძივები; m) ბრინჯაოს კილიტები; n) ბრინჯაოს ბეჭდები, დამზადებული მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან; o) ბრინჯაოს საყურისმაგვარი საკიდი; p) ბრინჯაოს კილიტები; r) ბრინჯაოს და ანტიმონის კონუსური ღილები; r) ბრინჯაოს საკიდი აღმოჩნდა წელის არეში და უნდა ვიფიქროთ ქამარზე მაგრდებოდა. საკიდის ზედა ნაწილი მასიურია. მისი მრგვალი ტანი ქვევით თანდათან ფართოვდება, რომელიც სამკუთხა ფანჯრებითა და ერთიმეორეზე გადაბმული რელიეფური სპირალებითაა შემკული. საკიდი რგოლებით მთავრდება. ამ რგოლებზე შვიდიოდე სანტიმეტრის სიგრძის მრავალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული ჯაჭვებია გამობმული, რომელიც მსხლისებური დაფანჯრული საკიდებით მთავრდება; s) ბრინჯაოს ირმის ქანდაკებები; t) ბრინჯაოს საკიდი ფრინველები, u) ბრინჯაოს ბაყაყები; v) სარდიონის მძივები — ნახეთქი, ექვსწახნაგა, ცრემლისებური და სხვა; w) თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი დამზადებული კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი ორფენოვანი: ზედაპირი — შავი, შიდა — მონაცრისფრო. ზედაპირი ნაპრიალებია და შემკულია ერთიმეორისადმი თავშექცევით ნატვიფრი სამკუთხედების ორი მწკრივით: X ჭილა დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი შავადაა გამომწვარი ზედაპირი ნაპრიალებია. მუცელს მასიური ორი ყური აქვს მიძერწილი. მხარს ამკობს ერთი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი; Y) სწორკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი შავადაა გამომწვარი. ზედაპირი ნაპრიალებია. პირზე დაძერწილია შვერილი ყური ვერტიკალური ნახვრეტით. პირთან ახლოს ხუთი ამოღარული ხაზი შემოსდევს; Z) ჭურჭელი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცის გარეპირი შავადაა გამომწვარი, შიდა—მონაცრისფროდ. ზედაპირი ნაპრიალებია. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სამარხი № 2 დაცურებულია ფლატეში. ინვენტარი და ძვლები ერთიმეორეშია არეული. თიხის ჭურჭლის აღდგენა შეუძლებელია.

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

1. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — წაბლისფერი, შუაგული — რუხი.

2. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და ში-

დაპირის თხელი ფენა — ნაცრისფერი, შუაგული — ღია მოყავისფრო. ზედაპირი მოგლუვებულია.

3. ჭურჭლის ფრაგმენტები მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის შიდაპირის თხელი ფენა — შავი, გარე — მოწაბლისფრო. ზედაპირს გაუყვება ღარები, როგორც ჩანს კონცენტრული ხაზებით შემკული ქვაბქოთანა უნდა ყოფილიყო.

4. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მონაცრისფრო.

5. ჯამი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი-შავი, ნაცრისფერი ლაქებით, მოგლუვებული. პირგანიერი და გადაშლილი, მხარდაბალი, ოდნავ გამობერილი მუცლითა და კარგად გამოსახული ძირით. სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; ძირის დიამეტრი—6,1 სმ.

6. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი შუაგული — რუხი. ზედაპირზე ღარებით.

7. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი ხაოიანაია.

8. ქოთნის ძირისა და პირ-გვერდის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოშავო, შუაგული — მოწაბლისფრო. ზედაპირი შავი, მოწაბლისფრო ლაქებით. პირგანიერი და გადაშლილი, ყელდაბალი; ძირვიწრო. ზედაპირი დაღარული, მხარი და ძირის კიდე სხივურადაა დაკეშნილი მრკალე ხაზებით. ძირის დიამეტრი — 5,9 სმ.

9. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა. კეცი გამომწვარია მოწაბლისფროდ. ზედაპირი მოგლუვებულია.

10. ლანგრის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოწაბლისფრო. ხორკლიანი ზედაპირით. ბრტყელბაკოიანი პირით. მხარს რელიეფური სარტყელი შემოსდევს. ბაკოს სიგანე — 1,6 სმ.

11. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მორუხო. პირგადაშლილი, მხრებდაქანებული. მხარზე რელიეფური სარტყელი შემოსდევს.

12. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია.

13. ლანგრის ფრაგმენტი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი ხაოიანია. ბრტყელბაკოიანი პირი, ზემოდან ღარით.

14. ქოთნის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფროდ. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

15. სხვადასხვა ჭურჭლის პირის ფრაგმენტები (16 ც.)

16. კათხის (?) პირ-გვერდის ფრაგმენტი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფროდ. ზედაპირზე მოშავო ლაქებით, ხაოიანი. პირგანიერი, გარედან გარშემოუყვება სამი ღარი. ყური დაძერწილია პირსა და მუცელზე. ყურის ზურგზე, პირთან ახლოს, ურთიერთგადამკვეთი ორი ღარისაგან შედგენილი სახეა დატანილი.

20116

17. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი ხაოიანია.

18. ლანგრის პირ-გვერდის ფრაგმენტი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი რუხადაა გამომწვარი. ზედაპირი რუხი, შავი ლაქებით. სწორმხრებიანი, ძირზე ღარებით.

სამარხი № 3 (ტაბ. IX) აღმოჩნდა № 2 სამარხის ქვეშ ფლატეში, № 2 სამარხზე ერთი მეტრით დაბლა. როგორც ჩანს, ჯერ № 3 სამარხი ჩაცურდა, შემდეგ კი — მეორე. მათი სტრატიგრაფიული განლაგება მეტად საეჭვოა..

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

19. სასმისი სილანარევი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი რუხადაა გამომწვარი. ზედაპირი რუხი, ძირზე შავი ლაქით, ხაოიანი. პირგანიერი, გადაშლილი, ყელმაღალი, მხრებდაქანებული; მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელია. მხარზე გარშემოუყვება ერთი ტალღური და ორი კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 13,7 სმ; პირის დიამეტრი — 7,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 12 სმ; ძირის დიამეტრი — 4,2 სმ.

20. დერგი კარგად განლექილი თიხისა, წმინდა თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქავს ოდნავ გადაშლილი, მრგვალბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, მსხლისებური მუცელი და ოდნავ ამობურცული ძირი. მუცელზე დაძერწილია გვერდხედში სამკუთხა ფორმის მრგვალი ორი ყური, ოვალური ნახვრეტით. მხარს გარშემოუყვება სამხაზოვანი ტალღისებური ღარები და ერთიც — კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 28,9 სმ; პირის დიამეტრი — 10,7 სმ: მუცლის დიამეტრი — 28,9 სმ; ძირის დიამეტრი — 8,3 სმ.

21. დერგი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი — შავი, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, მრგვალბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალი კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. ყელის ძირს და მხარს გარშემოუყვება ხუთ წყებად ამოღარული ტალღური ხაზების ჯგუფები. ყურის ზედა ნაწილზე დატანილია ერთიმეორისადმი მიმართული ღარები. სიმაღლე — 27,5 სმ: პირის დიამეტრი — 9,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 22,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

22. დერგი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია შავად, ყელსა და პირზე წაბლისფერი ლაქებით. ზედაპირი ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, ოდნავ დაქანებული მხრები, მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მუცელზე დაძერწილია გვერდხედში სამკუთხა ფორმის ბრტყელგანივკვეთიანი ორი ყური ოვალური ნახვრეტით. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები და ერთიც გაშლილად ამოღარული ტალღური ზოლი. სიმაღლე — 30,7 სმ, პირის დიამეტრი 10,6 სმ, მუცლის დიამეტრი — 27 სმ, ძირის დიამეტრი — 9,2 სმ.

23. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი შავადა გამომწვარი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალებია.

ჭურჭელს აქვს განიერი, ბრტყელბაკოიანი პირი, კარგად გამოკვეთილი ვიწრო ძირი, ბაკოზე გასდევს ირიბი მოკლე ღარები. სიმაღლე — 12 სმ, პირის დიამეტრი — 26 სმ, ძირის დიამიტერი — 9,5 სმ.

24. კოჭობი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი ნაცრისფერი. ზედაპირზე ლეგა ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ამობურცული ვიწრო ძირი. მთელ ზედაპირზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები, მხარზე კი ჰორიზონტალური ფრჩხილისებული ღრმა ნაჭდევები. სიმაღლე — 13 სმ, პირის დიამეტრი — 13,2 სმ, მუცლის დიამეტრი — 18 სმ, ძირის დიამეტრი — 5,2 სმ.

25. ტოლჩა განლექილი თიხისა. კეცი — შავი. ზედაპირი ნაპრიალებია. პირგანიერი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელია. მხარზე ერთიმეორის საპირისპიროდ დაძერწილი აქვს მასიური, მრგვალგანივკვეთიანი ორი ყური. მუცელზე გარშემოუყვება ორი ღარი. სიმაღლე—13,9 სმ. პირის დიამეტრი — 13,8 სმ, ძირის დიამეტრი — 6,8 სმ.

26. ფიალა განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი რუხადაა გამომწვარი. ზედაპირი მოშავო ლაქებით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი და გადაშლილი ჭურჭელი ბიკონუსური ტანით, ვიწრო ძირით. მხრისა და მუცლის გარდატეხის ადგილზე გარშემოუყვება განიერი ღარი. სიმაღლე — 6,2 სმ, პირის დიამეტრი — 12,2 მუცლის დიამეტრი — 12,6 სმ, ძირის დიამეტრი — 5 სმ.

27. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული—ღია წაბლისფერი. ზედაპირი ნაპრიალებია. ჭურჭელს ჰქონია დაჭანებული მხრები, მხრის მუცელზე გადასვლის ადგილზე წიბოთი. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

28. ქოთნის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა, წმინდა თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა—შავი, შუაგული—რუხი. ზედაპირი ნაპრიალებია. მუცელგამობერილი, ვიწრო ძირით. მხარს გაუყვება კონცენტრული ამოღარული ორი ხაზი.

29. კოჭობის ძირისა და მუცლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი კარგადაა შემცხვარი და გამომწვარია რუხად. ზედაპირზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები, ძირის კიდეს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევები.

სამარხი № 4 (ტაბ. IX) აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,57 მ-ის სიღრმეზე. ოდნავ დაცურებულია ფლატეში. როგორც ჩანს სამარხს ოთხკუთხა ორმო ჰქონია სიგრძივ დამხობილი NW—SO.

მიცვალებულს ეკავა სამარხის ცენტრალური ნაწილი, იგი იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით N—NW. ბარძაყის ძვლის სიგრძე 45 სმ-ია. სამარხში აღმოჩნდა თიხის შვიდი ჭურჭელი. 6 განლაგებული იყო W—S კედლის გასწვრივ, მიცვალებულის პირისახის წინ. მეშვიდე ჭურჭელი იდო მიცვალებულის თავთან.

30. სასმისი, პირთან ნაკლული. სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგა მოწაბლისფროდ. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ცილინდრული ტანი და ბრტყელი ძირი. სიმაღლე — 5 სმ, მუცლის დიამეტრი — 4,7 სმ ძირის დიამეტრი — 4 სმ.

30ა. ჭურჭელი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მოწითალო აგურისფრად, ზედაპირზე მონაცრისფრო ლაქით, ხაოიანი. ჭურჭელი მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. ჭურჭელს ზედა ნაწილი აკლია. მუცლის დიამეტრი 19,6 სმ, ძირის დიამეტრი — 9,5 სმ.

31. კათხა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფროდ. ზედაპირი მოგლუვებულია. პირგანიერი, გადაშლილი, დაბალი წიბოიანი მუცლითა და ვიწრო ძირით. ყური დაძერწილია პირსა და მუცლის წიბოზე. პირს გარედგან გარშემოუყვება ორი ღარი, რომლებიც ქმნიან რელიეფურ ზოლებს. სიმაღლე — 10,2 სმ, პირის დიამეტრი — 10,5 სმ. ძირის დიამეტრი —6სმ.

186. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ჩალისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია, ეტყობა ნაპრიალების კვალი. პურჭელს აქვს განიერი სწორი პირი, ოდნავ მომრგვალებული მხარი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 7,7 სმ; პირის დიამეტრი — 13,7 სმ; ძირის დიამეტრი — 4,5 სმ.

187. სასმისი განლექილი თიხისა. შავად გამომწვარი. ზედაპირი ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს განიერი, გადაშლილი პირი, კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 10,1 სმ; პირის დიამეტრი — 6,2 სმ; ძირის დიამეტრი — 4,3 სმ.

188. ჭოთანი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — ლეგა, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი ლეგა, ყავისფერი ლაქებით, ხორკლიანი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი მომრგვალებული ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული ნაჭდევების ორი რიგი, მათ შორის არე შევსებულია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირის კიდეს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევები. სიმაღლე — 21,8 სმ; პირის დიამეტრი — 18,8 სმ; მუცლის დიამეტრი — 25 სმ; ძირის დიამეტრი — 7,8 სმ.

189. სასმისი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. შავად გამომწვარი. ჭურჭელს აქვს ვიწრო პირი, მაღალი კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, სუსტად გამოსახული ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 14,1 სმ, ძირის დიამეტრი — 4,4 სმ.

190. ჭოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი ხაოიანია. აქვს განიერი პირი მომრგვალებული ბაკოთი, დაბალი ყელი.

მხარს გარშემოუყვება ჰორიზონტალური ფრჩხილისეული ნაჭდევების ორი რიგი, მათ შორის არე შევსებულია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

191. ქილა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო-რუხად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ლილვაკისებურბაკოიანი პირი, ძალზე დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარი და მუცელი შემკული აქვს რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზით. ყურის ზურგზე დატანილია თევზიფხური ნაჭდევები. სიმაღლე— 19,3 სმ; პირის დიამეტრი — 11,3 სმ; მუცლის დიამეტრი — 17 სმ; ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

192. ცალყურა ჭურჭელი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო-მორუხოდ. ჭურჭელს აქვს ლილვაკისებურბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, განზე გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ მომრგვალებული ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ერთი ყური. ყურს ზურგზე დაუყვება ღრმა ირიბი ნაჭდევები, რაც თოკისებური ორნამენტის შთაბეჭდილებას ქმნის. ყური ზედა ნაწილში დაბრტყელებულია და რელიეფურად გამოსახულია კვადრატი, რომელიც შევსებულია ბადისებური სახით. მსგავსი ორნამენტი დატანილია მხარზე. მუცელზე გარშემოუყვება ორი რელიეფური ზოლი. სიმაღლე — 39 სმ; პირის დიამეტრი — 12,2 სმ; მუცლის დიამეტრი — 33 სმ; ძირის დიამეტრი — 9,6 სმ.

193. სასმისი ძლიერ ფრაგმენტირებული, სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — მოშავო, შიდა — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

194. სამაჯური ბრინჯაოსი, მრგვალბრტყელი ღეროსი, ერთმანეთზე გადასული თავებით. თავებზე დატანილია განივი მოკლე ჭდეები. დიამეტრი — 6,9 სმ; ღეროს სიგანე — 0,8 სმ; სიმაღლე — 0,6 სმ.

195. ღილი ბრინჯაოსი, კონუსური ფორმის, თავზე კოპით. შიდა მხარეს ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება რელიეფური ზოლები, კიდეები ოდნავ შესამჩნევადაა დაკბილული. დიამეტრი — 3,4 სმ; სიმაღლე — 1,5 სმ.

196. ღილი ბრინჯაოსი, კონუსური ფორმის, თავზე კოპით. შიდა მხარეს ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება რელიეფური ზოლები. კიდეები ოდნავ შესამჩნევადაა დაკბილული. დიამეტრი — 2,2 სმ; სიმაღლე — 1,3 სმ.

197. ღილები ბრინჯაოსი, ნახევარსფერული. შიდა მხარეს ყუნწით. 2 ცალი.

1. დიამეტრი — 1,3 სმ; სიმაღლე — 0,6 სმ.
2. დიამეტრი — 1,1 სმ; სიმაღლე — 0,4 სმ.

198. საკიდები ბრინჯაოსი, ორი მათგანი სფერულია, მუცელზე ოთხი კოპით. ძირზე კი — ერთი. ბრტყელი ყუნწით. ერთი კი ბიკონუსური ფორმის, მუცელზე ოთხი კოპით, ძირზე კი — ერთი. ბრტყელი ყუნწით.

1. დიამეტრი — 1 სმ; სიმაღლე — 1,8 სმ.
2. დიამეტრი — 1 სმ; სიმაღლე — 1,7 სმ.
3. დიამეტრი — 0,9 სმ; სიმაღლე — 1,5 სმ.

199. მძივები ბრინჯაოსი, კასრისებური, მუცელზე ოთხი კოპით, 3 ცალი. ბრტყელი ღეროთი, 1 ცალი.

200. ხვია ბრინჯაოსი სპირალურად დახვეული. დიამეტრი — 0,8 სმ; სიმაღლე — 1,3 სმ.

201. ბეჭედი ბრინჯაოს მავთულისა. 2,5 ხვიისა. დიამეტრი — 2,1 სმ; ღეროს სიგანე — 0,2 სმ.

202. ძეწკვის ფრაგმენტი ბრინჯაოსი, შედგენილი ორმაგი რვიანისებური რგოლებისაგან.

203. ფირფიტის ნატეხები ბრინჯაოსი, ნაპირებზე გარშემოუყვება პუნქტირით დატანილი ზოლი, შუაში გასდევს შიგნიდან ამობურცული რელიეფური ზოლი. თავმომრგვალებული, ბოლოში ნახვრეტით. მეორეს ორი ნახვრეტი აქვს.

1) სიგრძე — 3,4 სმ; სიგანე — 1,8 სმ;

2) სიგრძე — 1,8 სმ; სიგანე — 1,2 სმ.

204. ფრინველის ჭანდაკება ბრინჯაოსი, შესრულებული სქემატური მანერით. თავზე დიდი ყუნწით. ტანი სამკუთხედის ფორმისა, ყელმაღალი, ყელის ძირზე რელიეფური ზოლით. ფრთები გამოსახულია სპირალურად ჩახვეული ხაზით. ძირზე ამოკვეთილია სამკუთხედისებურად. 2 ცალი.

1) სიმაღლე — 2,2 სმ; 2) სიმაღლე — 2,1 სმ.

205. ფრინველის ჭანდაკება ბრინჯაოსი, შესრულებულია სქემატური მანერით. თავზე ყუნწით. ტანი სამკუთხედის ფორმისა, ყელმაღალი, ყელის ძირზე რელიეფური ზოლით. გვერდებზე და ძირზე ამოკვეთილია სამკუთხედები. კუდმოტეხილი, ფეხებმოტეხილი. სიმაღლე — 3 სმ.

206. ფრინველის ჭანდაკება ბრინჯაოსი, თავზე ორი კოპით. კისერზე ყუნწით. ყელმაღალი, ყელზე და გვერდებზე ამოკვეთილია სამკუთხედები.

207. მძივები სარდიონისა ნახეთქი 172 ცალი, მუცელფეხიანი მოლუსკისა, 9 ცალი, მინისებური პასტისა 29 ცალი; პასტისა დაღარული ზედაპირით 1 ცალი.

ს ა მ ა რ ხ ი № 27 (ტაბ. XVI) აღმოჩნდა „ხვინჭიანთ ხევის“ მარჯვენა ფლატეში, მიწის ზედაპირიდან 1,70 მეტრის სიღრმეზე. იგი წარმოადგენს ორმოსამარხს. აკლია NO ნაწილი, მაგრამ მაინც აშკარად ჩანს, რომ იგი NW— SO ყოფილა სიგრძივ დამხრობილი. მიცვალებულის ძვლებისაგან მხოლოდ ბარძაყის ძვალი იყო შემორჩენილი. სამარხში აღმოჩნდა თიხის 17 ჭურჭელი, რომელთა უმეტესობა ორმოს WN ნაწილში იყო დაგროვილი.

208. სასმისის ფრაგმენტები განლექილი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მონაცრისფრო. ზედაპირი მოგლუვებულია. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

209. ჭილა განლექილი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — ღია წაბლისფერი. ზედაპირი მოშავო, წაბლისფერი ლაქებით, მოგლუვებული, სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალ კონუსური ყელი, მრგვალი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება ტალღისებური ზოლი, ჩასმული ორხაზიან ჩარჩოში. სიმაღლე — 26,8 სმ; პირის დიამეტრი — 12 სმ; მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი — 9,3 სმ.

210. ჭილა ნაკლული, კარგად განლექილი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ღია წაბლისფერი. ზედაპირი მოგულვებულია და სუსტად ნაპრიალები. მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარს გარშემოუყვება ერთი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. მუცლის დიამეტრი — 21 სმ; ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

211. ჭურჭელი ძლიერ ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი

და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა მოვარდისფრო. ზედაპირი მოგლუვებული, სუსტად ნაპრიალები. ჭურჭლის მხარს ამკობს ღრმა განიერი ღარები.

212. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია და სუსტად ნაპრიალები.

213. სასმისი, ძირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო რუხად, ზედაპირზე ლეგა ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ლილვაკისებურბაკოიანი პირი, მაღალი ყელი, გამოპერილი მუცელი. ყელს გარშემოუყვება ერთი ტალღური, მხარს კი რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. პირის დიამეტრი — 6,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 10 სმ; ძირის დიამეტრი — 5 სმ.

214. ჯამი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი მოშავო, შუაგული — ნაცრისფერი, ზედაპირი მოშავო, ნაცრისფერი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი, გადაშლილი პირი, ოდნავ მომრგვალებული მხრები და ვიწრო ძირი. მხარს ამკობს ტალღისებური ზოლი ჩასმული ორხაზიან ჩარჩოში. სიმაღლე — 11 სმ; პირის დიამეტრი — 16,7 სმ; ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

215. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი. შუაგული — ნაცრისფერი, ზედაპირი მოშავო, ნაცრისფერი ლაქებით, ხაოიანი. ლი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, წიბოიანი სწორი მხრები, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული კალთა და ოდნავ ამობურცული ძირი. მხარს გარშემოუყვება რელიეფური ზოლები. პირსა და მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ერთი ყური. სიმაღლე — 9,6 სმ; პირის დიამეტრი — 16,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

216. ჭილა ფრაგმენტირებული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალებია.

217. კოჭობი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი გამომწვარია შავად. ზედაპირი შავი, პირთან ნაცრისფერი ლაქით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, დაჭანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 12,5 სმ; პირის დიამეტრი — 3,8 სმ; მუცლის დიამეტრი — 14 სმ; ძირის დიამეტრი — 6,2 სმ.

218. ჭილა ძირთან ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირი— შავი, შიდა — მონაცრისფრო. ზედაპირი შავი, პირთან და მხარზე მონაცრისფრო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს გარშემოუყვება რამდენიმე კონცენტრული და ერთი ტალღური ამოღარული ხაზი. პირის დიამეტი — 11,5 სმ.

219. ჯამი სილანარევი თიხისა, კეცის გარეპირი — შავი, შიდა — მოშავო, ზედაპირი შავი, მოყავისფრო ნაცრისფერი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, ოდნავ მომრგვალებული მხარი და ვიწრო ძირი. პირსა და მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ერთი ყური.

მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე 8,1 სმ: პირის დიამეტრი — 13,3 სმ; ძირის დიამეტრი — 4,4 სმ.

220. სადღვებელი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი მოშავო, შუაგული — მოყავისფრო, ზედაპირი-შავი, მოყავისფრო ლაქებით, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, მსხლისებური ტანი და ოდნავ ამობურცული ძირი. მხარზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. მხარს ამკობს ერთი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 33,4 სმ; პირის დიამეტრი — 13 სმ; მუცლის დიამეტრი — 29, სმ; ძირის დიამეტრი — 10,8 სმ.

221. ლანგარი ნაკლული, კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — მოყავისფრო ნაცრისფერი. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, ზემოდან დაბრტყელებული ბაკოთი. ბაკოს გარშემოუყვება ერთი ტალღური და ერთიც კონცენტრული ამოღარული ხაზი. ტალღური ორნამენტითაა შემკული ჭურჭლის მხარიც.

222. ჭურჭელი ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, მოყავისფრო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, სწორი მხრები მხარს მუცელზე გადასვლის ადგილზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი, რომელიც ქმნის მუცლის წიბოს. შემკულია ერთი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზით. პირთან დაძერწილი ჰქონია შვერილი ყური, ვერტიკალური ორი ნახვრეტით. სიმაღლე — 8,4 სმ; პირის დიამეტრი — 10,9 სმ.

223. ჭილა სილანარევი თიხისა, კეცის გარე და შიდაპირი მოშავო, შუაგული — მონაცრისფრო. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით, მოგლუვებული, სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ძირში გარშემოუყვება ერთი ტეხილი და რამდენიმე გაშლილი ტალღური ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 22,9 სმ; პირის დიამეტრი — 11,4 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 7,9 სმ.

224. ჭილა, ძირთან ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი ორფენიანი: გარეპირი — შავი, შიდა—წაბლისფერი. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, დაჭანებული მხრები, გამობერილი მუცელი. მუცელზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორ ყური. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და ერთიც კონცენტრული ამოღარული ხაზი. პირის დიამეტრი — 9,1 სმ.

225. სასმისის პირ-ყელის ფრაგმენტი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა— შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, მაღალი კონუსური ყელი. ყელს ძირში გაუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. პირის დიამეტრი — 7,4 სმ.

226. ჯამი ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით.

კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული— მორუხო. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალებია. ჭურჭელი ყოფილა: პირგანიერი, მხრებსწორი, ძირვიწრო. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები, მუცელზე გადასვლის ადგილზე კი — ერთი განიერი ღარი, რომელიც ქმნის მუცლის წიბოს. პირზე ოთხ ადგილზე აქვს სამ-სამი მცირე ზომის ნაჭდევი. სიმაღლე — 8,5 სმ; პირის დიამეტრი — 13,2 სმ.

227. სასმისი ძირთან ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოშავო, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, მაღალი კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, სუსტად გამოსახული წიბოიანი მუცელი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. პირის დიამეტრი — 8,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6,4 სმ.

228. ქოთანი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — მოშავო, შიდა — ღია წაბლისფერი. ზედაპირი-შავი. ღია წაბლისფერი და მონაცრისფრო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი, ოდნავ მოყრილი პირი, დაქანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. პირსა და მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 14,8 სმ; პირის დიამეტრი — 14,4 სმ; მუცლის დიამეტრი — 18 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 28 (ტაბ. XVII 229—252). ორმოს კონტურები არ შეინიშნება, მაგრამ ინვენტარის განლაგების მიხედვით, სამარხი ორმო სიგრძივ დამხრობილი ყოფილა NW—SO. სამარხის SO ნაწილში აღმოჩნდა მცირეწლოვანი მიცვალებულის ჩონჩხი მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით NW.

თიხის ჭურჭელი განლაგებული იყო სამარხის Nw ნაწილში და NO კედლის გაყოლებით. სამკაულები ჩონჩხთან იყო კონცენტრირებული.

229. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი გამომწვარია შავად. ზედაპირი ხაოიანია, ძირთან მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, მაღალი კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 15 სმ; პირის დიამეტრი — 8,1 სმ; მუცლის დიამეტრი — 12 სმ; ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

230. ქოთანი, მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო რუხად. ზედაპირი ხორკლიანია. ჭურჭელს აქვს განიერი პირი გადმოკეცილი ბაკთი, ძალზე დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარზე გარშემოუყვება ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული ნაჭდევების ორი რიგი, ძირის კიდეზე — ირიბი ნაჭდევები. სიმაღლე — 16 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 7,1 სმ.

231. სასმისი ფრაგმენტირებული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, მაღალი კონუსური ყელი; ყელის ძირზე გაუყვება ერთი ტალღური და რამოდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი

232. სასმისის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინა-

რევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოშავო, შუაგული — ღია მოყავისფრო.

233. ჭურჭლის ფრაგმენტები, სილანარევი წმინდა თიხისა, კეცის გარეპირის თხელი ფენა— მოშავო, შიდა — აგურისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

234. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირი გამომწვარია შავად. შიდა — ნაცრისფრად, ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი, რომელიც ქმნის წიბოს. სიმაღლე— 14,3 სმ; პირის დიამეტრი — 6,8 სმ; მუცლის დიამეტრი — 12,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6,6 სმ.

235. ჯამი პირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი — მოშავო, შუაგული — რუხი. ჭურჭელს აქვს განიერი, ოდნავ მოყრილი, მრგვალბაკოიანი პირი, ოდნავ მომრგვალებული მხარი და ვიწრო ძირი. პირთან გარშემოუყვება ერთი კონცენტრიული ამოღარული ხაზი. პირსა და მხარზე დაძერწილია ერთი ყური. სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 12,9 სმ; ძირის დიამეტრი — 6,1 სმ.

236. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია ლეგად. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, დაქანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს ძირში გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 12,5 სმ, პირის დიამეტრი — 6,4 სმ; ძირის დიამეტრი — 4,4 სმ.

237. დერგი ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი პირთან—ნაცრისფერი, დანარჩენ ადგილებში გარეპირი — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ლილვაკისებურბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, გამოკვეთილი ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ბრტყელგანივკვეთიანი ერთი ყური. ყელის ძირს გარშემოუყვება ერთი ტალღური, მხარს კი რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 22 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; ძირის დიამეტრი — 7,8 სმ.

238. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — მორუხო, ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, ოდნავ მომრგვალებული წიბოიანი მხარი, ვიწრო ძირი. პირსა და მხარზე დაძერწილია მრგვალნახვრეტიანი ერთი ყური. წიბოსთან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 7,1 სმ; პირის დიამეტი — 11,9 სმ; ძირის დიამეტრი — 5,2 სმ.

239. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი გამომწვარია მოყავისფროდ. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი. მხარი შემკული აქვს ორხაზიან ჩარჩოში ჩასმული ტალღური ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 15 სმ; პირის დიამეტრი — 7 სმ; მუცლის დიამეტრი — 14 სმ; ძირის დიამეტრი — 4 სმ.

240. ჭურჭლის ფრაგმენტები მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — ლეგა. ზედაპირი ხაოიანია.

241. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით.

კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, კარგად მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, სწორი მხრები, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული კალთა და ვიწრო ბრტყელი ძირი. მხარზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 4,8 სმ; პირის დიამეტრი — 10,7 სმ; ძირის დიამეტრი — 4,9 სმ.

242. სადღვებელი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად, ზედაპირზე შავი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. ყელის ძირს გარშემოუყვება ერთი ტალღური, მხარს კი — კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 27,2 სმ; პირის დიამეტრი — — 11,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 25 სმ; ძირის დიამეტრი — 8,2 სმ.

243. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მოყავისფრო-ნაცრისფერი. ზედაპირი ხაოიანი.

244. სასმისის პირ-ყელის ფრაგმენტი, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მოყავისფრო-ნაცრისფერი, ზედაპირი მოგლუვებულია და ნაპრიალები. ჭურჭელი ყოფილა: პირვიწრო, გადაშლილი, ყელმაღალი. პირის დიამეტრი — 7,9 სმ.

245. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი ხაოიანია. ჭურჭელს აქვს განიერი, მრგვალბაკოიანი პირი, ძალზე დაბალი ყელი, დაჭანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი, მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 10,2 სმ; პირის დიამეტრი — 14,2 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

246. ტოლჩა განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი შავი, პირთან რუხი ლაქით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, სწორი ტანი და ბრტყელი ძირი. პირთან დაძერწილია პატარა მრგვალნახვრეტიანი ყურა. პირთან, ყურის სიმაღლეზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები, ძირს — ორი ღარი. სიმაღლე — 8,5 სმ; პირის დიამეტრი — 9,1 სმ, ძირის დიამეტრი — 6 სმ.

247. სასმისი განლექილი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი კარგად მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, მაღალი კონუსური ყელი, დაჭანებული მხრები, გამობერილი მუცელი და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 14 სმ; პირის დიამეტრი — 7 სმ; მუცლის დიამეტრი — 13 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

248. რგოლი ბრინჯაოსი, მრგვალკვეთა ღეროსი, ერთმანეთზე გადასული თავებით. უდ. დიამეტრი — 4,5 სმ; უმც. დიამეტრი — 3,8 სმ. ღეროს სიგანე — 0,3 სმ; სიმაღლე — 0,2 სმ.

249. რგოლი ბრინჯაოსი, ბრტყელი ღეროსი, ერთნახევარი ხვიისა. უდ. დიამეტრი — 1,6 სმ; უმც. დიამეტრი — 1,5 სმ; ღეროს სიგანე — 0,3 სმ; სიმაღლე — 0,2 სმ.

250. რგოლი ბრინჯაოსი, ბრტყელი ღეროსი, ერთნახევარი ხვიისა, თავებწატეხილი. უდ. დიამეტრი — 1,9 სმ; უმც. დიამეტრი — 1,5 სმ; ღეროს სიგანე — 0,3 სმ; სიმაღლე — 0,1 სმ.

251. ხვია ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, ერთნახევარი ხვიისა. უდ. დიამეტრი — 1,9 სმ; უმც. დიამეტრი — 1,7 სმ; ღეროს დიამეტრი—0,2 სმ.

252. ღილები ბრინჯაოსი. 4 ცალი. აქედან ორი კონუსური ფორმის, თავზე კოპით, შიდა მხარეს ბრტყელი ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება რელიეფური ზოლები.

1. დიამეტრი — 1,7 სმ; სიმაღლე — 1 სმ.

2. დიამეტრი — 1,3 სმ; სიმაღლე — 0,8 სმ.

ნახევარსფერული ორი ცალი, ერთი — შიდა მხარეს ბრტყელი ყუნწით, ზედაპირზე გარშემოუყვება ორი ღარი.

დიამეტრი — 1,2 სმ.

253. მძივები სარდიონის, ნახეთქი, ორი ცალი.

ს ა მ ა რ ხ ი № 29 — 30 მცირე უსახო ნაშთების სახითაა შემორჩენილი.

ს ა მ ა რ ხ ი № 31 (ტაბ. XVII 254—262) შემორჩენილი იყო მცირე ნაშთის სახით, რომელიც განამარხებულ ჰუმუსზე მდებარეობდა. სამარხში აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი და ცხოველის რამდენიმე ძვალი.

254. ლანგარი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი შრე—შავი, შიდა — მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი შავი, პირთან მონაცრისფრო-რუხი ლაქით, სუსტად მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული კალთა და ვიწრო ბრტყელი ძირი. პირთან დაძერწილი აქვს მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური, მათ შორის დატანილია სითხის გადმოსასხმელი მრგვალი ნახვრეტი, რომელიც ერთი სანტიმეტრის ღარს წარმოადგენს. სიმაღლე — 9,6 სმ; პირის დიამეტრი — 41,9 სმ; ძირის დიამეტრი — 12 სმ.

255. ჯამი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო რუხად, ზედაპირზე ჩალისფერი და შავი ლაქებით. ჭურჭელს აქვს განიერი ბრტყელბაკოიანი პირი. სწორი მხრები, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული კალთა და ვიწრო ძირი. ბაკოს და მხარს გარშემოუყვება ტალღური ამოღარული თითო ხაზი. სიმაღლე — 7,9 სმ; პირის დიამეტრი — 23,6 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

256. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

257. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა. კეცის გარე და შიდა — პირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ყავისფერი.

258. ჯამის ფრაგმენტები თიხისა. კეცი ორფენიანი: გარეპირი — შავი, შიდა — მოწითალო.

259. ჯამი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო რუხი. ზედაპირი შავი, ჩალისფერი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაქანებული მხრები, სუსტად გამოსახული წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. სიმაღლე — 8,8 სმ; პირის დიამეტრი—17,4 სმ; ძირის დიამეტრი — 7,1 სმ.

260. კათხა სილანარევი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი

ხაცრისფერი. ზედაპირზე მოშავო და ჩალისფერი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, სწორი მხრები, დაბალი წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. პირსა და მხარზე დაძერწილია ყური, პირთან ორი შვერილით. პირს გარედან გარშემოუყვება ორი ღარი, სიმაღლე — 10,1 სმ; პირის დიამეტრი —11,4 სმ; ძირის დიამეტრი — 5 სმ.

261. ჯამი ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით. მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი მომრგვალებული ბაკოთი, სწორი, წიბოიანი მხარი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. ბაკოს გარედან გარშემოუყვება ერთი ღარი. სიმაღლე — 5,1 სმ; პირის დიამეტრი — 24,2 სმ; ძირის დიამეტრი — 7,9 სმ.

262. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა. გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

ს ა მ ა რ ხ ი № 32 (ტაბ. XVIII 263—271). გადარჩენილია ორმოსამარხის მცირე ნაშთი. იგი ზემოდან ედო ასევე დაზიანებულ ორმოსამარხს (№ 32ა). სამარხები განლაგებული იყო ყორღანის კამერიდან ამონაყარ გრუნტზე. № 32 სამარხში შემორჩენილი იყო მხოლოდ ცხოველის ძვლები და თიხის ცხრა დაზიანებული ჭურჭელი.

263. ტოლჩა მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მონაცრისფრო-რუხი, შუაგული — ღია მოყავისფრო. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი პირი ორმაგი ლილვაკისებური ბაკოთი, წელში ოდნავ გამოყვანილი ტანი და ფართო ბრტყელი ძირი. პირთან დაძერწილია ორი უნაგირისებური შვერილი ორ-ორი ნახვრეტით. სიმაღლე —17,7 სმ; პირის დიამეტრი — 19,6 სმ; ძირის დიამეტრი — 17,7 სმ.

264. კათხა მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფროდ, ზედაპირზე ჩალისფერი და მოშავო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი ოდნავ გამოსახული ბაკოთი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. ყური დაძერწილა პირსა და მუცლის წიბოზე. პირთან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 10,7 სმ; პირის დიამეტრი — 11,6 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

265. ჭილა ნაკლული, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — ნაცრისფერი, შიდა — ჩალისფერი. ზედაპირი ნაცრისფერი, ჩალისფერი ლაქებით, ჭურჭელს აქვს მსხლისებური ტანი და ვიწრო ძირი. მხარზე შერჩენილია ყურის მიძერწვის ადგილი. მხარს ძირში გაუყვება ერთი ღარი. ძირის დიამეტრი — 9,7 სმ.

266. კოჭობი ნაკლული, მჭისე, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — ჩალისფერი, გარე — ნაცრისფერი. ზედაპირი ხორკლიანია. აქვს გადშლილი პირი, დაბალი ყელი, ოდნავ გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

267. ჭურჭლს ძირ-გვერდის ფრაგმენტი, მჭისე, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული — რუხი. ზედაპირი ხორკლიანია. ძირის კიდეს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ღარებით. ძირის დიამეტრი — 6,6 სმ.

268. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ჩალისფრად. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ღარებით, ძირის კიდეს ამკობს ირიბი ნაჭდევები. ძირის დიამეტრი — 8,6 სმ.

269. ჭილა ძლიერ ნაკლული. წვრილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი. მისი გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული — ხაცრისფერი. ზედაპირი-მოშავო, ჩალისფერი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს ჰქონია გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი, მუცელზე დაძერწილია შვერილი, ზურგზე სამი მოგრძო ღარით. მხარს ამკობს ორი განიერი ღარი, მუცელს — ერთი. ძირის დიამეტრი — 8,7 სმ.

270. ჭილა ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. ეს არის მრგვალმუცლიანი ჭურჭელი ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყურა. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. ზედაპირსა და ძირზე ეტყობა ჩარხისეული ხაზები. მუცლის დიამეტრი — 16 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

271. ჭოთანი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო რუხად. ზედაპირი მოგლუვებულია. ეს არის მრგვალმუცლიანი ჭურჭელი ოდნავ ამოლი. ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი, ძირვიწრო ჭურჭელი. მთელ ტანზე და ძირზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული ნაჭდევები, ძირის კიდეს — ირიბი ნაჭდევები. სიმაღლე — 17 სმ; პირის დიამეტრი — 15,6 სმ; მუცლის დიამეტრი — 21 სმ; ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 32ა (ტაბ. XVIII 272—279) აღმოჩნდა № 32 ორმოსამარხის ნაშთის ქვეშ. № 32ა ორმოსამარხიდან მხოლოდ მცირე ნაშთია შემორჩენილი — ადამიანის რამდენიმე ძვალი და თიხის შვიდი ჭურჭელი.

272. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

273. ჭურჭლის ფრაგმენტები მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოწითალო ყავისფერი.

274. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა, კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

275. „სამარილე“ სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მოშავოდ. ეს არის პირგანიერი, მხრებსწორი, ძირვიწრო ჭურჭელი, პირთან გარშემოუყვება ერთი ღარი. სიმაღლე — 3,7 სმ; პირის დიამეტრი — 7,4 სმ.

276. ჯამი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად, ზედაპირი ნაცრისფერი, ძირთან შავი ლაქით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ღარები. სიმაღლე — 7,9 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; ძირის დიამეტრი — 5,7 სმ.

277. კათხა ნაკლული. სილანარევი თიხისა. კეცი—ლეგა. ზედაპირი ლეგა შავი ლაქებით. აქვს განიერი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. წიბოზე ეტყობა ყურის მიძერწვის ადგილი. სიმაღლე — 7 სმ; პირის დიამეტრი — 8 სმ; ძირის დიამეტრი — 3,8 სმ.

278. ქოთანი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ღია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. აქვს განიერი პირი, წელში ვამოყვანილი ტანი, მომრგვალებული მუცელი და ძირი. პირთან დაძერწილია ორი ნახევარსფერული ყური, ცილინდრული ნახვრეტით. პირთან გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. სიმაღლე—15,6 სმ; პირის დიამეტრი — 17,7 სმ.

ძირის დიამეტრი — 6,9 სმ.

279. ხვია ბრინჯაოსი, ბრტყელი მავთულისა, თავები ოდნავ გადასული. ღეროს სიგანე — 0,3 სმ; სისქე — 0,1 სმ.

სამარხი № 34 (ტაბ. XVIII 280—285). სამარხის ორმო ამოჭრილია ყორღანის ყრილის ქვეშ, განამარხებულ ჰუმუსში, რომელზედაც ყვითელ ლაქად შეინიშნებოდა.

სამარხი ორმო მცირე იყო და სიგრძივ დამხრობილი NO—NS. აღმოსავლეთ და დასავლეთ კუთხეები მომრგვალებული ჰქონდა.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით NO.

ჩონჩხის ზურგს უკან და ფეხთით თიხის ჭურჭელი ეწყო, ყელის არეში კი სარდიონის მძივები და ბრინჯაოს სხვადასხვა სამკაული.

280. კოჭობი სილანარევი წმინდა თიხისა. არათანაბრად გამომწვარი. კეცი ჩალისფერი, რუხი და შავი. ზედაპირი ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ბაკომომრგვალებული პირი, დაბალი ყელი, ძლიერ გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 10,3 სმ; პირის დიამეტრი — 9 სმ; მუცლის დიამეტრი — 15 სმ; ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

281. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა. უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი პირთან — ნაცრისფერი, დანარჩენ ადგილებში გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ოდნავ ამობურცული ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული ღარები. სიმაღლე — 18,9 სმ; პირის დიამეტრი — 11,2 სმ; მუცლის დიამეტრი — 22 სმ; ძირის დიამეტრი — 8,2 სმ.

282. ჭილა ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — მოშავო, შიდა-ნაცრისფერი. ზედაპირი ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი. მხარს ამკობს ორხაზიან ჩარჩოში ჩასმული ტალღური ამოღარული ხაზი. პირის დიამეტრი — 8,2 სმ.

283. საკიდი ბრინჯაოსი, კონუსური, ბრტყელი ყუნწით. სიმაღლე — 2,9 სმ; დიამეტრი — 1,3 სმ.

284. სამაჯური ბრინჯაოსი, ბრტყელი ფირფიტისა, თავებაკეცილი.

285. მძივები სარდიონის 14 ცალი; პასტისა 7 ცალი მინისებური პასტისა 2 ცალი.

სამარხი № 34 (ტაბ. XIX) წარმოადგენს ორმოსამარხს, რომელიც მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. იგი ძლიერაა დაზიანებული ვენახისათვის ნაკვეთის გადაბრუნების დროს. № 34 სამარხი ზევიდან ედო № 35 სამარხს. (№ 35 სამარხი მიწის ზედაპირიდან 0,90 მ სიღრმეზე აღმოჩნდა), ხო-

ლო № 35 სამარხი თავის მხრივ ნაწილობრივ ფარავდა № 38 ყორღანული სამარხის კამერის სამხრეთ ნაწილს (№ 38 სამარხის კამერა მიწის ზედაპირიდან 1,40 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა).

სამარხი № 34 წარმოადგენს მოგრძო ორმოს (1,79×1,10). ორმოს კონტურები არ შეინიშნებოდა, მაგრამ სამარხეული ინვენტარის განლაგება მის ფორმაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. სამარხი დამხრობილი იყო სიგრძივ NW—SO.

სამარხში აღმოჩნდა ერთი ადამიანის ჩონჩხი ძლიერ დაზიანებული და ნაკლული. მიუხედავად ამისა, ხერხემლის მალებისა და კიდურების ზოგიერთი ძვლის განლაგებით თითქოს ცხადია, რომ მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუსვენებიათ, მოხრილი კიდურებით, თავით NW.

სამარხში თიხის ჭურჭელი მთელ ფართობზე იყო განლაგებული. ბრინჯაოს ნემსი აღმოჩნდა სამარხის SO ნაწილში.

286. ქილის პირ-ყელის ფრაგმენტი სილაბარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—მოშავო, შუაგული — მოწაბლისფრო. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელი ყოფილა პირგანიერი. პირთან გარშემოუყვება ღარი.

287. ჭოთანი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, მოშავო ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, ძლიერ დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს ჰორიზონტალური ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეს ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელ ზედაპირზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 12,3 სმ; პირის დიამეტრი — 12,6 სმ; მუცლის დიამეტრი — 16 სმ; ძირის დიამეტრი — 6,9 სმ.

288. ქილა ფრაგმენტირებული, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე-პირი მოშავო, შიდა-ნაცრისფერი. ზედაპირი მოშავო, ჩალისფერი ლაქებით, ხორკლიანი. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ვიწრო ძირი. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი რელიეფური ზოლი. ძირის დიამეტრი — 7,4 სმ.

289. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

290. ლანგარი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი ნაცრისფერი, ზედაპირზე მოშავო და ჩალისფერი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს გადაშლილი, შიგნით დაქანებული ბრტყელბაკოიანი პირი, სწორი წიბოიანი მხრები, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული კალთა, ვიწრო ძირი. ძირთან ახლოს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. ძირის კიდეს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევები. სიმაღლე —7,3 სმ, პირის დიამეტრი —30,3 სმ; ძირის დიამეტრი—9,6 სმ.

290ა. ღრმა ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი ნაცრისფერი, ზედაპირზე ჩალისფერი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს რელიეფური ზოლები. სიმაღლე — 13 სმ; პირის დიამეტრი — 17,3 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 6,2 სმ.

291. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო.

292. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა— მოშავო, შუაგული — რუხი.

293. დერგი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მოყავისფროდ. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ორი ბრტყელი ყური. ყელის ძირს გარშემოუყვება ერთი ტალღური, მხარსა და მუცელს კი — კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 36.2 სმ; პირის დიამეტრი — 12,4 სმ; მუცლის დიამეტრი — 30 სმ; ძირის დიამეტრი — 10,8 სმ.

294. ქოთანი ფრაგმენტირებული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს ჰქონია გადაშლილი პირი, ძლიერ დაბალი ყელი, მომრგვალებული მუცელი და ვიწრო ძირი. ყელს ძირში გარშემოუყვება ჰორიზონტალური ფრჩხილისებული, ხოლო ძირის კიდეს—ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. პირის დიამეტრი — 16,3 სმ; ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

295. ქოთანი, პირთან ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცი — მოყავისფრო რუხი, ზედაპირზე ლეგა ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მომრგვალებული მუცელი, ვიწრო ძირი. ყელს ძირში გარშემოუყვება ჰორიზონტალური ფრჩხილისებული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე—12,7 სმ; პირის დიამეტრი — 13,1 სმ; მუცლის დიამეტრი— 7 სმ. ძირის დიამეტრი — 7 სმ.

295ა. დერგი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — ნაცრისფერი, შუაგული —წაბლისფერი. ზედაპირი ნაცრისფერი, მოყავისფრო და ლეგა ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ლილვაკისებურბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილი ჰქონია მრგვალგანივკვეთიანი ყური. მხარს გარშემოუყვება ერთი ტალღური და ორი კონცენტრული ამოღარული ხაზი. ეტყობა ჩარხისეული ხაზებიც. სიმაღლე—36 სმ; პირის დიამეტრი —12 სმ; მუცლის დიამეტრი — 30 სმ; ძირის დიამეტრი — 12 სმ.

296. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული—მოწითალო ყავისფერი.

297. სამარილე (?) სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი. მოყავისფრო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, წიბოიანი მხრები, ვიწრო ძირი. პირთან ახლოს დაძერწილია მრგვალღეროიანი ყური. სიმაღლე — 2,8 სმ; პირის დიამეტრი — 7,2 სმ; ძირის დიამეტრი — 3,1 სმ.

298. ქოთანი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად, ზედაპირზე ლეგა და ჩალისფერი ლაქებით. ჭურჭელს აქვს განიერი, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. ყელს ძირში გარშემოუყვება ჰორიზონტალური ფრჩხილისებული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 11.1 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 13 სმ; ძირის დიამეტრი — 5,1 სმ.

299. მახათი ბრინჯაოსი, ყუნწიანი. სიგრძე — 11,2 სმ.

სამარხი № 37 (ტაბ. XX). ორმოსამარხი № 37 ზევიდან ედო № 68 სამარხს, რომელიც თავის მხრივ № 69 სამარხს ფარავდა. ამგვარად, აქაც სამარხების სამიარუსიან განლაგებასთან გვქონდა საქმე.

ორმოსამარხი № 37 დაზიანებული იყო, მაგრამ მისი ორმოს კონტურების (1,68×1,42 მ) გარკვევა მაინც მოხერხდა. იგი სიგრძივ დამხრობილი იყო NW — SO.

სამარხში აღმოჩენილი თითო-ოროლა წვრილი ძვლისა და № 1 თიხის ჭურჭელში აღმოჩენილი თავის ქალისა და სარძევე კბილების მიხედვით —დაკრძალული ყოფილა მცირეწლოვანი ბავშვი.

სამარხის მთელ ფართობზე ერთნაირად იყო განლაგებული თიხის 24 ჭურჭელი. სამარხის ცენტრალურ ნაწილში ბრინჯაოს სამაჯური აღმოჩნდა.

300. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

301. კათხა ფრაგმენტირებული. სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, მოშავო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს ჰქონია გადაშლილი პირი, დაბალი წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. პირსა და წიბოზე დაძერწილი ყოფილა ერთი ყური. პირს გარედან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

302. კათხა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი, გადაშლილი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. პირსა და მუცლის წიბოზე დაძერწილია ყური. პირს გარედან გარშემოუყვება ერთი ღარი. სიმაღლე — 8,2 სმ; პირის დიამეტრი — 10,8 სმ; ძირის დიამეტრი — 4,5 სმ.

303. ტოლჩა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ჩალისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი, გადაშლილი პირი, წელში გამოყვანილი ტანი და ფართო ბრტყელი ძირი. პირთან დაძერწილი ორი უნაგირისებური შვერილი ყური ორ-ორი ნახვრეტით. პირთან ახლოს გარშემოუყვება რელიეფური ზოლები. სიმაღლე — 13,4 სმ; პირის დიამეტრი — 15,4 სმ; ძირის დიამეტრი — 12,6 სმ.

304. კათხა, ძირთან ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირი ლეგა, შიდა — ნაცრისფერი. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, წელში ოდნავ გამოყვანილი ტანი. დაბალი, სუსტად გამოსახული წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. პირსა და წიბოზე დაძერწილია ყური. ყურს ზურგზე დაუყვება ერთი ღარი. პირს გარედან გარშემოუყვება ღარი. სიმაღლე — 10 სმ; პირის დიამეტრი —12 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

305. კათხის პირ-გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს ჰქონია გადაშლილი პირი. წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი მკვეთრად გამოსახული წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. პირსა და წიბოზე დაძერწილი ყოფილა ყური. პირს გარშემოუყვება ორი ღარი, რომელიც ქმნის რელიეფურ ზოლებს.

306. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ყავისფერი.

307. ქილა მსხვილმარცვლოვანი თიხისა. არათანაბრად გამომწვარი, კეცი

მონაცრისფრო-რუხი და მოშავო. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი პირი. დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ამობურცული ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. სიმაღლე — 20 სმ; პირის დიამეტრი — 10,9 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 7,7 სმ.

308. ჭოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო-რუხად, ზედაპირზე ლეგა ლაქებით. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი ბრტყელი ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარს ამკობს ჰორიზონტალური ფრჩხილისებული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 13,1 სმ; პირის დიამეტრი — 14 სმ; მუცლის დიამეტრი — 17 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

309. ღრმა ჯამი, ნაკლული. სილანარევი წმინდა თიხისა, კეცის გარე და შიდაპირი — მოშავო, შუაგული — რუხი. ზედაპირი მოშავო, რუხი ფერის ლაქებით. ჭურჭელს აქვს ბიკონუსური ტანი, ოდხავ ამობურცული ძირი. მხარზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. ძირის დიამეტრი — 8,2 სმ.

310. ჭურჭლის ფრაგმენტები მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი —მოშავო, შუაგული — მოყავისფრო.

311. ჭოთნის ძირ-გვერდი სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — ნაცრისფერი, შუაგული — მოწითალო ყავისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. ძირის კიდეს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირის დიამეტრი — 8,8 სმ.

312. ჭოთანი ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — ნაცრისფერი, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი ნაცრისფერი, ლეგა ლაქებით. ჭურჭელს ჰქონია გადაშლილი ბაკომომრგვალებული პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს სამკუთხა ფორმის, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირის დიამეტრი — 7 სმ.

313. კათხა პირთან ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — მონაცრისფრო რუხი, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. ყური დაძერწილია პირსა და მუცლის წიბოზე. პირთან გარშემოუყვება ერთი რელიეფური ზოლი. სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 11 სმ; ძირის დიამეტრი — 4,9 სმ.

314. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა—მოშავო, შიდა—მოწითალო-ყავისფერი. ზედაპირზე დაუყვება ღარები.

315. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — მოყავისფრო-რუხი.

316. ფიალა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — მონაცრისფრო-რუხი, შუაგული — მოწითალო ყავისფერი. ზედაპირი მონაცრისფრო-რუხი, მოშავო ლაქებით. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ძირვიწრო ჭურჭელი, პირთან გარშემოუყვება წიბო, რომელიც პირთან ერთად ქმნის ღარს. სიმაღლე 4 სმ; პირის დიამეტრი — 14,4 სმ; ძირის დიამეტრი — 4,8 სმ.

317. ქილის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი.

318. კათხა მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი ნაცრისფერი. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი სუსტად გამოსახული წიბოიანი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. პირთან გარშემოუყვება ერთი ღარი. სიმაღლე — 8,4 სმ; პირის დიამეტრი — 12 სმ. ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

319. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოწითალო ყავისფერი. ზედაპირზე გაუყვება კონცენტრული ღარები.

320. დერგი განლეჭილი თიხისა. კეცი გამომწვარია ჩალისფრად, ზედაპირზე მოშავო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ლილვაკისებურბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალი ყელი. გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. ყელს ძირში გარშემოუყვება კონცენტრული ღარები. სიმაღლე — 31,4 სმ; პირის დიამეტრი — 11,6 სმ; მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი — 9,8 სმ.

321. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მოწითალო-ყავისფერი. ზედაპირზე გაუყვება ღარები.

322. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. ყელს ძირში გარშემოუყვება რელიეფური ტალღური ზოლი და ერთი ღარი, მუცელზე ორი განიერი ღარი. სიმაღლე — 31,7 სმ; პირის დიამეტრი — 12,8 სმ; მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი — 9,4 სმ.

323. ჯამი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ძირვიწრო ჭურჭელი. პირთან გარშემოუყვება ერთი ღარი. სიმაღლე—4,7 სმ; პირის დიამეტრი — 15,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

324. სასმისი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, ბრტყელი ძირი. პირთან გარშემოუყვება ორი ღარი. სიმაღლე — 9,4 სმ; პირის დიამეტრი — 6,9 სმ; ძირის დიამეტრი — 4,6 სმ.

325. რგოლები ბრინჯაოსი, ბრტყელღეროიანი, თავებგახსნილი. (2 ცალი). რგოლის დიამეტრი — 3,8 სმ.

326. კვირისტავი ძვლისა. დიამეტრი — 4.3 სმ; სიმაღლე — 2,3 სმ.

სამარხი № 38 (ტაბ. XXI) წარმოადგენს მიწაყრილიან ორმოიან ყორღანულ სამარხს. ყრილი დაზიანებული იყო ჩაშვებული ორმოსამარხების (№№ 34, 35) მიერ.

ყორღანის კამერა ძველ ჰუმუსში იყო ჩაჭრილი და მასზე ისეც შეინიშნებოდა, როგორც სხვა ყორღანული კამერები — ყვითელ ლაქად. როგორც ჩანს, ძველი განამარხებული ჰუმუსის ქვეშ მდებარე ყვითელი კირნარევი თიხნარი კამერისათვის გაჭრის შემდეგ ნაწილობრივ ისევ კამერას ეყრებოდა, კამერის გადახურვის ჩანგრევის შემდგომ კი ეს დანაყარი მიწა ისევ კამერას ავსებდა და კამერის კიდეები, რომელიც ძველ ჰუმუსში იყო ჩაჭერილი ყვითლად იკვეთებოდა.

კამერა ოთხკუთხა იყო (1,67×1,40 მ), სიღრმეზე დაახლოებით 0,80 მ, დამხრობილი NW—SO. NW მხარეს კამერის პირისაგან 0,6 მ-ის მოშორებით რიყის დიდი ქვა იყო ჩარჭობილი, რომელიც როგორც ჩანს, სამარხის სანიშნობლად იყო გაკეთებული.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში, ოდნავ S კუთხისაკენ აღმოჩნდა მარჯვენა გვერდზე დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით NW დამხრობილი.

სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი განლაგებული იყო ძირითადად სამარხის NW, NO და SO კედლების გასწვრივ, თუმცა თითო-ოროლა ჭურჭელი სამარხის ცენტრში იდგა.

327. ჭილა ნაკლული, განლექილი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ლილვაკისებურბაკოიანი ვიწრო პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, მრგვალი მუცელი, ვიწრო ძირი. ყური დაძერწილია ყელსა და მუცელზე. მხარს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 26,2 სმ; პირის დიამეტრი — 11,6 ძირის დიამეტრი — 10,1 სმ.

328. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქებით, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, მომრგვალებული მხარი, ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული კალთა და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 18 სმ; მუცლის დიამეტრი — 19 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

329. ჭილის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქებით, კარგად მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი. ყელის ძირსა და მუცელს გარშემოუყვება ორ-ორი ღარი. პირის დიამეტრი — 10,1 სმ.

330. ჭილა განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული — მონაცრისფრო რუხი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული და ტალღური ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 17,5 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; მუცლის დიამეტრი — 18 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

331. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები.

332. ჭურჭლის ფრაგმენტები მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ყავისფერი.

333. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

334. სასმისი ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე მოშავო, შუაგული —

ღია მოყავისფრო. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 15,9 სმ; პირის დიამეტრი — 9 სმ.

335. ქვაბქოთანა განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო. შუაგული — რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია და სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი, მოყრილი პირი დაბრტყელებული ბაკოთი, მომრგვალებული მუცელი და მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირი. პირთან გარშემოუყვება ოთხი, მუცელზე ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 15,3 სმ; პირის დიამეტრი — 14,9 სმ; მუცლის დიამეტრი — 24, სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

336. ტოლჩის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი. ნაცრისფერი ლაქებით, სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს ჰქონია გადაშლილი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი, ბრტყელი ძირი. პირთან დაძერწილია შვერილი — ყურა. ყელს ძირში და მუცელს წიბოსთან გარშემოუყვება თითო განიერი ღრმა ღარი. პირის დიამეტრი — 16 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

337. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

338. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული —მოწაბლისფრო. ზედაპირი მოშავო, მოყავისფრო-რუხი ლაქებით. ზედაპირი მოგლუვებულია.

339. სასმისი ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი. მუცელზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღრმა ღარი. პირის დიამეტრი — 8,1 სმ.

340. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდას თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ჩალისფერი ლაქებით, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი, გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება ერთი ღარი. სიმაღლე — 8,8 სმ; პირის დიამეტრი — 12,7 სმ, ძირის დიამეტრი—5,7 სმ.

341. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, ჩალისფერი ლაქებით, კარგად მოგლუვებული.

342. ქილა განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. არათანაბრად გამომწვარი, კეცი ნაცრისფერი და შავი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი. დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარზე გარშემოუყვება ერთმანეთზე გადაბმული კონცენტრული წრეების ერთი რიგი და ორხაზიანი ჩარჩოში ჩასმუ-

ლი ტალღური ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 26 სმ; პირის დიამეტრი — 13, სმ; ძირის დიამეტრი — 10,1 სმ.

343. სასმისი ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — ყავისფერი. ზედაპირი შავი, რუხი ლაქით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, მაღალი კონუსური ყელი, დაჭნეტული მხრები, გამობერილი მუცელი. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი კონცენტრული ამოღარული ხაზი. პირის დიამეტრი — 6,6 სმ.

344. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, შავი ლაქებით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, მხრებსწორი, მუცელგამობერილი ძირვიწრო ჭურჭელი. პირსა და მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ერთი ყური. მხრის მუცელზე გადასვლის ადგილზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღრმა ღარი, რომელიც ქმნის მუცლის წიბოს. სიმაღლე — 9,8 სმ; პირის დიამეტრი — 17,2 სმ; ძირის დიამეტრი — 6. სმ.

345. ჯამის პირისა და ძირ-გვერდის ფრაგმენტი, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი შრე — შავი, შიდა — მოწითალო-ყავისფერი. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელი ყოფილა: პირგანიერი, ოდნავ მომრგვალებული მხრითა და მუცლით, ძირვიწრო. მხრის მუცელზე გადასვლის ადგილზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღრმა ღარი, რომელიც ქმნის მუცლის წიბოს. სიმაღლე — 9,6 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

346. დერგი ფრაგმენტირებული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული — მოწითალო-ყავისფერი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალებია. პირვიწრო უნდა ყოფილიყო, მხრებდაქანებული, მუცელგამობერილი, ძირვიწრო. მუცელზე ლენტური ორი ყურით. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები და დატანილია თეთრი ანგობით შესრულებული მეანდრები. ძირის დიამეტრი — 8 სმ.

347. ჭოთანი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო-მორუხოდ. ზედაპირი მონაცრისფრო-რუხი, მოშავო ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი, გადაშლილი პირი, ძლიერ დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარს ამკობს ირიბი ნაჭდევების ორი რიგი და კონცენტრული ამოღარული ხაზები, ძირის კიდეს — ირიბი ნაჭდევები. პირთან ნაკლული. სიმაღლე — 12,3 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

348. ჭილა ფრაგმენტირებული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული მოწითალო-ყავისფერი. ზედაპირი მოშავო, ღია ყავისფერი ლაქებით, ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, მხარს ამკობს ერთი ტალღური და კონცენტრული ამოღარული ხაზები. პირის დიამეტრი — 11,2 სმ.

349. სადღვებელი ფრაგმენტირებული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი შავი, ყავისფერი ლაქებით, მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი ბაკომომრგვალებული ვიწ-

რო პირი, დაბალი ყელი, ვიწრო ძირი. მუცელზე გარშემოუყვება კონცენტრული ღარები. დიამეტრი — 9,3 სმ.

350. ჯამი სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული — მოწითალო ყავისფერი. ზედაპირი მოშავო, მოყავისფროლეგა ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, სწორი მხრები და ვიწრო ძირი. სიმაღლე — 5 სმ; პირის დიამეტრი—10,4 სმ; ძირის დიამეტრი — 5 სმ.

351. ხელადა ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული—ყავისფერი. ზედაპირი ხაოიანია. ეს არის ყელმაღალი, მხრებდაჭანებული, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. ყური დაძერწილი ყოფილა პირსა და მხარზე. ყელის ძირს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები, მუცელს ერთი განიერი ღარი, მათ შორის მხარზე რამდენიმე ადგილას დატანილია ოთხი ღარისაგან შემდგარი კონცენტრული წრეები, რომლებსაც გარშემოუყვება მცირე ზომის კონცენტრული წრეები.

352. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია ჩალისფრად. ზედაპირი ჩალისფერი, ლეგა ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, დაჭანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარზე გარშემოუყვება განიერი ღარები, რომლებიც ქმნიან რელიეფურ ზოლებს. სიმაღლე—8,6 სმ; პირის დიამეტრი—12.4 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

353. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, მოყავისფრო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, მაღალი კონუსური ყელი, დაჭანებული მხრები, გამობერილი მუცელი, მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირი. მხარზე გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 15,7 სმ; პირის დიამეტრი — 8,3 სმ; მუცლის დიამეტრი — 12,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

354. ჭილის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალებია. შიდაპირი დასერილია ჩარხისეული ხაზებით.

355. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ, ზედაპირზე მოშავო ლაქებით, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს განიერი, გადაშლილი პირი, სწორი წიბოიანი მხრები. ოდნავ ამობურცული ძირი. სიმაღლე — 6,2 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; ძირის დიამეტრი — 4,4 სმ.

356. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცს გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალებია.

357. ჭილა ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია, ეტყობა ნაპრიალების კვალი. შიდაპირი დასერილია ჩარხისეული ხაზებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, დაბალი ყელი. გამობერილი მუცელი უნდა ჰქონოდა ამობურცული ვიწრო ძირით. მხარზე

დაძერწილია ჰასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. პირის დიამეტრი — 11 სმ; ძირის დიამეტრი — 6,4 სმ.

358. ხვია ბრინჯაოსი, ერთმანეთზე გადასული თავებით. ხვიის დიამეტრი — 1,2 სმ; ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ.

359. მძივები სარდიონის ცილინდრული 1 ცალი, ნახეთქი — 16 ცალი, პასტისა — 2 ცალი, ბრინჯაოსი — 1 ცალი.

სამარხი № 39 (ტაბ. XXII) წარმოადგენს ოთხკუთხ ორმოს (1,7×1,20). სიგრძივ დამხრობილი NW—SO. სამარხი ორმოს კონტურები არ შეინიშნებოდა. სამარხის ზომები და დამხრობა სამარხეული ინვენტარის მიხედვით დადგინდა.

სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი განლაგებული იყო სამარხის NW—SO ნაწილში.

ადამიანის ჩონჩხი სამარხის ცენტრალურ ნაწილში იყო დასვენებული. მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით NW.

ჩონჩხთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ხვია, ჩონჩხის ზურგს უკან ცხოველის ძვლები ეწყო.

360. ქოთნის ძირ-გვერდის ფრაგმენტი, მჭისე, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ, ზედაპირზე მოშავო ლაქებით. ზედაპირი დაღარულია კონცენტრული ხაზებით, ძირის კიდეს ამკობს ირიბი ნაჭდევები. ძირის დიამეტრი — 8,4 სმ.

361. ჭურჭლის ფრაგმენტები მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი მოგლუვებულია.

362. ქილა პირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა, კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — მონაცრისფრო-ჩალისფერი, შუაგული მოწითალო-ყავისფერი. ძირთან — გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოწითალო-ყავისფერი. ეს არის პირვიწრო ჭურჭელი მაღალი კონუსური ყელით, დაჭანებული მხრებით, გამობერილი მუცლით და ვიწრო ძირით. ყელის ძირს და მუცელს გარშემოუყვება თითო გაშლილი ტალღისებური ამოღარული ხაზი, მათ შორის არე შევსებულია კონცენტრული ღარებით. მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი — 11,4 სმ.

363. ქოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი ლეგა, ზედაპირზე მოშავო ლაქებით. ეს არის პირგანიერი და გადაშლილი, მხრებდაჭანებული, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. პირზე გარშემოუყვება ერთი ღარი, ყელთან და ძირის კიდეზე ირიბი ნაჭდევები, მთელ ზედაპირზე — კონცენტრული ღარები. სიმაღლე —13,5 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 6,7.

364. ქოთანი ძირთან ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი მოშავო. ეს არის პირგანიერი და გადაშლილი, ყელდაბალი, მხრებდაჭანებული, მუცელგამობერილი ჭურჭელი. მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილიაეული, ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. პირის დიამეტრი — 16,8 სმ.

365. კათხა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი მონაცრისფრო-მორუხო. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, ოდნავ გამოყვანილი ტანი, დაბლაი წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. ყური დაძერწილია პირსა და მუცლის წიბოზე. პირთან გარ-

შემოუყვება ორი ღარი. სიმაღლე — 10,8 სმ; პირის დიამეტრი — 11,8 სმ; ძირის დიამეტრი — 5,1 სმ.

366. ჭილა ძირთან ნაკლული, სილანრაევი თიხისა. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, დაჭანებული მხრები, გამობერილი მუცელი. მუცელზე დაძერწილი ჰქონია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. პირის დიამეტრი — 11,7 სმ.

367. ქვაბჭოთანა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი ლილვაკისებურბაკოიანი პირით, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი, ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ძირის კიდეს — ირიბი, ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 24,6 სმ; პირის დიამეტრი — 11,4 სმ. მუცლის დიამეტრი — 27 სმ; ძირის დიამეტრი — 11 სმ.

368. სამაჯური ბრინჯაოსი, ოვალურგანივკვეთიანი ღეროსი. გატეხილია სამად. დიამეტრი — 6,2 სმ; ღეროს სიმაღლე — 0,4 სმ; ღეროს სიგანე — 0,5 სმ.

369. სამაჯური ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, გატეხილია სამად. დიამეტრი — 6,2 სმ; ღეროს დიამეტრი — 0,4 სმ.

370. სამაჯური ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, გატეხილია ხუთ ნაწილად. დიამეტრი — 7 სმ; ღეროს დიამეტრი — 0,3 სმ.

371. სამაჯურის ნატეხები ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. ღეროს დიამეტრი — 0,3 სმ.

372. სამკაული ბრინჯაოსი, ბრტყელი ღეროსი, დატალღული ფორმის. ღეროს სიგანე — 0,3 სმ.

373. მძივები სარდიონის, ნახეთქი 7 ცალი.

სამარხი № 40 (ტაბ. XXIII) წარმოადგენს ოთხკუთხ ორმოს (1,67×1, 30 მ), სიგრძივ დამხრობილს NW—SO. სამარხი გამართული იყო განაშარხებულ ჰუმუსზე.

სამარხის დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი—მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით NW.

სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ძირითადად განლაგებული იყო NO და SO კედლების გასწვრივ, ჩონჩხის ხერხემლის უკან და ფეხებთან.

სამკაულები კონცენტრირებული იყო მიცვალებულის გულმკერდისა და ყელის არეში. ბრინჯაოს ერთი ღილი აღმოჩნდა ჩონჩხის ტერფთან. იქვე აღმოჩნდა ცხოველის ძვლები.

374. სასმისი პირთან ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი ორფენიანი: გარეპირი — შავი, შიდა—ნაცრისფერი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული. ჭურჭელი პირვიწრო უნდა ყოფილიყო, კონუსური მაღალი ყელით, მუცელგამობერილი, ბრტყელძირიანი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. ძირის დიამეტრი — 5,8 სმ.

375. დერგი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, ჩალისფერი ლაქებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია მასიური სამკუთხა ორი ყური, ოვალური ნახვრე-

ტით. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 40,4 სმ; პირის დიამეტრი — 11,4 სმ: მუცლის დიამეტრი — 30 სმ; ძირის დიამეტრი — 9,4 სმ.

376. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი. შუაგული — მოყავისფრო.

377. ქილა ძირთან ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი ორფენიანი: გარეპირი — შავი, შიდა — ჩალისფერი. ზედაპირი შავი, ყავისფერი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი პირდაპირ გადადის მრგვალ მუცელში. შემკულია ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზით. პირის დიამეტრი — 11,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 31 სმ;

378. ქილა ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. არათანაბრად გამომწვარი, კეცი ნაცრისფერი, ზოგან კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი და შავი, მოგლუვებული. პირი ვიწრო უნდა ჰქონოდა, ოდნავ გადაშლილი, დაბალი ყელი პირდაპირ გადადის მრგვალ მუცელში. მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური დაძერწილია ყელის ძირთან.

379. კათხა განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი. შუაგული—მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ბიკონუსსური ტანით, და ვიწრო ძირით. ყური დაძერწილია პირსა და მუცლის წიბოზე. პირთან გარშემოუყვება სამი ღარი. სიმაღლე — 10,5 სმ; პირის დიამეტრი — 12 სმ; ძირის დიამეტრი — 5,6 სმ.

380. ქილა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ჩალისფრად. ზედაპირი ჩალისფერი, ნაცრისფერი და შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მუცელზე გარშემოუყვება ერთი ღარი. სიმაღლე — 20,3 სმ; პირის დიამეტრი — 10,3 სმ; მუცლის დიამეტრი — 23 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

381. ქვაბქოთანა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი შრე — ჩალისფერი, შიდა — მოშავო. ზედაპირი — ჩალისფერი, მოშავო ლაქებით. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი ჭურჭელი ამობურცული ვიწრო ძირით. ყელსა და მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეს ირიბი ღრმა ნაჭდევები. ძირს გარშემოუყვება ამოღარული სპირალი, მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 23,5 სმ; პირის დიამეტრი — 20,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 27 სმ; ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

382. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ზედაპირი ლეგა, ნაცრისფერი ლაქებით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ბიკონუსსური ტანით და ამობურცული ვიწრო ძირით. მუცელზე გარშემოუყვება. ორი ღარი. სიმაღლე — 7,8 სმ; პირის დიამეტრი — 13,1 სმ; ძირის დიამეტრი — 5 სმ.

383. ქილა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად, ზოგან მისი გარეპირის თხელი შრე — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი ნაცრისფერი და შავი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშილილი ვიწრო პირი.

ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ვიწრო ოდნავ ამობურცული ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე —24,6 სმ; პირის დიამეტრი —11 სმ; მუცლის დიამეტრი —22 სმ; ძირის დიამეტრი — 8,3 სმ.

384. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის თხელი შრე—შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქით, მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ბრტყელბაკოიანი ჭურჭელი ბოკონუსური ტანით და ვიწრო ძირით. მუცელზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 10,4 სმ; პირის დიამეტრი — 18,4 სმ; ძირის დიამეტრი — 7,2 სმ.

385. სასმისი სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა— მოშავო, შიდა — ჩალისფერი. ზედაპირი მოშავო, ჩალისფერი ლაქებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, მაღალი ყელი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი. ყელს ძირში გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. სიმაღლე — 12 სმ; პირის დიამეტრი — 7,2 სმ; მუცლის დიამეტრი — 10 სმ; ძირის დიამეტრი — 5 სმ.

386. ქოთანი სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირი შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, დაქანებული მხრებით, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. ყელის ძირსა და მხარს გარშემოუყვება ჰორიზონტალური, ფრჩხილისებული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით, ძირი — ამოღარული სპირალით. სიმაღლე — 17,2 სმ; პირის დიამეტრი — 14 სმ; მუცლის დიამეტრი — 19 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

387. სასმისის ყელის ფრაგმენტი სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე—ჩალისფერი, შუაგული — ლეგა. მოგლუვებული ზედაპირით.

388. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

389. ქილის პირ-გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, მუცელზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

პირის დიამეტრი — 13 სმ.

390. სასმისის ფრაგმენტები, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

391. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

392. ღილები ბრინჯაოსი, კონუსური ფორმის, თავზე კოპით, შიდა მხარეს

ბრტყელი ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება ღარები, ნაპირებზე მცირე ზომის კოპები. 2 ცალი.

1) დიამეტრი 1,5 სმ; სიმაღლე — 0,9 სმ.

2) დიამეტრი 1,6 სმ; სიმაღლე — 0,8 სმ.

393. მძივები სარდიონის 6 ცალი.

ს ა მ ა რ ხ ი № 41 (ტაბ. XXIV). ორმოსამარხი ძლიერ იყო დაზიანებული. სამარხის ნაშთში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, მძივები, ბრინჯაოს რგოლი და ნემსი, ფირფიტები, ცხოველის ძვლები.

394. ლანგარი, სილანარევი თიხისა. შავად გამომწვარი. ზედაპირზე ლეგა ლაქებით. ეს არის პირგანიერი, ოდნავ მომრგვალებული ბაკოთი, მხრებსწორი, ძირვიწრო ჭურჭელი. მხრის ძირში გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. ყურებს შორის დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. სიმაღლე — 12 სმ; პირის დიამეტრი — 35 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

395. დერგი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, შავი ლაქით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი. მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარზე გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. სიმაღლე—27 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; მუცლის დიამეტრი — 27 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

396. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა. არათანაბრად გამომწვარი, კეცი მონაცრისფრო ყავისფერი, ზედაპირზე მოშავო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, საშუალო სიმაღლის ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი ტალღური, მხარს კი — ერთი ტალღური და სამი კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 31 სმ; პირის დიამეტრი — 12 სმ; მუცლის დიამეტრი — 25 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

397. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

398. ფირფიტის ნატეხები ბრინჯაოსი.

399. ნემსი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, ყუნწით. სიგრძე — 8 სმ.

400. რგოლი ბრინჯაოსი, ბრტყელი ღეროსი, ოვალურად მორკალული. გატეხილი.

401. მძივები სარდიონის 61 ცალი. ნახეთქი, მრგვალი, სფერული დაბრტყელებული ფუძეებით, ოვალური.

ს ა მ ა რ ხ ი № 42 (ტაბ. XXV) წარმოადგენს ყორღანული სამარხის ოთხკუთხ კამერას, (სიღრმე 0,70 მ; 1,75 × 1,40 მ). სიგრძივ დამხრობილს ზუსტად NS. კამერის პირამდე მიწა გვიანფეოდალურ ხანაში ჩანს ნაბრუნები, რამაც ვფიქრობთ ყორღანის ყრილი გაანადგურა.

სამარხი ორმოს პირი განამარხებული ჰუმუსის შავ ფონზე ყვითელ ლაქად შეინიშნებოდა.

სამარხში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩენილა, თუმცა ჩონჩხისათვის განკუთვნილი ადგილი კამერაში თავისუფალი იყო. სამარხ ორმოში თიხის ჭურ-

ჭლები განლაგებული იყო ჩრდილო ნაწილში და აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ. ჩრდილო კედელთან გამოვლინდა ცხვრის ძვლები, ხოლო ცენტრალურ ნაწილში, იქ სადაც მიცვალებულის ჩონჩხი უნდა ყოფილიყო-სხვადასხვა სამკაული.

402. ქვაბჭოთანა მსხვილმარცვლოვანი თიხისა, უწმინდესი თეთრი მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია ღია მოყავისფროდ. ზედაპირი ხაოიანია. ესაროს პირგანიერი, ბაკომომრგვალებული, მუცელგამობერილი და ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს გარშემოუყვება ირიბი ღრმა ნაჭდევების ერთი რიგი, სამი განიერი ღარი და რელიეფური წნული სარტყელი. ძირის კიდეს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევები.

სიმაღლე — 30 სმ; პირის დიამეტრი — 23 სმ; მუცლის დიამეტრი — 32,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

403. დერგი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი მონაცრისფრო რუხი. ძირთან მისი გარეპირის თხელი ფენა — შავია, შიდა — რუხი. ზედაპირი — შავი და ნაცრისფერი, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 30 სმ; პირის დიამეტრი — 10,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 25 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ;

404. დერგი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი როგორც ჩანს ნაპრიალები ყოფილა. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრულ ამოღარულ ხაზებს შორს მოქცეული ამოღარული ტალღური ხაზი. შემდეგ საკმაოდ განიერი სარტყელი ნატვიფრი ერთიმეორეში ჩასმული კონცენტრული მცირე წრეებითაა შემკული. ამგვარივე ორნამენტითაა შემკული ყურები. ნატვიფრი სახეებით შემკული სარტყელი ქვემოდან რამდენიმე ამოღარული ხაზითაა შემოსაზღვრული. ამ ხაზებს ქვემოთ მუცელზე ერთ ადგილას ნატვიფრი კონცენტრული ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეებია დატანილი — შუაში ერთი, მის გარშემო კი წრიულად ექვსი. სიმაღლე — 27 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 24 სმ; ძირის დიამეტრი — 9,6 სმ.

405. ჯამი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი —შავი, შუაგული — მონაცრისფრო. ზედაპირი ნაპრიალები ყოფილა. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, ოდნავ ჩომრგვალებული, გოფრირებული მხარი და ვიწრო ძირი. პირსა და მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ერთი ყური. სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 12,5 სმ; ძირის დიამეტრი — 4,9 სმ.

406. ჯამი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს განიერი ბაკომომრგვალებული პირი, ოდნავ გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 7,5 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; ძირის დიამეტრი — 5,2 სმ.

407. სადღვებელი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. არათანაბრად გამომწვარი. კეცი მონაცრისფრო. ძირთან გარეპირის თხელი შრე — შავი, შიდა ნაცრისფერი. ზედაპირი შავი და ნაცრისფერი, ნაპრიალები ყოფილა. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი. მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირი. მუცელზე დატანილია სითხის ვადმოსაღვრელი მილი. მუცელს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური ამოღარული და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 25 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 24 სმ; ძირის დიამეტრი — 7,5 სმ.

408. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თერი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი, მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირი. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 18 სმ; პირის დიამეტრი — 12 სმ; მუცლის დიამეტრი — 23 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

409. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი — შავი ყავისფერი ლაქებით.

410. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მონაცრისფრო. ზედაპირი მოგლუვებულია. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ოდნავ მოძრგვალებული მხრებით, ვიწრო ძირით. მხარს ძირში გარშემოუყვება ერთი განიერი ღრმა ღარი. პირსა და მხარზე დაძერწილია მრგვალნახვრეტიანი პატარა ყური. სიმაღლე — 6 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; ძირის დიამეტრი — 4 სმ.

411. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია შავად. ზედაპირი ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი, მუცელზე გარშემოუყვება ერთი ღრმა ღარი. სიმაღლე — 13 სმ; პირის დიამეტრი — 7 სმ; მუცლის დიამეტრი — 13 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

412. ჯამი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი ნაპრიალებია. ეს არის პირგანიერი, ბაკომორგვალებული ჭურჭელი ოდნავ გამობერილი მუცლითა და ვიწრო ძირით. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები, მუცელზე გარშემოუყვება ერთი ღრმა ღარი. სიმაღლე — 10 სმ; პირის დიამეტრი — 16,4 სმ; ძირის დიამეტრი — 5,2 სმ.

413. ჯამი ფრაგმენტირებული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი—შავი, შუაგული — წაბლისფერი.

414. ჯამი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი—შავი, შუაგული-ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, პირთან ნაცრისფერი ლაქით, ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი ბაკო-

მომრგვალებული პირი, ოდნავ გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მუცელზე გარშემოუყვება რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 8 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

415. ჭურჭლის ფრაგმენტები მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი შავი, ყავისფერი ლაქებით.

416. ქილა კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, პირთან ნაცრისფერი ლაქით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ორი ბრტყელი ყური. ყელს პრიალა შვეული ხაზები დაუყვება, მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 22 სმ; პირის დიამეტრი — 8 სმ; მუცლის დიამეტრი — 17 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

417. ქილა კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი —შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 18 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 22 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

418. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, რუხი. ლაქებით, ნაპრიალები ყოფილა. ეს არის პირგანიერი, მხრებსწორი, ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 7 სმ; პირის დიამეტრი — 13 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

419. ჯამი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით კეცის გარეპირი—შავი, შიდა—რუხი. ზედაპირი შავი, ნაფრისფერი ლაქით. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ოდნავ გამობერილი მუცლითა და ვიწრო ძირით. მუცელზე გარშემოუყვება ერთი ღრმა ღარი, მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 8 სმ; პირის დიამეტრი — 13 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

420. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული —მოყავისფრო. ზედაპირი ხაოიანია. ჭურჭელს აქვს განიერი, გადაშლილი პირი, ოდნავ მომრგვალებული მუცელი და ვიწრო ძირი. მხარს ამკობს რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 8 სმ; პირის დიამეტრი — 14 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

421. სასმისი ძირთან ნაკლული, კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირი—ყავისფერი, შიდას თხელი ფენა— შავი. მოგლუვებული ზედაპირით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი; ძირვიწრო უნდა ყოფილიყო. ყელის ძირს და მუცელს გარშემოუყვება თითო ღრმა ღარი.

პირის დიამეტრი — 7 სმ; მუცლის დიამეტრი — 12 სმ;

422. ჯამის პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტი, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი ნაპრიალებია. ჭურჭელი ყოფილა პირგანიერი, მხრებსწორი, ძირვიწრო; მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

423. სასმისის პირ-გვერდის ფრაგმენტი, კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — ლეგა. ზედაპირი ნაპრიალები. ჭურჭელი ყოფილა: ოდნავ პირგადაშლილი. ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი და ძირვიწრო. მხარს ამკობს რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი, მუცელზე გარშემოუყვება ერთი ღრმა ღარი.

424. სასმისი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. გამომწვარია შავად. ზედაპირი ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული ვიწრო პირი, კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ამობურცული ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 12 სმ; პირის დიამეტრი — 7 სმ; მუცლის დიამეტრი — 10 სმ; ძირის დიამეტრი — 5 სმ.

425. სასმისი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. ზედაპირი რუხი, დიდი შავი ლაქით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, მაღალი, გოფრირებული ყელი, ბიკონუსური ტანი, ოდნავ ამობურცულ ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 13 სმ; პირის დიამეტრი — 7 სმ; მუცლის დიამეტრი — 11 სმ; ძირის დიამეტრი — 5 სმ.

426. ხვია ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა ღეროსი, ბოლოებწატეხელი. დიამეტრი — 2,2 სმ; ღეროს სიგანე — 0,3 სმ; ღეროს სიმაღლე — 0,2 სმ.

427. ხვია ბრინჯაოსი, ბრტყელღეროიანი, 1,5 ხვიისა. ბოლოებწატეხილი. უდ. დიამეტრი — 2,6 სმ; უმც. დიამეტრი — 2,3 სმ;

ღეროს სიგანე — 0,3 სმ; ღეროს სიმაღლე — 0,2 სმ.

428. ხვია ბრინჯაოსი, ბრტყელღეროიანი, 1,5 ხვიისა. ბოლოებწატეხილი. უდ. დიამეტრი — 2,3 სმ; უმც. დიამეტრი — 2,2 სმ; ღეროს სიგანე — 0,3 სმ; ღეროს სიმაღლე — 0,2 სმ.

429. რგოლი ბრინჯაოსი, თავებგახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. დიამეტრი — 2,5 სმ; ღეროს დიამეტრი — 0,3 სმ.

430. ღილი ბრინჯაოსი, ფრაგმენტირებული, ზედაპირზე გაუყვება ღარები.

431. კილიტები ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, ორი ცალი.

1. დიამეტრი — 0,7 სმ;
2. დიამეტრი — 0,8 სმ.

432. მძივები ბრინჯაოსი, ცილინდრული, ორი ცალი.

1. დიამეტრი — 0,7 სმ; სიმაღლე — 0,5 სმ.
2. დიამეტრი — 0,7 სმ; სიმაღლე — 0,6 სმ.

433. ძეწკვი ბრინჯაოსი.

434. საკიდი ბრინჯაოსი, ბაყაყის სკულპტურული გამოსახულებით.

ს ა მ ა რ ხ ი № 43 (ტაბ. XXVI 435—438). შემორჩენილი იყო ორმოსამარხის მხოლოდ მცირე ნაშთი. სამარხი გამართული ყოფილა განამარხებულ ჰუმუს-

ზე. სამარხში აღმოჩენილი ადამიანის ძვლების ფრაგმენტები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ მიცვალებული მარცხენა გვერდზე ყოფილა დაკრძალული. სამარხში აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი.

435. სადღვებელი, ფრაგმენტირებული, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი უხეში, რუხად გამომწვარი. ზედაპირი ხორკლიანი. ჭურჭელს უნდა ჰქონოდა ოდნავ გადაშლილი პირი, ძლიერ დაბალი ყელი, მრგვალმუცლიანი უნდა ყოფილიყო და ძირვიწრო. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი, იქვე ახლოს დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური, რომლის მხოლოდ ფრაგმენტია შერჩენილი. მხარს, ყელთან ახლოს გარშემოუყვება სამი განიერი ღარი. პირის დიამეტრი — 13,7 სმ.

436. ჭოთანი, ფრაგმენტირებული, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირი — ყავისფერი, შიდაპირის თხელი ფენა — ნაცრისფერი. ზედაპირი ყავისფერი, მოშავო ლაქებით, ხორკლიანი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, ძლიერ დაბალი ყელი. მრგვალმუცლიანი ყოფილა და ძირვიწრო. ყელთან ახლოს, მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისებული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილი ყოფილა კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

437. კათხის პირ-გვერდის ფრაგმენტი ყურით, სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი შრე — ნაცრისფერი, შიდა — შავი. ზედაპირი მოგლუვებულია.

438. სადღვებელი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — ღია მოყვავისფრო, შუაგული — აგურისფერი. ზედაპირი ხორკლიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთ, საშუალო სიმაღლის ყელი. მრგვალმუცლიანია, მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირით. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი, მის გვერდით დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. მხარს გარშემოუყვება ორი განიერი ღარი, მუცელს — ერთი. სიმაღლე —35 სმ; პირის დიამეტრი —11,7 სმ, მუცლის დიამეტრი — 30 სმ; ძირის დიამეტრი — 8,1 სმ.

სამარხი № 44 (ტაბ. XXVI 439—454) ორმოსამარხი ძლიერ იყო დაზიანებული. მისი ზომების დადგენა ინვენტარის განლაგების მიხედვით მოხდა (1, 55×0,92 მ). სამარხი სიგრძივ დამბრობილი იყო NW—SO.

სამარხში ადამიანის ჩონჩხი და ინვენტარი სავენახე მიწის გადაპრუნების დროს დაზიანებულა და ნაკლული იყო, რის გამოც მათ განლაგებაში წესრიგი არ შეიმჩნეოდა.

439. ლანგარი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, შიგნით დაჭანებული ბრტყელბაკოიანი ძირვიწრო ჭურჭელი. ზედაპირი დასერილია წმინდა ჩარხისეული ხაზებით. სიმაღლე— 7 სმ; პირის დიამეტრი — 27 სმ;

ძირის დიამეტრი — 7,7 სმ.

440. ჭურჭლის ფრაგმენტები მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ყავისფერი.

441. ჯამი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ბიკონუსური ტანით და ვიწრო ძირით. სიმაღლე — 8 სმ; პირის დიამეტრი — 12,5 სმ; ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

442. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — ყავისფერი.

443. ჭურჭლის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი სამფენიანი: გარე და შიდაპირი—შავი,შუაგული —მოყავისფრო.

444. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, სუსტად ნაპრიალები.

445. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მოწითალო ყავისფრად.

446. ქოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, შავი ლაქებით. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. ყელთან ახლოს, მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილასებული, ხოლო ძირის კიდეს ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 13,5 სმ; პირის დიამეტრი — 13,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 18 სმ; ძირის დიამეტრი — 5,9 სმ.

447. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მოწითალო-ყავისფრად. ზედაპირი ყავისფერი, შავი ლაქებით.

448. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი.

449. კათხა მსხვილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი, გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, შავი ლაქით. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ბიკონუსური ტანით, და ვიწრო ძირით. პირსა და მუცლის წიბოზე დაძერწილია ყური. პირს ქვემოთ გარშემოუყვება ღარები. სიმაღლე — 7,5 სმ; პირის დიამეტრი — 7,6 სმ; ძირის დიამეტრი — 5 სმ;

450. კათხა მსხვილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი, გამომწვარია მოყავისფროდ. ზედაპირი ხორკლიანი. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი წიბოიანი მუცლითა და ვიწრო ძირით. პირსა და მუცლის წიბოზე დაძერწილი ყოფილა ყური.

სიმაღლე — 5,5 სმ; პირის დიამეტრი — 8,3 სმ; ძირის დიამეტრი 3,9 სმ.

451. ტოლჩა მსხვილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი, გამომწვარია მოყავისფროდ. ზედაპირი ხორკლიანი. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი წელში ოდნავ გამოყვანილი ტანით და განიერი ოდნავ ამობურცული ძირით. პირს გარშემოუყვება ორი ღარი.

სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

452. კვირისტავი ძვლის.

453. ხვია ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი.

454. საკიდი ბრინჯაოსი, ბიკონუსური ფორმის, მუცელზე სწორი ჰდეებით.

სამარხი № 45 (ტაბ. XXVII). სამარხი ორმოს კიდეები არ შეინიშნებოდა. სამარხეული ინვენტარის განლაგების მიხედვით ორმოს ოთხკუთხი ფორმა უნდა ჰქონოდა (1,67×1,20 მ). სიგრძივ დამხრობილი ყოფილა N—S

სამარხში ადამიანის ჩონჩხი არ აღმოჩენილა, თიხის 14 ჭურჭელი სამარხის მთელ ფართობზე იყო მოდებული.

455. ლანგარი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მოშავოდ. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ძირვიწრო ჭურჭელი, პირზე დაძერწილია ძასიური, დაკუხთული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. გარეთ დახრილი, დაბრტყელე-

ბული პირი შემკულია სავარცხლისებრი ნაჭდევებით. სიმაღლე — 10 სმ; პირის დიამეტრი — 43 სმ; ძირის დიამეტრი — 11 სმ.

456. სადღვებელი, ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ხაოიანია. ჭურჭელი მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. მილის სიმაღლეზე გარშემოუყვება თითო გაშლილი ტალღური და კონცენტრული ამოღარული ხაზი.

მუცლის დიამეტრი — 28 სმ; ძირის დიამეტრი — 7,5 სმ.

457. ტოლჩა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი რუხი. ზედაპირი რუხი, ყავისფერი და შავი ლაქებით, ხაოიანი. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი წელში ოდნავ გამოყვანილი ტანით, დაბალი წიბოიანი მუცლით და მკვეთრად გამოსახული ბრტყელი ძირით. პირზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. პირთან ახლოს გარშემოუყვება სამი განიერი ღარი.

სიმაღლე — 18 სმ; პირის დიამეტრი —17 სმ; ძირის დიამეტრი —12,5 სმ.

458. ქვაბქოთანა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ხორკლიანი. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ლილვაკისებურბაკოიანი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. ჭურჭლის მხარი შემკულია ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეირიბი ღრმა ნაჭდევებით. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარულ ხაზებით, ძირი — ამოღარული სპირალით. სიმაღლე — 25 სმ; პირის დიამეტრი — 18 სმ; მუცლის დიამეტრი — 28 სმ; ძირის დიამეტრი — 3 სმ.

459. ლანგარი სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია და სუსტად ნაპრიალები. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი ჭურჭელი მკვეთრად გამოსახული ბრტყელი ძირით. გარეთ დახრილ, დაბრტყელებულ პირს ამკობს წიწვოვანი ორნამენტი.

სიმაღლე — 18სმ; პირის დიამეტრი—17 სმ; ძირის დიამეტრი—12,5 სმ.

460. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოწითალო ყავისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

461. ქვაბქოთანა განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო რუხი. ზედაპირი შავი, მოყავისფრო და რუხი ფერის ლაქებით, მოგლუვებული. პირმოყრილი, ბრტყელბაკოიანი. ჭურჭლის ზედა ნაწილი ბირთვისებური ფორმისაა, ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება და მთავრდება მკვეთრად გამოსახული, დაბალი ჭუსლიანი ძირით. მხარზე დაძერწილია აცქვეტილი, ბრტყელი ორი ყური, რომლის ზურგზე დატანილია ამოღარული არიბი მოკლე ხაზები. პირს ამკობს ორ ღარს შორის დატანილი წმინდად ამოღარული ბადური ორნამენტი, მუცელს — რელიეფური სარტყელი.

სიმაღლე — 16 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; მუცლის დიამეტრი — 25 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

462. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი.

463. ჭილა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მოყავისფროდ. ზედაპირი მოყავისფრო, ძირთან შავი ლაქით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი. დაბალი კონუსური ყელი,

დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. ყელის ძირზე და მხარზე გარშემოუყვება თითო განიერი ღარი.

სიმაღლე — 18 სმ; პირის დიამეტრი — 8,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 18 სმ; ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

464. ჭილა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მორუხოდ, ზოგან მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი შავი და რუხი, მოგლუვებული ყოფილა. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი. მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. პირის დიამეტრი — 9,3 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

465. დოქი, ფრაგმენტირებული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — მოშავო, შიდა — ყავისფერი. ზედაპირი მოშავო, ყავისფერი ლაქებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, მაღალი ყელი. ჭურჭელი უნდა ყოფილიყო მხრებდაქანებული და მუცელგამობერილი. ყელსა და მხარზე დაძერწილია ერთი ყური. ყელის ძირში გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. მხარი შემკული ყოფილა გეომეტრიული ორნამენტით — სავარცხლისებრის ძტამპით შესრულებულ მოგრძო ოთხკუთხედებში მოთავსებული ამავე წესით შესრულებული ერთმანეთში ჩასმული სამკუთხედები. პირის დიამეტრი — 15 სმ.

466. დერგი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირზე შავი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილი ლეხტური ორი ყური. ყელის ძირზე გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტლაღური, მხარზე—ორი განიერი ღარი.

სიმაღლე — 31 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 28 სმ; ძირის დიამეტრი — 10,5 სმ.

467. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ყავისფერი.

468. ჭურჭლის ფრაგმენტები მსხვილმარცვლოვანი თიხისა, უხეშკეციანი. მისი გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული—მოყავისფრო. ზედაპირი ხორკლიანი.

ცხოველის ძვლები.

ს ა მ ა რ ხ ი № 46 (ტაბ. XXVIII) წარმოადგენს ოთხკუთხ ორმოს (2, 10×1,40 მ). სიგრძივ დამხრობილს WO.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე. მოხრილი კიდურებით, თავით W. მიცვალებულისათვის ჩაუყოლებიათ თიხის ხუთი ჭურჭელი, რომელიც მისი პირისახის წინ დაუწყვიათ და სხვადასხვა სამკაული, რომელიც ჩონჩხის მახლობლად იყო კონცენტრირებული.

469. სასმისი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი შავი, ყავისფერი ლაქებით, მოგლუვებული, ნაპრიალები ყოფილა. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, მაღალი კონუსური

ყელი, დაჭანებული მხრები. მრგვალი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 17 სმ; პირის დიამეტრი — 8,2 სმ; მუცლის დიამეტრი — 15 სმ; ძირის დიამეტრი — 4,2 სმ.

470. ბადია, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი მოგლუვებული, ძირთან ნაპრიალები. ეს არის პირგანიერი, ლილვაკისებურბაკოიანი, მხრებდაჭანებული, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული განიერი ღარები, რომლებიც ქმნიან რელიეფურ ზოლებს.

სიმაღლე — 18 სმ; პირის დიამეტრი — 25 სმ; მუცლის დიამეტრი — 28 სმ; ძირის დიამეტრი — 7,5 სმ.

471. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია მოყავისფრო მორუხოდ, ძირთან მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოყავისფრო მორუხო. ზედაპირი მოგლუვებული, ძირთან სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 35 სმ; პირის დიამეტრი — 12,1 სმ; მუცლის დიამეტრი — 31 სმ; ძირის დიამეტრი — 8,6 სმ.

472. ჭილა, ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი შავი, მოყავისფრო ლაქებით, მოგლუვებული, ნაპრიალები ყოფილა. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, გამობერილი მუცელი. მხარს ამკობს სოლური ნაჭდევების ჯგუფები, ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

პირის დიამეტრი — 14,3 სმ.

473. სამკერდული ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ბრტყელი ყუნწით. ზედაპირზე შუაში — მრგვალბრტყელი კოპით.

დიამეტრი — 4,7 სმ; სიმაღლე — 1,3 სმ.

474. სამკერდული ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდაპირზე ბრტყელი ყუნწით. ნაპირზე გარშემოუყვება ღარი, ზედაპირზე აქვს წვერით ცენტრისკენ მიქცეული სამკუთხედები. დიამეტრი — 4,7 სმ; სიმაღლე — 1 სმ.

475. სამკერდული ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ერთი ყუნწით. ნაპირზე გარშემოუყვება ერთი ღარი. ზედაპირზე აქვს წვერით ცენტრისკენ მიქცეული სამკუთხედები.

დიამეტრი — 4,2 სმ; სიმაღლე — 1,1 სმ.

476. ღილი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული. შიდა მხარეს ერთი ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება ორი ღარი.

დიამეტრი — 2,4 სმ; სიმაღლე — 1 სმ.

477. ღილი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ერთი ყუნწით. გატეხილი.

დიამეტრი — 2,2 სმ.

478. ღილი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ერთი ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება ორი ღარი. გატეხილი.

დიამეტრი — 2,5 სმ.

479. კილიტები ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ერთი ყუნწით.

დიამეტრი — 0,9 სმ.

480. ბეჭედი ბრინჯაოსი, ბრტყელი ღეროსი, ზედაპირზე გასდევს ღარები. დიამეტრი — 2,2 სმ; ღეროს სიგანე — 0,6 სმ.

481. ბეჭედი ბრინჯაოსი, ბრტყელი ღეროსი, ზედაპირზე გასდევს ღარები.

დიამეტრი — 2,2 სმ; ღეროს სიგანე — 0,5 სმ.

482. მძივები ბრინჯაოსი, ცილინდრული ფორმის, 13 ცალი.

483. საკიდი ბრინჯაოსი, ბაყაყის სკულპტურული გამოსახულებით. სიგრძე — 2,8 სმ.

484. მძივები სარდიონის, მრგვალბრტყელი ფორმისა, 6 ცალი.

ს ა მ ა რ ხ ი № 47 (ტაბ. XXIX 485—491ა). შემორჩენილი იყო ორმოსამარხის ნაშთი. სამარხში მხოლოდ თიხის ხუთი ჭურჭლის დაზიანებული, ნაკლული ფრაგმენტები აღმოჩნდა.

485. ჭილის პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტები, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოშავო, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, რუხი ფერის ლაქებით, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული ვიწრო პირი, ძალიან დაბალი ყელი, გაზიდული მხრები უნდა ჰქონოდა, გამობერილი მუცელი და მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირი. მხარზე გარშემოუყვება რელიეფური სარტყელი, მის ზემოთ დატანილია სოლისებური, წვერით ზემოთ მიმართული ნაჭდევების ჯგუფები.

პირის დიამეტრი — 14,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9,5 სმ.

486. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — მოყავისფრო მორუხო. ზედაპირი შავი, კარგად მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები.

487. კათხა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ, ზედაპირზე შავი ლაქით. პირგანიერი, ოდნავ მომრგვალებული მუცელი გადადის მკვეთრად გამოსახულ ბრტყელ ძირში. პირზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ყური. ძირი შემკულია ამოღარული სპირალით.

სიმაღლე — 6 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

488. ქვაბქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფროდ. ზედაპირი ხაოიანია. მხარი შემკულია რელიეფური ნაჭდევი და ტალღური ორნამენტით. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

489. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. უხეშკეციანი, ნაცრისფრად გამომწვარი. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

490. სასმისის გვერდის ფრაგმენტი, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქებით,

კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. მხარს გარშემოუყვება რელიეფური ზოლები.

491. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია მონაცრისფროდ, ძირთან შავი ლაქით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, მაღალი კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარი შემკულია კონცენტრულ ამოღარულ ხაზებს შორის დატანილი წიწვოვანი ორნამენტით. სიმაღლე — 17,2 სმ; პირის დიამეტრი — 8,8 სმ; მუცლის დიამეტრი — 13 სმ; ძირის დიამეტრი — 6,1 სმ.

491ა. მძივი სარდიონის, მრგვალი დაბრტყელებული ფუძით, 1 ცალი.

ცხოველის ძვლები.

სამარხი № 48 (ტაბ. XXIX 492—497) წარმოდგენილი იყო ორმოსამარხის მცირე ნაშთის სახით.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილი იყო თხის? თუ შვლის? მთელი ჩონჩხი, ანატომიურ წესრიგში განლაგებული ყველა ძვლით. ჩონჩხის გარშემო თიხის ჭურჭლები გამოვლინდა.

492. ჭილა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ხაოიანია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარზე დაძერწლია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყურა. ყელთან ახლოს, მხარზე გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. სიმაღლე — 16,9 სმ; პირის დიამეტრი — 9,1 სმ; მუცლის დიამეტრი — 17,5 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

493. სასმისი პირთან ნაკლული, კარგად განლექილი თიხისა. კეცი გამომწვარია ყავისფრად. ზედაპირი ყავისფერი, შავი ლაქებით. ჭურჭელს აქვს მსხლისებური ტანი და ვიწრო ძირი. ყელის ძირს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. მუცლის დიამეტრი — 9,6 სმ; ძირის დიამეტრი — 4,7 სმ.

494. ჭილა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, მოშავო ლაქებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და ორი განიერი ღარი. სიმაღლე — 24 სმ; პირის დიამეტრი — 13 სმ; მუცლის დიამეტრი — 25,6 სმ; ძირის დიამეტრი— 9 სმ.

495. მძივები სარდიონის, მრგვალბრტყელი, 13 ცალი.

496. სამაჯურის ფრაგმენტები ბრინჯაოს მრგვალი მავთულისა, ბოლოები აკეცილია.

497. ნიჟარა ორი ცალი.

სამარხი № 49 (ტაბ. XXX 498—507) წარმოადგენს მოგრძო ორმოს (1,33×1მ), სიგრძივ დამხრობილს NS.

სამარხი გამართული იყო განამარხებულ ჰუმუსზე, მისი ერთი ნაწილი დაზიანებულა № 50 სამარხის გამართვისას.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული იყო მიცვალებულის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილო-დასავლეთით.

სამარხის ჩრდილო, დასავლეთ და სამხრეთი კედლების გასწვრივ თიხის ჭურჭლები იყო შემოწყობილი, აღმოსავლეთის კედელთან კი ცხოველის ყბა იდო.

498. ჭილა სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — რუხი. ზედაპირი მოშავო, დიდი შავი ლაქით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარზე დაბერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მუცელს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 19,5 სმ; პირის დიამეტრი — 5 სმ; მუცლის დიამეტრი — 19 სმ; ძირის დიამეტრი — 6,6 სმ.

499. სასმისის პირ-ყელის ფრაგმენტი სილანარევი თიხისა, ეწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი შავი, მოგლუვებული. ეს არის ჭურჭელი ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული ვიწრო პირით და მაღალი კონუსური ყელით. მხარი შემკული ჰქონია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. პირის დიამეტრი — 8,6 სმ.

500. ქოთანი მჭისე, წვრილმარცვლოვანი თიხისა, კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, მოშავო ლაქებით, ხორკლიანი. ეს არის პირგანიერი, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი, ძირვიწრო ჭურჭელი. პირს ზემოდან ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული ნაჭდევები ამკობს. ასეთივე ნაჭდევები გარშემოუყვება ყელის ძირსა და მხარს. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირის კიდეს ამკობს ირიბი, ხოლო ძირს სამკუთხა ფორმის ნაჭდევები. სიმაღლე — 18 სმ; პირის დიამეტრი — 17 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 7,2 სმ.

501. დერგი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი რუხი, ზოგან მისი გარეპირის თხელი ფენა—შავი, შიდა—რუხი. ზედაპირი რუხი და შავი, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, ძალიან დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი. მხარს ამკობს ორღარიან ჩარჩოში ჩასმული ტალღური ამოღარული ხაზი. სიმაღლე—23,8 სმ; პირის დიამეტრი — 14,8 სმ; მუცლის დიამეტრი — 28 სმ; ძირის დიამეტრი — 11,5 სმ.

502. ქოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი რუხი, ძირთან შავი ლაქით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი, ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს ამკობს ჰორიზონტალური ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირს გარშემოუყვება სამკუთხა ფორმის ნაჭდევების ერთი რიგი. სიმაღლე— — 14,9 სმ; პირის დიამეტრი — 14,9 სმ; მუცლის დიამეტრი — 16,4 სმ; ძირის დიამეტრი — 6,6 სმ.

503. დერგის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული სამფენიანი: ნაპირებში წაბლისფერი, შუაში — შავი.

504. ჯამი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, მოშავო ლაქებით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, ბაკომომრგვალებული, ძირვიწრო ჭურჭელი. სიმაღლე — 8,5 სმ; პირის დიამეტრი — 14,4 სმ; ძირის დიამეტრი — 6,6 სმ.

505. ჯამი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირი — შავი, შიდაპირის

ძალიან თხელი ფენა — რუხი. ზედაპირი შავი, მონაცრისფრო ლაქით, ხაოიანი. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი დაჭანებული მხრებით, ოდნავ გამობერილი მუცლით, წიბოთი და ვიწრო ძირით. მხარზე გარშემოუყვება სამი განიერი ღარი. სიმაღლე — 8,8 სმ; პირის დიამეტრი — 15,8 სმ; ძირის დიამეტრი — 6,3 სმ.

506. ქოთანი ნაკლული, პირ-გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი თიხისა. უხეშკეციანი, შავად გამომწვარი. ზედაპირი ხაოიანი. ეს არის პირგანიერი, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი და ძირვიწრო ჭურჭელი. პირს ზემოდან გარშემოუყვება ერთი ღარი, პირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. პირის დიამეტრი — 14,9 სმ.

507. ლანგარი ღრმა, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი წაბლისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქებით, მოგლუვებული. პირგანიერი ჭურჭელია, პირზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. ბრტყელძირიანი. სიმაღლე — 10,5 სმ; პირის დიამეტრი — 43,7 სმ; ძირის დიამეტრი — 16 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 51 (ტაბ. XXX 508—515). შემორჩენილი იყო ორმოსამარხის მხოლოდ მცირე ნაშთი. თიხის ჭურჭლებთან ერთად ადამიანის თავის ქალაც აღმოჩნდა.

508. ჭურჭლის ფრაგმენტები მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირი ნაცრისფერი, შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული—წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

509. ჭურჭლის ფრაგმენტები კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული—წაბლისფერი. ზედაპირი შავი, მოგლუვებული.

510. ქოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი, მისი გარე და შიდაპირი — შავი. შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, ღია მოყავისფრო ლაქებით. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ლილვაკისებურბაკაანი ყელდაბალი მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. ყელსა და მხარს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევების თითო რიგი, მათ შორის გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 19,3 სმ; პირის დიამეტრი — 16,5 სმ; მუცლის დიამეტრი—24,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8,8 სმ.

511. სასმისი, პირთან ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს დაჭანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ამობურცული ვიწრო ძირი. მხარსა და მუცელზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. მუცლის დიამეტრი — 11,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6,2 სმ.

512. სასმისის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი — შავი, მოგლუვებული.

513. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევები. კეცი გამომწვარია ყავისფრად.

514. ქილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკი-

სებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ამობურცული ვიწრო ძირი, მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარი შემკული აქვს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზით. სიმაღლე — 18,7 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; მუცლის დიამეტრი — 17 სმ; ძირის დიამეტრი — 7,5 სმ.

515. კოჭობი სილანარევი თიხისა. კეცი შავად გამომწვარი. ზედაპირი შავი, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, ჭურჭელი ბიკონუსური ტანით და ვიწრო ძირით. პირს ზემოდან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. ყელი და მხარი შემკული აქვს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული ნაჭდევებით. სიმაღლე — 9,5 სმ; პირის დიამეტრი — 11,9 სმ; მუცლის დიამეტრი — 14,6 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 52 (ტაბ. XXXI 516—521). № 52 და № 54 ორმოსამარხებს ზევიდან ფარავდა № 53 ორმოსამარხი, მაგრამ სამწუხაროდ სამივე სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული.

№ 52 სამარხიდან მხოლოდ მცირე ნაშთიღა იყო გადარჩენილი, რომელშიც თიხის ხუთი ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა.

516. დერგის ფრაგმენტები, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, დაბალი კონუსური ყელი. პირის დიამეტრი — 11,5 სმ.

517. ბადია სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაქანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი. მხარს გარშემოუყვება ორი, მუცელს — ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 19 სმ; პირის დიამეტრი — 23 სმ; მუცლის დიამეტრი — 29 სმ;

518. კათხის პირ-გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო რუხი. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელი ყოფილა პირგანიერი, წელში ოდნავ გამოყვანილი ტანით, დაბალი წიბოიანი მუცლით.

519. ლანგარი — საწური, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ბრტყელბაკოიანი ჭურჭელი სწორი, წიბოიანი მხრებით და ბრტყელი ძირით. პირთან დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური, შუაში პირთან ახლოს, დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. სიმაღლე — 7,5 სმ; პირის დიამეტრი — 32,5 სმ; ძირის დიამეტრი — 10,1 სმ.

520. ფიალა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — ღია წაბლისფერი. ზედაპირი მოშავო, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ოდნავ მომრგვალებული მხრებით და ვიწრო ძირით. პირთან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი, მხარზე რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. პირთან დაძერწილია ოთხკუთხგანივკვეთიანი ჰორიზონტალური ყური. სიმაღლე — 4,7 სმ; პირის დიამეტრი — 11,5 სმ; ძირის დიამეტრი — 5,1 სმ.

521. მახათი ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი, ყუნწმოტეხილი, მოღუნული.

ს ა მ ა რ ხ ი № 53 (ტაბ. XXXI 522—529) ზევიდან ედო № 52 და № 54

სამარხებს. № 53 სამარხიდანაც მხოლოდ მცირე ნაშთია შემორჩენილი, რომელშიც თიხის ხუთი ჭურჭელი აღმოჩნდა.

522. ქილა ფრაგმენტირებული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, მოგლუვებული. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, მხარი შემკულია ტალღური და კონცენტრული ამოღარული თითო ხაზით.

523. ჯამი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირი — შავი, შიდაპირის თხელი ფენა — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი, სწორი, გოფრირებული მხრებით, და ვიწრო ძირით. სიმაღლე — 6,8 სმ; პირის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 7,9 სმ.

524. ქოთანი. წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მოწაბლისფროდ. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 20 სმ; პირის დიამეტრი — 16 სმ; მუცლის დიამეტრი — 22 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

525. დოქი, პირთან ნაკლული, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი. მაღალყელიანი, მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირიანი ჭურჭელია. ყელსა და მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური, ყურს ზემოდან გარდიგარდმო დაძერწილი აქვს უნაგირისებური ლილვაკი. ყელის ძირზე გარშემოუყვება ორ ღარს შორის ნაკაწრი წიწვოვანი ორნამენტი. სიმაღლე — 40,3 სმ; მუცლის დიამეტრი — 32,5 სმ; ძირის დიამეტრი — 13,5 სმ.

526. ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

527. სამაჯური ბრინჯაოსი, ოვალურგანივკვეთიანი ღეროსი, ერთმანეთზე გადსული თავებით. დიამეტრი — 7,5 სმ; უმც. დიამეტრი — 7,1 სმ; ღეროს სიგანე — 1,1 სმ; ღეროს სიმაღლე — 0,8 სმ.

528. ბეჭდის ფრაგმენტები ბრინჯაოსი, ბრტყელღეროიანი, ზედაპირზე ღარებით.

529. საკიდი პასტისა, ოთხფურცლიანი ვარდულის ფორმის, ხუთი ნახვრეტით. სიგრძე — 2 სმ; სიმაღლე — 0,6 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 54 (ტაბ. XXXI 530—534) აღმოჩნდა № 53 სამარხის ქვეშ. ორმოსამარხი დაზიანებული და მცირე ნაშთის სახით იყო წარმოდგენილი.

530. ლანგარი სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი- შავი, პირთან რუხი ლაქით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი შიგნით ჩაკეცილი ბრტყელი ბაკოთი და ბრტყელი, დაბალქუსლიანი ძირით. პირზე დაძერწილია შვერილი — ყური, ვერტიკალური მრგვალი ნახვრეტით. ჭურჭლის ბაკოს და ქუსლს ნაჭდევი წიწვოვანი ორნამენტი ამკობს, ძირს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული წრეები. სიმაღლე — 8,8 სმ; პირის დიამეტრი — 31,5 სმ; ძირის დიამეტრი — 10,2 სმ.

531. ჯამი ფრაგმენტირებული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია შავად. ზედაპირი შავი, მოგლუვებული და ნაპრიალები.

532. ჯამი ფრაგმენტირებული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია შავად. ზედაპირი შავი, მოგლუვებული და ნაპრიალები.

533. ქილის პირ-გვერდის ფრაგმენტები, სილანარევი თიხისა, კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, მოგლუვებული. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური.

534. ხვია ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, 1,5 ხვიისა. დიამეტრი — 2,3 სმ; ღეროს დიამეტრი — 0,3 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 56 (ტაბ. XXXII). ამ სამარხთან სამარხების სამი იარუსი იყო. სულ ზევიდან, მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა № 56 ორმოსამარხი. იგი უშუალოდ ზედ ედო № 58 ორმოსამარხს, რომელიც თავის მხრივ ფარავდა № 64 სამარხის ნაწილს.

№ 56 სამარხის მცირე ნაშთიღა იყო შემორჩენილი, მაგრამ მაინც ჩანდა, რომ სიგრძივ NW—SO ყოფილა დამხრობილი. სამარხში თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ერთიმეორეში იყო არეული, რის გამოც მათი გამოცალკევება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი შეიქმნა.

535. სასმისი, პირნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, მოგლუვებული, ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე გარშემოუყვება ერთი პრიალა ტეხილი ხაზი. სიმაღლე — 14,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 12 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

536. ტოლჩა ნაკლული, სილანარევი თიხისა. უხეშკეციანი, ნაცრისფრად გამომწვარი. ჭურჭელს ჰქონია განიერი პირი, წელში ოდნავ გამოყვანილი ტანი, ბრტყელი ძირი. პირს გარედან გარშემოუყვება სამი განიერი ღარი და ერთი რელიეფური ზოლი. ძირის დიამეტრი — 14 სმ.

537. ქილა ნაკლული, სილანარევი თიხისა. უხეშკეციანი, ნაცრისფრად გამომწვარი. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ყური. ყელის ძირზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 16,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 16,9 სმ; ძირის დიამეტრი — 7,1 სმ.

538. ჯამი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული —რუხი. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, პირს ქვემოთ განიერი ღარით, ოდნავ გამობერილი, წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. მთელ კორპუსზე შეიმჩნევა ჩარხზე ტრიალის კვალი. სიმაღლე — 7,3 სმ, პირის დიამეტრი — 14 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

539. ქოთანი ფრაგმენტირებული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. მხარი შემკული ყოფილა ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდე-ირიბი ღრმა ნაჭდევებით. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ღარებით.

540. ქოთანი ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი ხაოიანია. ეს არის პირგანიერი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი და ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს ამკობს ჰორიზონტალური,

ფრჩხილისებული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით, ძირი შემკულია ამოღარული სპირალით. სიმაღლე — 15,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 18,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8,3 სმ.

541. დერგი ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — რუხი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, კვერცხისებური ტანი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ყური. ყელს ვარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 34 სმ; პირის დიამეტრი — 11,2 სმ; მუცლის დიამეტრი — 25,5 სმ; ძირის დიამეტრი—9,2 სმ.

542. დერგი წვრილმარცვლოვანი თიხისა. არათანაბრად გამომწვარი, კეცი ნაცრისფერი, ზოგან მისი გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა- ნაცრისფერი. ზედაპირი შავი და ნაცრისფერი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი. მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარს ამკობს რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 24 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; მუცლის დიამეტრი — 27,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

543. ქილა, გადარჩენილია კორპუსის ქვედა ნაწილი. სილანარევი თიხისა. უხეშკეციანი, ლეგა. მუცელზე გაუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. ძირის დიამეტრი — 8 სმ.

544. ქოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი ლეგა. ეს არის პირგანიერი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისებული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 14,4 სმ; პირის დიამეტრი — 14,6 სმ; მუცლის დიამეტრი — 13,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

545. ქვაბქოთანა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული. ეს არის პირმოყრილი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. ბრტყელ პირს გარშემოუყვება ორი ღრმა ღარი, რის შედეგადაც სამი შემაღლება იქმნება—შემკული თევზიფხური ნაჭდევი ორნამენტით. მუცელს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი და ერთიც კონცენტრული ამოღარული ხაზი. მხარს დაძერწილი აქვს უნაგირასებური ორი შვილი. სიმაღლე — 18 სმ; პირის დიამეტრი — 11,6 სმ; მუცლის დიამეტრი — 23,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8,1 სმ.

546. კოჭობი, ძლიერ ფრაგმენტირებული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირს ამოღარული სპირალი ამკობს, ძირის კიდეს — ირიბი ნაჭდევები.

547. კოჭობი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი რუხი. ზედაპირი რუხი, პირთან შავი ლაქით. ეს არის პირგანიერი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისებული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ნაჭდევები. მთელ ზედაპირს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები, ხოლო ძირს — ამოღარული სპირალი. სიმაღლე — 12,2 სმ; პირის დიამეტრი — 13,2 სმ; მუცლის დიამეტრი — 16 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

548. კათხა, ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მორუხოდ. ზედაპირი მოგლუვებულია. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი წელში ოდნავ გამოყვანილი ტანით, წიბოიანი მუცლითა და ვიწრო ძირით. პირს გარედან გარშემოუყვება ორი ღარი. სიმაღლე — 10 სმ; პირის დიამეტრი — 13,9 სმ; მუცლის დიამეტრი — 14 სმ; ძირის დიამეტრი — 7,2 სმ.

549. ჭურჭლის ფრაგმენტები, სილანარევი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

სამარხი № 57 (ტაბ. XXXIII 550—568) წარმოადგენს ოთხკუთხა ორმოს (1,80×1,80 მ) სიგრძივ დამხრობილსNW—SO, მიცვალებული იწვა პირდაპირ თიხის ჭურჭლებზე, მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით NW. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოველის ძვლები აღმოჩნდა. თიხის ჭურჭლები სამარხის მთელ ფართობს ფარავდა.

550. ბადია წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ზედაპირი ლეგა, ხაოიანი. ეს არის პირგანიერი, ლილვაკისებურბაკოიანი, მჭრებდაჭანებული ჭურჭელი ოდნავ გამობერილი მუცლით და ვიწრო ძირით. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 15,8 სმ; პირის დიამეტრი — 27 სმ; მუცლის დიამეტრი — 30 სმ; ძირის დიამეტრი — 9,5 სმ.

551. ქვაბქოთანა სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგა მოყავისფროდ. ზედაპირი მოგლუვებულია. ეს არის პირმოყრილი ჭურჭელი პირს ზემოდან ორი ღრმა ღარით; კორპუსის ზედა ნაწილს ბირთვისებური ფორმა აქვს, ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება და მთავრდება მკვეთრად გამოსახული ბრტყელი ძირით. მხარზე ერთიმეორის საპირისპიროდ დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ორი ყური, მათ შორის კი — ერთი უნაგირისებური შვერილი, მის მოპირდაპირე მხარეს—ბაყაყის რელიეფური გამოსახულებაა მიძერწილი. მუცელზე გარშემოუყვება წნევით დატანილი პრიალა ირიბი ხაზებისაგან შემდგარი სარტყელი. სიმაღლე — 17,6 სმ; პირის დიამეტრი — 12 სმ; მუცლის დიამეტრი 24, 5 სმ; ძირის დიამეტრი — 9,9 სმ.

552. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, ხაოიანი.

553. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე მორუხო, შუაგული წაბლისფერი.

554. ქილა განლექილი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული ვიწრო პირი; დაბალი კონუსური ყელი. მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. ყელს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები, მუცელს — ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 19 სმ; პირის დიამეტრი — 10,4 სმ, მუცლის დიამეტრი—20. 1 სმ; ძირის დიამეტრი — 7,5 სმ.

555. ლანგარი, ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული—ყავისფერი. ზედაპირი შავი, ხაოიანი. პირგანიერი ჭურჭელია ბრტყელი ბაკოთი და ვიწრო ძირით. პირს გარედან გარშემოუყვება ღარი. პირზე დაძერწილია სამკუთხა ფორმის შვერილი ყური,

ვერტიკალური მრგვალი ნახვრეტით. სიმაღლე — 10,1 სმ; პირის დიამეტრი — 40 სმ; ძირის დიამეტრი — 14,5 სმ.

556. ლანგარი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი, ნაცრისფრად გამომწვარი. ზედაპირი ნაცრისფერი. შავი ლაქებით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, ბაკომომრგვალებული ჭურჭელი სწორი წიბოიანი მხარით და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით. სიმაღლე — 7,2 სმ; პირის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი — 8,3 სმ.

557. ტოლჩა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი რუხი. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი დაბალი წიბოიანი მუცლით და ოდნავ ამობურცული ძირით. ჭურჭელს პირთან გარშემოუყვება სამი, ხოლო მუცლის წიბოსთან — ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 18 სმ; პირის დიამეტრი — 16,8 სმ; მუცლის დიამეტრი — 20,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

558. კათხის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

559. დერგი ძირთან ნაკლული, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი მონაცრისფრო მორუხო, შავი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული ვიწრო პირი; მრგვალი მუცელი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 28,5 სმ; პირის დიამეტრი — 13,9 სმ; მუცლის დიამეტრი— 32 სმ.

560. დერგი ძირთან ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგა მოყავისფროდ. ზედაპირი ხაოიანი. ეს არის პირგანიერი, ბაკომომრგვალებული, მრგვალმუცლიანი ჭურჭელი. მხარზე დაძერწილია ოთხკუთხგანივკვეთიანი ორი შვერილი. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

პირის დიამეტრი — 16,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 32,5 სმ.

561. სადღვებელი ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი; დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი, მის გვერდით — მრგვალგანივკვეთიანი გრეხილი ყურა.

პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 28,5 სმ.

562. დერგი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყურა. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი, მხარს კი—ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 25 სმ; პირის დიამეტრი — 11,3 სმ; მუცლის დიამეტრი — 24,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8,1 სმ.

563. ქვაბქოთანა სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი ხაოიანი. პირმოყრილი, მუცელგანიერი, ძირვიწრო ჭურჭელია; კორპუსის ზედა ნაწილს ბირთვისებური ფორმა აქვს. მხარზე ერთიმეორის საპირისპიროდ დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ორი ყურა, მათ შორის კი — ხახადაღებული მტაცებელი ცხოველის სკულპტურული გამოსახულებაა და ერთიც — ბრტყელი ღილისებური მინა-

ძერწი. ბრტყელ პირს ამკობს კონცენტრული ღარები და მოკლე ნაჭდევები. მუცელზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 17 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 24 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

564. ქვაბქოთანა ძლიერ ფრაგმენტირებული, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი შავი, მოგლუვებული და ნაპრიალები. პირმოყრილი, პირზე ღრმა ღარებით.

565. ტოლჩა პირთან ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მოყავისფრო. ზედაპირი მოშავო, ნაცრისფერი ლაქებით. პირგანიერი ჭურჭელია ბიკონუსური ტანით და ვიწრო ძირით, პირზე დაძერწილია შვერილი ყური ვერტიკალური მრგვალი ნახვრეტით. პირს გარედან გარშემოუყვება ორი განიერი ღარი, მუცელს კი—ერთი. სიმაღლე — 14,6 სმ; მუცლის დიამეტრი — 17,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

566. კათხა ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — მორუხო. ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით. პირგანიერი ჭურჭელია; წელში ოდნავ გამოყვანილი ტანი უნდა ჰქონოდა, დაბალი წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. პირსა და მუცლის წიბოზე დაძერწილია დაკუთხული ერთი ყური, ზურგზე მოგრძო ღარით. პირს გარედან გარშემოუყვება ერთი ღარი. სიმაღლე — 8,5 სმ.

567. ჯამი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, შავი ლაქებით, ხაოიანი. ეს არის პირგანიერი, ბაკომომრგვალებული ჭურჭელი სწორი წიბოიანი მხარით და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით. სიმაღლე — 8 სმ; პირის დიამეტრი — 26,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

568. სამაჯური ბრინჯაოსი.

სამარხი № 58 (ტაბ. XXXIV, 569—583) № 58 სამარხს ზევიდან ედო № 56 სამარხის ნაშთი, ხოლო თავის მხრივ № 58 ორმოსამარხი ნაწილობრივ ფარავდა № 64 სამარხს.

სამარხი წარმოადგენს ოთხკუთხ ორმოს, სიგრძივ (ინვენტარის მიხედვით) დამხრობილს N—S.

სამარხი ძლიერი იყო დაზიანებული, ჭურჭელი ერთიმეორეში არეული. სამარხის სამხრეთ ნაწილში წვრილფეხა საქონლის მთელი ჩონჩხი გამოვლინდა.

569. ლანგარი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა-შავი, შიდა — მოშავო, შუაგული — რუხი. ზედაპირი —შავი, ყავისფერი ლაქებით. ეს არის პირგანიერი ბრტყელბაკოიანი ჭურჭელი სწორი წიბოიანი მხარით და განიერი ძირით. პირზე დაძერწილია მრგვალნახვრეტიანი დაკუთხული ყური. მხარზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. სიმაღლე — 8,8 სმ; პირის დიამეტრი — 36,3 სმ; ძირის დიამეტრი — 12,2 სმ.

570. ქილა ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ღია მოყავისფროდ. ზედაპირი — მოყავისფრო, შავი ლაქებით, მოგლუვებული. ეს არის მუცელგამობერილი და ძირვიწრო ჭურჭელი. მხარი შემკული ჰქონია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირის დიამეტრი — 7,5 სმ.

571. ქვაბქოთანა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, ძირთან შავი ლაქით, ხაოიანი. ეს არის პირმოყრილი ლილვაკისებურბაკოიანი, მუცელამობერილი და ძირვიწრო ჭურჭელი. მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ორი ყური, მათ

შორის კი — ორი ბრტყელი ღილისებური მინაძერწია. მხარი პირთან ახლოს შემკულია გაშლილი ტალღური ამოღარული ორი ხაზით და მათ შორის ნაჭდევი წიწვისებური ორნამენტით. მუცელს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. ძირს ამკობს კონცენტრული ამოღარული სპირალი, შემაღლებულ ძირის კიდეს — ნაჭდევი წიწვისებური ორნამენტი, ყურის ზურგს—ღრმა ირიბი ნაჭდევები. სიმაღლე — 22,5 სმ; პირის დიამეტრი — 15,5 სმ;

მუცლის დიამეტრი — 28,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9,6 სმ.

572. ჯამი, მცირე ზომის, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი სწორი წიბოიანი მხარით და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით. მხარს გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. სიმაღლე — 6 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; ძირის დიამეტრი — 5,2 სმ.

573. სასმისი განლექილი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი— რუხი, შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, ლილვაკისებური ბაკოთი, მაღალი ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო, ამობურცული ძირი. მხარზე შერჩენილია ყურის მცირე ფრაგმენტი. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი ღარი. სიმაღლე — 15,7 სმ; პირის დიამეტრი — 7,6 სმ; მუცლის დიამეტრი — 11,5 სმ; ძირის დიამეტრი — 4,3 სმ.

574. ბადია, ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ზედაპირი ლეგა, ხაოიანი. ეს არის პირგანიერი, ლილვაკისებურბაკოიანი ჭურჭელი ოდნავ გამობერილი მუცლით. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 25 სმ; მუცლის დიამეტრი — 27,5 სმ;

575. ლანგარი ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ზედაპირი ლეგა, შავი ლაქებით, ხაოიანი. პირგანიერი ჭურჭელია სწორი გოფრირებული მხარით.

576. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ჭურჭელს ჰქონია მაღალი გოფრირებული ყელი.

577. ფიალის პირ-გვერდის ფრაგმენტი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

578. ჯამი ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, შავი ლაქით, ხაოიახი. პირგანიერი ჭურჭელია — სწორი გოფრირებული მხარით.

579. კოჭობის გვერდის ფრაგმენტი, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი, მოწაბლისფრო. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

580. დერგის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი, ლეგად გამომწვარი.

581. საკიდი ძვლისა, ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ გამობერილი, გვერდზე ორი ნახვრეტით.

უდ. დიამეტრი — 2,3 სმ; უმც. დიამეტრი — 2 სმ.

582. საკიდები ძვლისა, მრგვალბრტყელი.

1) სიგრძე — 1,5 სმ; სიგანე — 1,1 სმ; სიმაღლე — 0,7 სმ.

2) სიგრძე — 1,4 სმ; სიგანე — 1,1 სმ; სიმაღლე — 0,7 სმ.

583. ფირფიტის ნატეხები ბრინჯაოსი, ერთი ნახვრეტით. წვრილფეხა საქონლის ძვლები.

სამარხი № 59 (ტაბ. XXXV 584—587) ძლიერ იყო დაზიანებული, როგორც ჩანს № 60 სამარხის მიერ, რომელიც მასზე 0,30 მ-ით ღრმად იყო გამართული.

№ 59 სამარხი წარმოადგენს ოთხკუთხ ორმოს სიგრძივ დამხრობილს NW—SO.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში ადამიანის რამდენიმე ძვალი აღმოჩნდა. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები სამარხის გადარჩენილ ნაწილში ერთიმეორეში იყო არეული.

584. კათხა ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი. მისი გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქით, მოგლუვებული. ჭურჭელს უნდა ჰქონოდა განიერი პირი, წელში ოდნავ გამოყვანილი ტანი. დაბალი წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. წიბოზე შერჩენილია ყურის მცირე ფრაგმენტი.

მუცლის დიამეტრი — 11 სმ; ძირის დიამეტრი — 5,3 სმ.

585. კათხა ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად ზედაპირი — ნაცრისფერი, ძირთან შავი ლაქით. ჭურჭელს უნდა ჰქონოდა განიერი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. წიბოსთან შერჩენილია ყურის ფრაგმენტი. მუცლის დიამეტრი — 11 სმ; ძირის დიამეტრი — 5,4 სმ.

586. ლანგარი ფრაგმენტირებული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ორფენიანი: მონაცრისფრო რუხი და წაბლისფერი. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

587. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი მონაცრისფრო მორუხო. ზედაპირი ხაოიანი. მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

სამარხი № 60 (ტაბ. XXXV 588—598) წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხ ორმოს (1,60×1,17 მ), სიგრძივ დამხრობილი NW—SO. სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული. ამ სამარხის თიხის ჭურჭლის ბევრი ფრაგმენტი № 59 სამარხის ინვენტარში აღმოჩნდა არეული სამარხთა დაზიანების გამო. ამის გამო, ამ ორი სამარხის მასალის გამოყენება ქრონოლოგიური ან სხვა საკითხების კვლევისას გამორიცხული უნდა იქნეს.

588. კათხა ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა— შავი, შიდა რუხი. ზედაპირი შავი, მოგლუვებული. ჭურჭელს უნდა ჰქონოდა განიერი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

589. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის — თხელკეციანი, მაღალყელიანი ჭურჭლის, რომლის კეცი ლეგა მორუხოდაა გამომწვარი და შედარებით დიდი ჭურჭლის გვრედის ფრაგმენტი, რომლის კეცი მოწაბლისფროდაა გამომწვარი.

590. ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი შავი, შუაგული — წაბლისფერი.

591. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი.

592. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები. ერთი დერგისაა ბრტყელი ლენტური ყურით, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი ლეგა მონაცრისფროდ გამომწვარი. ზედაპირი ხაოიანია. მეორე — პირგადაშლილი ჭურჭლის ფრაგმენტი სილანარევი წმინდა თიხისა, კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. პირს გარედან გაუყვება ორი განიერი ღარი. აქვეა თხელკეციანი ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — ლეგა, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. მეოთხე — ლანგრის პირ-გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი თიხისა, კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — მონაცრისფრო მორუხო. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს ჰქონია გადაშლილი ბრტყელბაკოიანი პირი.

593. ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული.

594. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. პირგანიერი, გადაშლილი. მხრებდაქანებული ჭურჭელია გამობერილი წიბოიანი მუცლით და ვიწრო ძირით. სიმაღლე — 8,3 სმ; პირის დიამეტრი — 12,6 სმ; მუცლის დიამეტრი — 14 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

595. ჭოთანი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ეს არის პირმოყრილი, მხრებდაქანებული ჭურჭელი გამობერილი წიბოიანი მუცლით და ვიწრო ძირით. პირს ზემოდან გარშემოუყვება ერთი ღარი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. სიმაღლე — 9,5 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; მუცლის დიამეტრი — 15,5 სმ; ძირის დიამეტრი — 5,8 სმ.

596. ჯამი ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, ლეგა ლაქებით. ეს არის პირგანიერი, ბაკომომრგვალებული, მხრებდაქანებული ჭურჭელი გამობერილი წიბოიანი მუცლით. მხარს გარშემოუყვება ორი განიერი ღარი.

პირის დიამეტრი — 11 სმ;

597. ჭოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, მოშავო ლაქებით, ხაოიანი. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, მხრებდაქანებული, მუცელგამობერილი ჭურჭელი ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით. მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 14 სმ; პირის დიამეტრი — 14,8 სმ; მუცლის დიამეტრი — — 17 სმ; ძირის დიამეტრი — 7,8 სმ.

598. ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შვაი, შიდა ღია წაბლისფერი. წვრილფეხა საქონლის ძვლები.

სამარხი № 61 ძლიერ დაზიანებული იყო და შემორჩა მხოლოდ ორმო-სამარხის მცირე ნაშთი, რომელშიც სარდიონის მძივები და ბრინჯაოს ნივთის ფრაგმენტები ერთმანეთში იყო არეული.

599. ფირფიტის ნატეხები ბრინჯაოსი.

600. მძივები სარდიონის, ნახეთქი, ბირთვისებური 16 ცალი.

601. ნიჟარა, ერთი ცალი.

სამარხი № 62 (ტაბ. XXXVI) აღმოჩნდა № 61 სამარხის ქვეშ. თავის მხრივ № 62 სამარხი დაზიანებულა № 67 სამარხის გამართვის დროს. № 62 სამარხი წარმოადგენს ოთხკუთხ ორმოს (1,85×1,50). სიგრძივ დამხრობილს NW—SO. № 61 სამარხის ქვეშ მდებარე ნაწილში მოქცეული იყო ცხოველის მთლიანი ჩონჩხი. სამარხის ჩრდილო ნაწილში გადარჩენილი იყო მიცვალებულის ჩონჩხის ნაწილი, მეორე ნაწილი № 67 სამარხის გამართვისას დაზიანებულა.

602. სადღვებელი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. იქვე ახლოს შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი ყურის ნაწილი. შემკულია ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ღარით. სიმაღლე — 34,2 სმ; პირის დიამეტრი — 11,2 სმ; მუცლის დიამეტრი — 28,5 სმ; ძირის დიამეტრი— 9 სმ.

603. კათხა სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მორუხოდ. ზედაპირი რუხი, მოშავო ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი და ამობურცული ვიწრო ძირი. პირსა და მუცლის წიბოზე დაძერწილი ყოფილა ყური. პირთან გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. სიმაღლე — 9,8 სმ; პირის დიამეტრი — 11,8 სმ. მუცლის დიამეტრი — 12 სმ; ძირის დიამეტრი — 4,4 სმ.

604. დერგი ფრაგმენტირებული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — მონაცრისფრო. ზედაპირი ხორკლიანი. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, მრგვალი მუცელი და ამობურუცული ძირი. მუცელზე დაძერწილი ყოფილა ორი შვერილი, ზურგზე მოგრძო სამი ღარით. მხარი შემკულია ორღარიან ჩარჩოში ჩასმული ტალღური ამოღარული ხაზით. ძირის დიამეტრი— 11,5 სმ.

605. დოქი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — მოშავო, შუაგული — მოწაბლისფრო. ზედაპირი მოგლუვებულია, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, მაღალი კონუსური ყელი. მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. ყელსა და მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი, გრეხილზედაპირიანი ყური, პირთან ახლოს უნაგირისებური მინაძერწით. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი კონცენტრული ამოღარული ხაზი და ირიბი ნაჭდევები, მუცელზე — ერთი განიერი ღარი. ყელის ძირიდან ამოღარულ ხაზამდე ვერტიკალურად ხუთი კოპი აქვს დაძერწილი, ასევე კოპებით მთავრდება ჭურჭლის მხარზე ამოღარული წვერებით ერთმანეთზე დადგმული სამკუთხედების ყველა კუთხე. ქვედა სამკუთხედების ფუძე მუცლის ღარზე ძევს. სამკუთხედების შიდა სივრცე ნაჭდევებითაა შევსებული, ერთ შემთხვევაში ეს ორნამენტი სავარცხლის კბილის შტამპითაა შესრულებული. სამკუთხედების ამგვარი კომბინაცია ჭურჭლის მხარს ამკობს ორ ადგილას. სიმაღლე — 36 სმ; მუცლის დიამეტრი — 28,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9,3 სმ.

606. ტოლჩა ფრაგმენტირებული, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და ში-

დაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი. ჭურჭელი უნდა ყოფილიყო პირგანიერი, წელში ოდნავ გამოყვანილი, განიერი ბრტყელი ძირით. პირს გაუყვება ორი ღრმა ღარი. ძირის დიამეტრი — 14,8 სმ.

607. კოჭობი, ზედა ნახევარი აკლია. სილანარევი თიხისა. უხეშკეციანი. გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი ხაოიანი, დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირის კიდეს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევები.

ძირის დიამეტრი — 7,5 სმ.

608. დერგის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფროდ. ზედაპირი მოგლუვებულია.

609. ღრმა ჯამი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ჭურჭელს აქვს განიერი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაქანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი სუსტად გამოსახული წიბოთი, მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირი. მხარს და მუცელს თითო განიერი ღარი შემოუყვება.

სიმაღლე — 12,8 სმ; პირის დიამეტრი — 16,1 სმ; მუცლის დიამეტრი — 19 სმ; ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

610. ჭოთნის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული—წაბლისფერი. ჭურჭლის მთელი კოპუსი დასერილი ყოფილა კონცენტრული ამოღარული ხაზებით, მხარი და ძირის კიდე — ირიბი ნაჭდევებით შემკული.

611. ტოლჩა პირთან ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ზედაპირი მოგლუვებულია. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი წელში გამოყვანილი ტანით, დაბალი წიბოიანი მუცლით და ვიწრო ძირით. პირზე დაჭერწილია სამკუთხედისებური შვერილი ორი ყურა, ვერტიკალური მრგვალი ნახვრეტით. პირთან ახლოს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 10,7 სმ; პირის დიამეტრი — 12 სმ; მუცლის დიამეტრი — 12,4 სმ; ძირის დიამეტრი — 4,1 სმ.

612. ჯამი სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქებით, მოგლუვებული. აქვს განიერი პირი, სწორი გოფრირებული მხარი და ვიწრო ძირი.

სიმაღლე — 5,9 სმ; პირის დიამეტრი — 18,8 სმ; ძირის დიამეტრი—5,9 სმ.

613. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — ღია მოწაბლისფრო. ჭურჭლის პირმხარი გოფრირებულია.

614. მახათი ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი, ყუნწით, წვერმოტეხილი. სიგრძე — 6,3 სმ.

615. ნიჟარა ზღვის, გახვრეტილი ფუძით.

616. მძივი სარდიონის, თავებწაკვეთილ სფეროს წარმოადგენს, ვერტიკალური მრგვალი ნახვრეტით.

ობსიდიანის ანატკეცი.

ცხვრის ძვლები.

მსხვილფეხა საქონლის ახალგაზრდა ინდივიდის ძვლები.

სამარხი № 64 (ტაბ. XXXVII) წარმოადგენს ოთხკუთხ, მოგრძო ორმოს (2,0×1,63 მ). სიგრძივ დამხრობილს N—S.

სამარხის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ აღმოჩნდა მარჯვენა გვერდზე

მწოლიარე, კიდურებმოხრილი მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც თავით ორიენტირებულია ჩრდილოეთისაკენ.

მიცვალებულისათვის ჩაუყოლებიათ მთელი ცხოველი, რომლის ჩონჩხი აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო ნაწილში. სამარხის ფსკერის დანარჩენი ფართობი თიხის ჭურჭლებით იყო დაფარული.

617. ქვაბქოთანა სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია მოწაბლისფრო მორუხოდ. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი ბაკომომრგვალებული პირი, მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ნაჭდევები. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით, ძირი — ამოღარული სპირალით. სიმაღლე — 22,8 სმ; პირის დიამეტრი — 16 სმ; მუცლის დიამეტრი — 23 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

618. სასმისი განლექილი თიხისა. კეცი გამომწვარია მოწაბლისფროდ. ზედაპირი წაბლისფერი, მოშავო ლაქებით, მოგლუვებული. აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარს ძირში გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 13,9 სმ; პირის დიამეტრი — 8 სმ; მუცლის დიამეტრი — 12,5 სმ; ძირის დიამეტრი — 5,6 სმ.

619. ქვაბქოთანა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარეპირი — შავი, შიდა—მოწაბლისფრო რუხი. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალები ყოფილა. ეს არის პირგანიერი, მოყრილი, ბაკომომრგვალებული ჭურჭელი გაბერილი მუცლითა და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით. პირთან დაძერწილია ბრტყელი შვერილი—ყურა ორი ბჯენით, ზურგზე შუაში სამი სივრცივი ამოღარული ხაზი დაუყვება, გვერდებზე კი ნაჭდევი წიწვოვანი ორნამენტია დატანილი. შვერილის გვერდზე მრგვალგანივკვეთიანი შეზურგული ყურია, რომელსაც თვალისებური მაღალი მეჭეჭი აქვს მიძერწილი. პირთან ახლოს ნაჭდევი წიწვოვანი ორნამენტია დატანილი. სიმაღლე—17,3 სმ; პირის დიამეტრი — 23,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 34 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

620. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა— შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი ბაკომომრგვალებული პირი, დაქანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მუცელზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 10 სმ; პირის დიამეტრი — 14,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 16,3 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

621. კოჭობი, მცირე ზომის, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია შავად. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ბიკონუსური ტანითა და ვიწრო ძირით. მხარი შემკული აქვს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული ნაჭდევების ორი რიგით და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზით. ძირის კიდეს გარშემოუყვება ირიბი ნაჭდევები. სიმაღლე — 7,9 სმ; პირის დიამეტრი — 9,3 სმ; მუცლის დიამეტრი — 11,5 სმ; ძირის დიამეტრი — 5,8 სმ.

622. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, მხრებმომრგვალებული ჭურჭელი ამობურცული ვიწრო ძირით. მუცელს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 18 სმ; ძირის დიამეტრი — 6,9 სმ.

623. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი გამომწვარია შავად. ზედაპირი ნაპრიალებია. ეს არის პირგანიერი, ბაკომომრგვალებული ჭურჭელი ოდნავ გამობერილი მუცლითა და ამობურცული ვიწრო ძირით. მხარს გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. სიმაღლე — 9 სმ; პირის დიამეტრი — 13,7 სმ; ძირის დიამეტრი — 5,2 სმ.

624. ჩაფი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, შავი ლაქებით, მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ბაკომომრგვალებული პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, გამობერილი მუცელი სუსტად გამოსახული წიბოთი, ვიწრო ძირი. ყელსა და მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი, გრეხილზურგიანი ყური. სიმაღლე — 25 სმ; მუცლის დიამეტრი — 22 სმ; ძირის დიამეტრი — 9,8 სმ.

625. სასმისი, „მელიღელური“, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი, ზედაპირი მოშავო, წაბლისფერი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება ორი განიერი ღრმა ღარის სარტყელი. სიმაღლე — 11,2 სმ; პირის დიამეტრი — 7 სმ; მუცლის დიამეტრი — 10,5 სმ; ძირის დიამეტრი — 4,4 სმ.

626. სასმისი ფრაგმენტირებული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე-პირის თხელი ფენა — შავი, შიდა— წაბლისფერი. ზედაპირი შავი, ნაპრიალები.

627. ქოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი, რუხად ვამომწვარი. ეს არის პირგანიერი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს და ძირის კიდეს ამკობს ირიბი ნაჭდევები. პირს ზემოდან გარშემოუყვება ერთი ღარი, მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირს ამოღარული სპირალი ამკობს. სიმაღლე — 15,7 სმ; პირის დიამეტრი — 13 სმ; მუცლის დიამეტრი — 19 სმ; ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

628. ტოლჩა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალებია. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ოდნავ გამოყვანილი ტანით, დაბალი წიბოიანი მუცლით და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით. პირს და მხარს გარშემოუყვება რელიეფური ზოლები, მუცლის წიბოზე ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 16,8 სმ; პირის დიამეტრი — 15 სმ; ძირის დიამეტრი —7 სმ.

629. ქოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ზედაპირი ხაოიანი. ეს არის პირგანიერი, მუცელგამობერილი და ძირვიწრო ჭურჭელი. მხარს ამკობს ირიბი ნაჭდევების ორი რიგი, ძირის კიდეს — ერთი. ზედაპირს გარშემოუყვება კონცენტრული ღარები, ძირს — ამოღარული სპირალი. სიმაღლე — 16,2 სმ; პირის დიამეტრი — 13,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 18 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

630. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი—შავი, შუაგული წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული.

631. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქებით, კარგად მოგლუვებული, ნაპრიალები ყოფილა. ჭურჭელს აქვს ოდნავ

გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს ამკობს ერთი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 34,8 სმ; პირის დიამეტრი — 13,4 სმ; მუცლის დიამეტრი — 30 სმ; ძირის დიამეტრი — 10,7 სმ.

632. კოჭობანა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული-წაბლისფერი. ზედაპირი ხაოიანია. ჭურჭილს აქვს განიერი პირი, ბიკონუსური ტანი და ოდნავ ამობურცული ძირი. პირს ზემოდან გარშემოუყვება ერთი ღარი. მხარს ამკობს ირიბი ნაჭდევების ორი რიგი. სიმაღლე — 5,4 სმ; მუცლის დიამეტრი — 7,1 სმ; ძირის დიამეტრი — 3,6 სმ.

633. სადღვებელი, ძირთან ნაკლული. სილანარევი თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — მორუხო მოწაბლისფრო. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, მრგვალი მუცელი. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. მხარს გარშემოუყვება ორი ტალღური და ერთი განიერი ღარი. პირის დიამეტრი — 11,9 სმ; მუცლის დიამეტრი — 29 სმ.

634. ხელადა? პირთან ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — მორუხო. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალებია, ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარს ამკობს ირიბი ნაჭდევები. ჭურჭლის ზედა ნახევარი დაღარულია კონცენტრული ხაზებით. მუცელზე და ყელზე დაძერწილია ერთი ყური. სიმაღლე — 21,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 18,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

635. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი ჴინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქებით, კარგად მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი და ამობურცული ძირი. მხარს ამკობს რელიეფური ორი ზოლი. სიმაღლე — 26,3 სმ; პირის დიამეტრი — 15,2 სმ; მუცლის დიამეტრი — 28 სმ; ძირის დიამეტრი — 12,1 სმ.

636. დერგი, პირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მორუხოდ. ზედაპირი რუხი, მოშავო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ამობურცული ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს ამკობს ერთი ტალღური და ორი განიერი ღარი. სიმაღლე — 33,2 სმ; პირის დიამეტრი — 11,6 სმ; მუცლის დიამეტრი — 28 სმ; ძირის დიამეტრი — 10,2 სმ.

637. ჭოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი, მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოწაბლისფრო რუხი. ზედაპირი მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, ლილვაკისებურბაკოიანი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. პირს ზემოდან გარშემოუყვება ერთი ღარი. მხარი და ძირის კიდე შემკულია ირიბი ღრმა ნაჭდევებით. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირს ამკობს ამოღარული სპირალი. სი-

მაღლე — 17,3 სმ; პირის დიამეტრი — 15,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 21 სმ; ძირის დიამეტრი — 7,3 სმ.

638. ჯამი ფრაგმენტირებული, სილანარევი თიხისა. კეცი ლეგა მოწაბლისფროდ გამომწვარი. ზედაპირი მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს განიერი პირი ოდნავ გამობერილი წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი უნდა ჰქონოდა.

639. სასმისი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი წელში ოდნავ გამოყვანილი ტანით და განიერი ბრტყელი ძირით. ჭურჭელს ამკობს ორხაზიან ჩარჩოში დატანილი ერთმანეთში ჩასმული მცირე ზომის კონცენტრული წრეები. პირთან ნაკლული. სიმაღლე — 8,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

640. ღილი ბრიჯნაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება ორი ღარი.

დიამეტრი — 3 სმ; სიმაღლე — 0,6 სმ.

641. ღილი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ყუნწით, ზედაპირზე გარშემოუყვება ორი ღარი. დიამეტრი — 0,3 სმ; სიმაღლე — 0,8 სმ.

642. ღილი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ყუნწით. დიამეტრი — 2,4 სმ; სიმაღლე — 0,5 სმ.

643. ღილი ბრინჯაოსი, კონუსური ფორმის, შიდა მხარეს ყუნწით, ზედაპირზე გარშემოუყვება ღარები. თავზე აქვს კოპი, ნაპირებზე — ნაჭდევები.

დიამეტრი — 3,5 სმ; სიმაღლე — 1,4 სმ.

644. საკიდი ბრინჯაოსი, მრგვალი ფირფიტისა, შუაში ძაფის გასაყრელი მილით, რომლითაც ფირფიტა ორ ნახევარსფეროდ არის გაყოფილი. ნახევარსფეროებზე ამოჭრილია სამ-სამი სამკუთხედი.

645. მძივები ბრინჯაოსი, ბიკონუსური ფირმის, სამი ცალი.

646. ბეჭედი ბრინჯაოსი სპირალურად დახვეული მავთულისა (აღმოჩნდა მუცლის არეში). დიამეტრი — 2,3 სმ; სიმაღლე — 1 სმ.

647. ღილი ანთიმონისა, შიდაპირზე ორი ყუნწით. ნაპირებზე გარშემოუყვება კოპები, შუაში აქვს ერთი კოპი. ნაპირებჩამოტეხილია. დიამეტრი — 1,3 სმ.

648. საკიდი ანთიმონისა, მკლავებიანი ჯვრის ფორმის, ზედაპირზე ბადისებური სახით. სიგრძე — 1,4 სმ; სიმაღლე — 0,4 სმ.

649. მძივები სარდიონის, ნახეთქი 10 ცალი, აღმოჩნდა ყელის არეში.

სამარხი № 65 (ტაბ. XXXIII) წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხა ორმოს (1,50×1,35 მ), სიგრძივ დამხრობილს N—S.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით N.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ექვსი ჭურჭელი და სამი ჯგუფი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისა. ხუთი ჭურჭელი განლაგებული იყო სამარხის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ, დანარჩენი ჭურჭლები კი — დასავლეთ კედელთან და სამარხის ცენტრალურ ნაწილში. სამარხის ის ნაწილი, სადაც ჩონჩხი აღმოჩნდა ძლიერ იყო დაზიანებული გვიანდელი ორმოთი და სრული შთაბეჭდილებაა სამარხის გაძარცვისა.

650. ჭილა, პირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია მორუხოდ. ზედაპირი რუხი, ძირთან შავი ლაქით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პაკომომრგვალებული ვიწრო პირი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ამობურცული ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული და ტალღური ამოღარული ხაზების სარტყელი.

სიმაღლე — 19,5 სმ; მუცლის დიამეტრი —21 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

651. ლანგარი, ფრაგმენტირებული, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს ჰქონია განიერი პირი დაბრტყელებული ბაკოთი და მკვეთრად გამოსახული, დაბალქუსლიანი ძირი. პირსა და ქუსლს ამკობს ნაჭდევი წიწვისებური ორნამენტი.

652. დერგი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მორუხოდ. ზედაპირი რუხი, ჩალისფერი და შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი. მრგვალმუცლიანია ოდნავ ამობურცული ძირით. მუცელზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 25 სმ; პირის დიამეტრი — 12,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 28,5 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

653. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა, უწმიდენსი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი.

654. დერგი, პირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი. დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ოდნავ ამობურცული ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს გარშემოუყვება ტალღური და კონცენტრული ამოღარული თითო ხაზი. ყურის ზურგი შემკულია თევზიფხურა ნაჭდევებით.

სიმაღლე — 23 სმ; მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი—11,2 სმ;

655. ბადია სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი ბაკომომრგვალებული პირი, სწორი მხრები, წიბოიანი მუცელი და მკვეთრად გამოსახული დაბალქუსლიანი ძირი. პირს გარედან გარშემოუყვება ორი განიერი ღარი, მუცელს წიბოსთან — ერთი, მათ შორის მხარზე ექვს ადგილას, დატანილია ერთმანეთში ჩასმული კონცენტრული წრეების სპირალი. მხარზე დაძერწილია ბრტყელი ყური.

სიმაღლე — 11,5 სმ; პირის დიამეტრი — 18,4 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 8,3 სმ.

656. თიხის ჭურჭლის სამი ჯგუფი გაძარცვის დროს დაზიანებული. სილანარევი წმინდა თიხის. მიცვალებულს ჩაყოლებული ჰქონია ცხოველი, რომლის ჩონჩხიც სამარხის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა.

სამარხი № 66 (ტაბ. XXXIX) წარმოადგენს მიწაყრილიანი ყორღანული სამარხის მიწაში ამოჭრილ მოგრძო ოთხკუთხ ორმოს (2,15×1,40 მ) სამარხის კამერა სიგრძივ დამხრობილია N—S.

სამარხში, აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთით. ცხოველის ძვლები აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო კედელთან, სამარხის ცენტრში, მიცვალებულის პირისახის წინ და სამარხის სამხრეთ კედელთან. თიხის ჭურჭლები ძირითადად განლაგებულია სამარხის ცენტრალურ ნაწილში, სიგრძივ სამხრეთიდან ჩრდილო კედლისაკენ. რამდენიმე ჭურჭელი მიცვალებულის თავს უკან იდგა, ერთი ჭურჭელი კი სამარხის დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში გაკეთებულ მცირე თახჩაში იყო სანახევროდ შედგმული.

657. ქვაბქოთანა მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მორუხოდ. ზედაპირი რუხი, მოშავო ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი დაკუთხულბაკოიანი პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ოდნავ ამობურცული ძირი. მხარს გარშემოუყვება ირიბი ნაჭდევები და ერთი ვანიერი ღარი, მხრის მუცელზე გადასვლის ადგილზე—რელიეფური ნაჭდევების სარტყელი. ძირის კიდეს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევები.

სიმაღლე — 18,5 სმ; პირის დიამეტრი — 23,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 28 სმ; ძირის დიამეტრი — 9,5 სმ.

658. ბადია სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოყავისფრო-რუხი. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული და ნაპრიალები. ეს არის პირგანიერი, ლილვაკისებურბაკოიანი, მუცელგამობერილი ჭურჭელი დაბალქუსლიანი ძირით. შემკულია რელიეფური ზოლებით.

სიმაღლე — 18,5 სმ; პირის დიამეტრი — 23,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 27 სმ; ძირის დიამეტრი — 11,3 სმ.

659. დოქი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი მოგლუვებული, ძირთან ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. პირსა და მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური, პირთან სამკუთხა მოედნით. მხარს ამკობს ლურსმული ნაჭდევი პირამიდები. მუცლის ზედა ნაწილს და ძირთან ახლოს ჭურჭელს გარშემოუყვება თითო გაშლილი ტალღური და კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 29,7 სმ; პირის დიამეტრი—11,3 სმ; მუცლის დიამეტრი—25,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9,5 სმ.

660. ქვაბქოთანა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ, ზოგან—მისი გარეპირის თხელი ფენა—შავი. შიდა—მონაცრისფრო მორუხო. ზედაპირი შავი და მონაცრისფრო რუხი, მოგლუვებული და ნაპრიალები ყოფილა. ეს არის პირგანიერი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი ჭურჭელი ამობურცული, მკვეთრად გამოსახული ვიწრო ძირით. პირს ზემოდან გარშემოუყვება ერთი ღარი, მხარს —ორი რელიეფური ზოლი და მათ შორის დატანილი ტალღური ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 29,6 სმ; პირის დიამეტრი — 20,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 29,5 სმ; ძირის დიამეტრი — 10,8 სმ.

661. სასმისი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი.

ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 13,2 სმ; პირის დიამეტრი — 7,5 სმ; მუცლის დიამეტრი —12 სმ; ძირის დიამეტრი — 5,3 სმ.

662. ჭურჭლის ფრაგმენტები განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა — წაბლისფერი. ზედაპირი ნაპრიალებია.

663. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — მონაცრისფრო-მორუხო. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ გამოყოფილი, დაბალქუსლიანი ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 14,1 სმ; პირის დიამეტრი — 7,1 სმ; მუცლის დიამეტრი — 12,5 სმ; ძირის დიამეტრი — 5,4 სმ.

664. დერგი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა—შავი, შიდა—ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქებით, კარგად მოგლუვებული, ნაპრიალები ლითონის ბზინვარებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილი ყოფილა ლენტური ორი ყური. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 32,6 სმ; პირის დიამეტრი — 11,8 სმ; მუცლის დიამეტრი — 27 სმ, ძირის დიამეტრი — 9,4 სმ.

665. ქილა განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა — ლეგა. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქებით, მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, გამობერილი მუცელი და კარგად გამოკვეთილი ძირი. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი ტალღური, მუცელზე კი — სამი განიერი ღარი.

სიმაღლე — 25 სმ; პირის დიამეტრი —11,6 სმ; მუცლის დიამეტრი —25 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

666. სადღეგებელი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია ლეგად, ძირთან გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ლეგა. ზედაპირი შავი და ლეგა, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. მილის ზემოთ ჭურჭელს გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე—27 სმ; პირის დიამეტრი — 10,4 სმ; მუცლის დიამეტრი — 23 სმ; ძირის დიამეტრი — 8,8 სმ.

667. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარე-

ვებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა — ლეგა. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქით, მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 16 სმ; პირის დიამეტრი — 7,8 სმ; მუცლის დიამეტრი — 13 სმ; ძირის დიამეტრი — 6 სმ.

668. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია შავად. ზედაპირი შავი, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი სუსტად გამოსახული წიბოთი, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები:

სიმაღლე — 16 სმ; პირის დიამეტრი — 9,7 სმ; მუცლის დიამეტრი — 15,5 სმ; ძირის დიამეტრი — 5,6 სმ.

669. ბადია სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირი—შავი, შიდა—მოწაბლისფრო-რუხი. ზედაპირი—შავი, რუხი ლაქებით, მოგლუვებული და ნაპრიალები. ეს არის პირგანიერი, ბრტყელბაკოიანი ჭურჭელი ოდნავ გამობერილი მუცლითა და ამობურცული ძირით. ჭუსლი ოდნავ გამოყოფილია. პირს ზემოდან ამკობს თევზიფხურა ნაჭდევები. მხარს გარშემოუყვება რელიეფური სამი ზოლი.

სიმაღლე — 17,6 სმ; პირის დიამეტრი — 23,4 სმ; მუცლის დიამეტრი —27 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

670. სადღვებელი განლექილი თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი შრე — შავი, შიდა — მოყავისფრო. ზედაპირი — შავი, მოყავისფრო ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი კონუსური ყელი, მრგვალი მუცელი და ამობურცული ძირი. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე 32 სმ; პირის დიამეტრი — 10,3 სმ; მუცლის დიამეტრი — 27,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

671. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა — ლეგა. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქებით, მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული, ვიწრო ძირი. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 18,4 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; მუცლის დიამეტრი — 15 სმ; ძირის დიამეტრი — 7,3 სმ.

672. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ლეგა. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქებით, მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები. ეს არის პირგანიერი, ლილვაკისებურბაკოიანი ჭურჭელი ოდნავ მომრგვალებული მხარით და გამოყვანილი, დაბალჭუსლიანი ძირით. ჭუსლთან—ნაკლული. მუცელს გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური და ერთიც განიერი ღარი. სიმაღლე — 12,8 სმ; პირის დიამეტრი — 17,7 სმ.

ცხოველის ძვლები და წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხი.

სამარხი № 67 (ტაბ. XL) წარმოადგენს ოთხკუთხ მოგრძო ორმოს (1,15×1,05 მ). იგი აღმოჩნდა № 62 სამარხზე 0,30 მ-ით მაღლა.

მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით.

მიცვალებულის ჩონჩხის ირგვლივ ეწყო თიხის ჭურჭელი, თავის ქალის მახლობლად გამოვლინდა სარდიონის და პასტის მძივები და ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები.

673. ქვაბქოთანა სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს მოყრილი პირი, მრგვალი, სუსტად გამოსახული წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია ბრტყელგანივკვეთიანი ორი ყური. ზურგზე მოგრძო ღარით, მათ შორის მრგვალი ღილისებური მინაძერწია ქვეშ შედგმული რელიეფური ფეხით. ბრტყელ პირს გარშემოუყვება სამი ღარი.

სიმაღლე — 21,3 სმ; პირის დიამეტრი — 10,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 25 სმ; ძირის დიამეტრი — 8,4 სმ.

674. ქოთანი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი შინარევებით. კეცი გამომწვარია ლეგა მონაცრისფროდ. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, წელში ოდნავ გამოყვანილი ტანი, მომრგვალებული მუცელი და ვიწრო ძირი. პირზე დაძერწილია შვერილი ორი ყური, ვერტიკალური მრგვალი ნახვრეტით. პირს გარშემოუყვება ორი ღარი.

სიმაღლე — 12,2 სმ; პირის დიამეტრი — 12,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 14,4 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

675. სადღვებელი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი მონაცრისფრო მორუხო, წაბლისფერი ლაქით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, კვერცხისებური ტანი, ვიწრო ძირი. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი.

სიმაღლე — 32,5 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 24 სმ; ძირის დიამეტრი — 11 სმ;

676. ჭილა წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, მუცელზე შავი ლაქით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. ყელთან ახლოს გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 20 სმ; პირის დიამეტრი — 11 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი — 8,8 სმ.

677. დერგი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებული, ფორებიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, მრგვალი მუცელი და ოდნავ ამობურცული ძირი. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული და შვეული მოკლე წმინდა ღარებით.

სიმაღლე — 31,7 სმ; პირის დიამეტრი — 14,9 სმ; მუცლის დიამეტრი — 32,5 სმ; ძირის დიამეტრი — 10,6 სმ. —

678. სასმისი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭლის პირი ოდნავ გადაშლილია, პირს გარედან გარშემოუყვება ორი ღარი; ტანი — ცილინდრული ძირის სიახლოვეს სუსტად გამოსახული წიბოთი, ძირვიწრო.

სიმაღლე — 7,5 სმ; პირის დიამეტრი — 5,8 სმ; ძირის დიამეტრი—2,8 სმ.

679. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი მონაცრისფრო მორუხო, შავი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, ბირთვისებური ტანი, ოდნავ ამობურცული, ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება ორი განიერი ღარი, მუცელს — ერთი.

სიმაღლე — 21 სმ; პირის დიამეტრი — 15,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი —9,9 სმ.

680. ფიალა, მცირე ზომის, სილანარევი თიხისა, სქელკეციანი, გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, შავი ლაქით. ჭურჭელს აქვს ოდნავ მოყრილი პირი, ნომრგვალებული მხარი, სუსტად გამოსახული წიბოთი, ვიწრო, კარგად გამოკვეთილი ძირი.

სიმაღლე — 6 სმ; პირის დიამეტრი — 8,4 ძირის დიამეტრი — 3,7 სმ.

681. სასაფეთქლე რგოლები ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, ერთი ბოლო გაბრტყელებული აქვს, რომელიც ზამბარის სახით რგოლს შუაში ჰყოფს. მეორე რგოლს ზამბარა მოტეხილი აქვს.

682. მძივები სარდიონის, ნახეთქი, 12 ცალი. ერთი — მძივსაკიდი მსხლისებური ფორმის.

683. მძივები ფაიანსის (?) ბიკონუსური, მუცელზე ნაჭდევებით, ორი ცალი.

684. მძივები მინისა, მოცისფრო მომწვანო, 4 ცალი.

685. მძივი მინის, პასტის და ნიჟარის მძივსაკიდი.

წვრილფეხა საქონლის, ცხვრის ძვლები.

სამარხი № 68 (ტაბ. XLI) დაზიანებულია. წარმოადგენს ოთხკუთხ, მოგრძო ორმოს (შემორჩენილი ზომებია: 1, 24×1 მ). სამარხი სიგრძივ დამხრობილი ყოფილა N—S. სამარხის ფსკერი მდებარეობს განამარხებულ ჰუმუსზე.

სამარხში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილოეთისაკენ. ცხოველის თავის ქალა (ცხვრის) და ფეხების ძვლები ადამიანის თავის ქალის წინ იყო განლაგებული, თიხის ჭურჭლები კი — სამარხის სამხრეთ ნაწილში.

686. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — წაბლისფერი. ჭურჭლის მხარი შემკული ყოფილა ორხაზიან ჩარჩოში დატანილი თევზიფხური ნაჭდევებით.

687. ქვაბჭოთანა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შეაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს მოყრილი პირი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ძირი. ბრტყელ პირს ზემოდან გარშემოუყვება ორი ღარი, პირის მხარზე გადასვლის ადგილზე და მუ-

ცელზე კი — სუსტად გამოსახული წიბოები. მხარზე დაძერწილია ბრტყელგანივკვეთიანი ორი ყური, ზურგზე მოგრძო ღარით, მათ შორის დატანილია მრგვალი ღილისებური მინაძერწი, ქვევიდან შედგმული რელიეფური საბჯენით. მხარს გარშემოუყვება ორი, ხოლო მუცელს — ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 22,8 სმ, პირის დიამეტრი — 11 სმ, მუცლის დიამეტრი — 23 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

688. კათხის ფრაგმენტები, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული.

689. სასმისი სილანარევი წმინდა თიხისა, კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი. ყელსა და მუცელს გარშემოუყვება თითო განიერი ღარი.

სიმაღლე — 10,1 სმ, პირის დიამეტრი — 5,3 სმ, მუცლის დიამეტრი — 8,5 სმ; ძირის დიამეტრი — 3,5 სმ.

690. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, მაღალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 24 სმ; პირის დიამეტრი — 10 სმ; მუცლის დიამეტრი — 18 სმ; ძირის დიამეტრი 7 სმ.

691. პირმოყრილი ქვაბქოთნის ფრაგმენტები, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული წაბლისფერი. ზედაპირი ნაპრიალებია.

692. ხელადა ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — მოწაბლისფრო რუხი. ზედაპირი ნაპრიალები ყოფილა. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი უნდა ჰქონოდა და ვიწრო ძირი. პირსა და მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. პირის დიამეტრი — 9 სმ.

693. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა, კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — ლეგა, შუაგული —მოწაბლისფრო. ზედაპირი კარგად მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი. ლილვაკისებური ბაკოთი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მუცელზე დაწერილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 24 სმ; მუცლის დიამეტრი — 20,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8,2 სმ

694. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მოწაბლისფრო მორუხოდ. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი.

695. კათხის ძირ-გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის

გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — მოწაბლისფრო. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს ჰქონია წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. ძირის დიამეტრი — 5,3 სმ.

696. ჭურჭლის ფრაგმენტები, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

697. ფიალა, მცირე ზომის, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, ძირთან შავი ლაქით, მოგლუვებული. პირგადაშლილი ჭურჭელია წიბოიანი მხარით და ბრტყელი ძირით.

სიმაღლე — 2,4 სმ; პირის დიამეტრი — 7,5 სმ; ძირის დიამეტრი — 3,9 სმ.

698. კოჭობანა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, ძირთან შავი ლაქით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. ყელზე გარშემოუყვება ორი განიერი ღარი.

სიმაღლე — 7 სმ; პირის დიამეტრი — 5,9 სმ; მუცლის დიამეტრი — 8 სმ; ძირის დიამეტრი — 4,4 სმ.

699. მძივები სარდიონის, ნახეთქი, მსხვილი, უხეში. უმეტესობა ცალი მხრიდანაა გახვრეტილი. ერთი სარდიონის მძივსაკიდი და მოყვითალო პასტის მცირე მძივი. სულ 13 ცალი. წვრილფეხა საქონლის თავ-ფეხის ძვლები. აქვეა ნეკნების ფრაგმენტები და სხვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამარხში მთელი ინდივიდი ჩაუტანებიათ.

სამარხი № 70 (ტაბ. XLII) წარმოადგენს ოთხკუთხ, მოგრძო ორმოს (1,20×1 მ). სამარხის ფსკერი მიწის ზედაპირიდან 15 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხი სიგრძივ დამხრობილია NW—SO.

№ 70 სამარხი ზევიდან ედო № 71 სამარხს. № 71 სამარხი 0,50 მ უფრო ღრმად მდებარეობდა.

სამარხი ძლიერ დაზიანებული და ნაკლულია, რის გამოც მიცვალებულის პოზის გარკვევა არ ხერხდება.

სამარხში აღმოჩნდა:

700. ლანგარი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მონაცრისფრო. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, სწორი მხარი, სუსტად გამოსახული წიბოთი, ვიწრო ძირი. სიმაღლე — 4,2 სმ პირის დიამეტრი—19 სმ, ძირის დიამეტრი — 6,8 სმ.

701. დერგი, ნაკლული, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე—ლეგა, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი ლეგა, შავი ლაქებით, ხორკლიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ძირი მუცელზე დაძერწილი ჰქონია ლენტური ორი ყური. მხარს ამკობს ტალღური სამი, ხოლო მუცელს კონცენტრული ამოღარული ერთი ხაზი.

სიმაღლე 37,3 სმ, მუცლის დიამეტრი — 29 სმ, ძირის დიამეტრი — 10 სმ.

702. ხელადა სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, ძირთან შავი ლაქით, მოგლუვებული, ფორებიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, მაღალი ყელი,

სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი. ყელსა და მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი, გრეხილზურგიანი ყური, ყურს ზედა ნაწილში უნაგირისებური ლილვაკი აქვს დაძერწილი. ყელს ძირში გარშემოუყვება ორი განიერი ღარი, ხოლო მუცელს — ერთი.

სიმაღლე — 22,1 სმ, პირის დიამეტრი — 9,5 სმ, მუცლის დიამეტრი — 15,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6,6 სმ.

703. სადღვებელი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფროდ. ზედაპირი მონაცრისფრო, შავი ლაქებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ძირი. მხარზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი, მის გვერდით კი დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭელს მხარზე გარშემოუყვება ორი განიერი ღარი.

სიმაღლე — 27 სმ, პირის დიამეტრი— 11 სმ, მუცლის დიამეტრი — 23 სმ; ძირის დიამეტრი —- 8 სმ.

704. ტოლჩა სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, პირს გარედან გარშემოუყვება ერთი ღარი, წელში ოდნავ გამოყვანილი ტანი, ბრტყელი განიერი ძირი.

სიმაღლე — 13 სმ, პირის დიამეტრი — 12 სმ, ძირის დიამეტრი — 11 სმ.

705. ლანგარი მჭისე. მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი მონაცრისფრო მორუხო, შავი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, სწორი მხრები, ვიწრო ძირი.

სიმაღლე — 6,7 სმ, პირის დიამეტრი — 26,8 სმ, ძირის დიამეტრი—8,5 სმ.

706. კათხა მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი მონაცრისფრო მორუხო, შავი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, წელში ოდნავ გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. პირსა და მუცლის წიბოზე დაძერწილია მრგვალბრტყელი ყური. პირს გარედან გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. სიმაღლე — 11,3 სმ, პირის დიამეტრი — 12,5 სმ,მუცლის დიამეტრი— 13,6 სმ, ძირის დიამეტრი — 6,4 სმ.

707. კოჭობი ფრაგმენტირებული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი ხაოიანი. ჭურჭლის მხარი და ძირის კიდე შემკული ყოფილა ირიბი, ღრმა ნაჭდევებით. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

708. კოჭობის ფრაგმენტები, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოწაბლისფრო მორუხო. ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელი უნდა ყოფილიყო პირგანიკრი, ოდნავ გამობერილი მუცელი უნდა ჰქონოდა და ბრტყელი ძირი. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირის კიდეს ამკობს ირიბი ღრმა ნაჭდევები.

ძირის დიამეტრი — 7 სმ.

709. კოჭობი ნაკლული, მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მოწაბლისფრო. ზედაპირი — შავი, რუხი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, დაბალი ყელი, ოდ-

ნავ გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი. ჭურჭლის ყელს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი ზედაპირი კონცენტრული ამოღარული ხაზებითაა დასერილი.

ძირის დიამეტრი — 5,4 სმ.

710. კოჭობი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგა მოწაბლისფროდ. ზედაპირი ხაოიანია. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, დაბალი ყელი, ოდნავ გამობერილი მუცელი, ბრტყელი ძირი. ჭურჭლის მხარი შემკულია ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდე — ირიბი ნაჭდევებით. მთელი ზედაპირი კონცენტრული ამოღარული ხაზებითაა დასერილი.

სიმაღლე — 12,8 სმ, პირის დიამეტრი — 12,9 სმ, მუცლის დიამეტრი — 16 სმ; ძირის დიამეტრი — 7 სმ.

711. ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

712. კოჭობი ფრაგმენტირებული წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მოშავოდ. ზედაპირი მოშავო, რუხი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭლის მხარი შემკულია ჰორიზონტალური ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდე — ირიბი ნაჭდევებით. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

713. ბრინჯაოს გვერგვის ფრაგმენტები.

714. მძივები პასტის, ცისფერი, კასრისებური, მუცელზე ნაჭდევებით; ერთი მრგვალი. მეორე ოვალური. სულ 9 ცალი.

715. მძივსაკიდები სარდიონის, მოგრძო; 7 ცალი. მძივები სხვადასხვა ფორმის, ნახეთქი, სფერული და სხვა 32 ცალი.

სამარხი № 71 (ტაბ. XLIII) აღმოჩნდა № 70 სამარხის ქვეშ 0,90 მ-ის სიღრმეზე. იგი წარმოადგენს მოგრძო, ოთხკუთხ ორმოს (1,97×1,56), სიგრძივ დამხრობილს NW—SO.

სამარხის ცენტრალური ნაწილში აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით NW.

სამარხში თიხის ჭურჭელი განლაგებული იყო NW კედელთან და სამხრეთ ნაწილში, სამკაული — ადამიანის ჩონჩხთან იყო კონცენტრირებული.

716. ლანგარი სილანარევი თიხისა. უხეშკეციანი, მისი გარე და შიდაპირის თხელი შრე—შავი, შუაგული—ნაცრისფერი. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი შიგნით ჩაკეცილი ბრტყელბაკოიანი პირი, ოდნავ მომგრგვალებული მხარი და ბრტყელი ძირი. პირს გარედან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 6,7 სმ, პირის დიამეტრი — 25 სმ, ძირის დიამეტრი — 10,5 სმ.

717. ჭილა სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირი —შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული ორი ყური, ჰორიზონტალური მრგვალი ნახვრეტით. მხარს ამკობს რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი. სიმაღლე—19,3 სმ, პირის დიამეტრი — 10,8 სმ, მუცლის დიამეტრი — 19 სმ, ძირის დიამეტრი—6,9სმ.

718. ხელადა, პირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა —

შავი, შიდა — მოყავისფრო. ზედაპირი მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელი უნდა ყოფილიყო პირვიწრო, საშუალო სიმაღლის ყელის, მხრებდაქანებული, მუცელგამობერილი და ძირვიწრო. პირთან და მხარზე დაძერწილია ყური. მხარი შემკულია ტალღისებური ღარების სამი რიგით და ერთმანეთის პარალელური ვერტიკალური ღარებით.

სიმაღლე — 18,7 სმ, მუცლის დიამეტრი — 17 სმ, ძირის დიამეტრი — 7 სმ.

719. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა —ლეგა„ შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი — შავი, ჩალისფერი და ნაცრისფერი ლაქებით, მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს განიერი ბრტყელბაკიანი პირი, სწორი მხრები, ვიწრო ძირი. მხრის წიბოსთან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 10,2 სმ, პირის დიამეტრი — 22,5 სმ, ძირის დიამეტრი — 7,9 სმ.

720. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა—შავი, შიდა—-მონაცრისფრო რუხი. ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით, მოგლუვებული. ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ოვალურნახვრეტიანი ორი ყური, ზურგზე რელიეფური ზოლით.

სიმაღლე — 27,6 სმ, პირის დიამეტრი — 11 სმ, მუცლის დიამეტრი — 23 სმ, ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

721. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით, მოგლუვებული, ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ციწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, მრგვალი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 18,1 სმ; პირის დიამეტრი — 9,6, სმ; მუცლის დიამეტრი — 17,5 სმ, ძირის დიამეტრი —- 6,9 სმ.

722. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქებით, მოგლუვებული. ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, ოდნავ მომრგვალებული წიბოიანი მხრები, ვიწრო, კარგად გამოსახული ძირი. მუცელზე გარშემოუყვება ერთი ღარი.

სიმაღლე — 6,8 სმ, პირის დიამეტრი — 12,4 სმ, ძირის დიამეტრი — 6 სმ.

723. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად, ზოგან მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი და ნაცრისფერი, მოგლუვებული. ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი და ოდნავ ამობურცული ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური დაკუთხული, მრგვალნახვ-

რეტიანი ორი ყური. ყელს ძირში გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 18,5 სმ, პირის დიამეტრი — 11,7 სმ, მუცლის დიამეტრი — 21 სმ, ძირის დიამეტრი — 8,2 სმ.

724. ჭოთნის ფრაგმენტები მჭისე, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია წაბლისფრად, ზოგან მისი გარეპირის თხელი ფენა შავი, შიდა წაბლისფერი. ზედაპირი წაბლისფერი და შავი. დაღარულია კონცენტრული ხაზებით.

725. ტოლჩა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია მონაცრისფრო მორუხოდ. ზედაპირი მონაცრისფრო მორუხო, ლეგა ლაქებით, კარგად მოგლუვებული. ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, მაღალი ყელი, დაქანებული მხრები, დაბალი წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. ქუსლი ოდნავ გამოყოფილია. პირზე დაძერწილია სამკუთხა შვერილი, ვერტიკალური მრგვალი ნახვრეტით. ყელს გარშემოუყვება რელიეფური ზოლები.

სიმაღლე — 12,3 სმ, პირის დიამეტრი — 12,8 სმ, მუცლის დიამეტრი — 14,6 სმ, ძირის დიამეტრი — 6,8 სმ.

726. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი მოგლუვებული.

727. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული. ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ბრტყელი ორი ყური. მხარზე გარშემოუყვება ორხაზიან ჩარჩოში ჩასმული ტალღური ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 29,5 სმ, პირის დიამეტრი — 11,6 სმ, მუცლის დიამეტრი — 26 სმ, ძირის დიამეტრი — 7,7 სმ.

728. ჭოთანი მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მონაცრისფროდ. ზედაპირი მონაცრისფრო, წაბლისფერი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, ზემოდან ერთი განიერი ღარით, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი. ყელის ძირს და მხარს გარშემოუყვება ირიბი ნაჭდევების თითო რიგი. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირს ამკობს ამოღარული სპირალი.

სიმაღლე — 22 სმ, პირის დიამეტრი — 18,8 სმ, მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი — 9,4 სმ.

729. ხელადა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ძირი. ყელსა და მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. მუცელზე გარშემოუყვება ორი განიერი ღარი.

სიმაღლე — 21,1 სმ, პირის დიამეტრი — 10 სმ, მუცლის დიამეტრი — 13 სმ; ძირის დიამეტრი — 8,4 სმ.

730. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ლეგა, შუაგუ-

ლი — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, მრგვალი მუცელი, ოდნავ ამობურცული ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. ყელს ძირში ვარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური და ორი განიერი ღარი.

სიმაღლე — 25,3 სმ; პირის დიამეტრი — 11,8 სმ, მუცლის დიამეტრი — 23,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

731. ტოლჩა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, ლეგა ლაქებით, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები ყოფილა. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, სწორი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი, ბრტყელი ძირი. პირთან დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. პირს გარედან გარშემოუყვება რამდენიმე განიერი ღარი.

სიმაღლე — 12,3 სმ, პირის დიამეტრი — 14,4 სმ, ძირის დიამეტრი — 8,8 სმ.

732. სასმისი წვრილმარცვლოვანი თიხისა. შავი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, მაღალი კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი. მხარი შემკული აქვს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზით.

სიმაღლე — 12,3 სმ, პირის დიამეტრი — 7,2 სმ, მუცლის დიამეტრი — 11,5 სმ, ძირის დიამეტრი — 4,7 სმ.

733. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—ლეგა, შუაგული—წაბლისფერი. ზოგან გარეპირი—შავი, შიდა რუხი. ზედაპირი შავი, ლეგა და ღია წაბლისფერი, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, დაჭანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ბრტყელი ორი ყური. მხარს შემოუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 35,8 სმ, პირის დიამეტრი — 12,5 სმ, მუცლის დიამეტრი — 28,6 სმ, ძირის დიამეტრი — 10,1 სმ.

734. ჭილა განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი—შავი, წაბლისფერი ლაქებით, კარგად მოგლუვებული, ნაპრიალები ყოფილა. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს გარშემოუყვება ერთი ღარი.

სიმაღლე — 27,4 სმ, პირის დიამეტრი — 10,3 სმ; მუცლის დიამეტრი — 22 სმ, ძირის დიამეტრი — 7,7 სმ.

735. ფიალის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი.

736. ჯამის ფრაგმენტები განლექილი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის ძალიან თხელი ფენა — შავი, შუაგული—წაბლისფერი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. პირგანიერი, მხრებსწორი ჭურჭელია.

737. საკიდი ბრინჯაოსი, ფრინველის გამოსახულებით, დიდი ყუნწით. გვერდებზე ამოკვეთილია სამკუთხედები. ნაკლული.

738. ღილი ბრინჯაოსი, მრგვალბრტყელი, შიდა მხარეს ყუნწით, ზედაპირს გარშემოუყვება ერთი ღარი. დიამეტრი — 2,8 სმ.

739. მძივები სარდიონის, ნახეთქი; სამი ცალი.

სამარხი № 72 (ტაბ. XLIV) გამართულია ამონაყარ გრუნტზე. წარმოადგენს მოგრძო, ოთხკუთხ ორმოს (2×1,20 მ), რომელიც სიგრძივ დამხრობილია NW—SO.

სამარხი დაზიანებულია, ადამიანის ჩონჩხი ნაკლული. მიუხედავად ამისა, მაინც ირკვევა, რომ მიცვალებული დაუსვენებიათ მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილოეთით.

სამარხში აღმოჩნდა:

740. ჭურჭლის ფრაგმენტები კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — აგურისფერი. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული და როგორც ჩანს ნაპრიალები იყო.

741. ჭურჭლის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიადპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

742. ჭურჭლის ფრაგმენტები, წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — ნაცრისფერი, შიდა — აგურისფერი.

743. ქვაბქოთანას ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული. მოყრილ პირს გარშემოუყვება სამი რელიეფური ზოლი. ორ მათგანზე დატანილია ირიბი ნაჭდევები; მხარს ამოღარული ტალღური ხაზები აშკობს, რომელიც კონცენტრული ამოღარული ხაზით ისაზღვრება.

744. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირი — ჩალისფერი, შიდაპირის თხელი ფენა — ნაცრისფერი.

745. ქოთნის პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქებით. ჭურჭლის მხარი შემკულია ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდე — ირიბი ნაჭდევებით. ძირს გარშემოუყვება ამოღარული სპირალი. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ღარებით.

746. ქოთანი წვრილმარცვლოვანი თიხისა. არათანაბრად გამომწვარი, კეცი მოწაბლისფრო მორუხო, ზედაპირზე შავი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, მრგვალმუცლიანია და ძირვიწრო. მხარს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 22,8 სმ. პირის დიამეტრი — 17 სმ, მუცლის დიამეტრი — 26,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9,5 სმ.

747. დერგი სილანარევი თიხისა. უხეშკეციანი; მისი გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მონაცრისფრო, შუაგული — წაბლისფერი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, ბრტყელი ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მუცელს გარშემოუყვება რამდენიმე კონცენტრული ამოღა-

რული ხაზი. სიმაღლე — 39,5 სმ, პირის დიამეტრი — 11 სმ, მუცლის დიამეტრი — 25 სმ; ძირის დიამეტრი — 12 სმ.

748. ქოთანი ფრაგმენტირებული, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი — შავი, ყავისფერი ლაქებით, მოგლუვებული.

749. ქილა სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად; ზოგან მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი ნაცრისფერი და შავი, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, მრგვალი მუცელი და ოდნავ ამობურცული ძირი. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი, ხოლო მუცელს—რამდენიმე. სიმაღლე — 26,3 სმ; პირის დიამეტრი — 13 სმ; მუცლის დიამეტრი — 27 სმ; ძირის დიამეტრი — 10,5 სმ.

750. სასმისი (?) ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი. გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, წელში გამოყვანილი ტანი ძირისკენ ოდნავ ფართოვდება და ბრტყელ ძირში გადადის. პირზე დაძერწილია შვერილი ყური, ვერტიკალური მრგვალი ნახვრეტით. ერთი ყური აკლია. პირს გარედან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 11,5 სმ, პირის დიამეტრი — 12,5 სმ, ძირის დიამეტრი — 9,5 სმ.

751. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად.

752. კოჭობი წვრილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი. გამომწვარია წაბლისფრად. ზედაპირი წაბლისფერი, შავი ლაქებით, ხორკლიანი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი,დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარი შემკულია ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდე — ირიბი ნაჭდევებით, ძირს ამოღარული სპირალი ამკობს, მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. სიმაღლე — 16 სმ, პირის დიამეტრი — 15,5 სმ, მუცლის დიამეტრი — 18,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

753. კოჭობი ძლიერ ფრაგმენტირებული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

754. სამაჯური ბრინჯაოსი, მრგვალბრტყელი ღეროსი, თავები ერთმანეთზეა გადასული. უდ. დიამეტრი — 7,1 სმ, უმც. დიამეტრი — 6,2 სმ, ღეროს სიგანე — 0,3 სმ, ღეროს სიმაღლე — 0,2 სმ.

სამარხი № 73 (ტაბ. XLV 755—768) დაზიანებულია. იგი როგორც ჩანს ორმოსამარხს წარმოადგენდა (1,60× 1 მ). შემორჩენილი ძვლების მიხედვით მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ყოფილა დასვენებული.

სამარხში აღმოჩნდა:

755. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

756. ქოთნის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. უხეშკეციანი, რუხადაა გამომწვარი. ზედაპირი რუხი, ძირთან წაბლისფერი ლაქით. მთელი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით, ჭურჭლის მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეს ირიბი ნაჭდევები, ძირს გარშემოუყვება ამოღარული სპირალი. პირის დიამეტრი — 15 სმ; ძირის დიამეტრი — 5,8 სმ.

757. ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები, წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — წაბლისფერი.

758. ქვაბქოთნის ძირ-გვერდის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ზედაპირი ლეგა, შავი ლაქებით. ზედაპირი დაღარულია კონცენტრული ხაზებით, ძირს გარშემოუყვება ამოღარული სპირალი, ძირის კიდეს ამკობს ირიბი ნაჭდევები. ძირის დიამეტრი — 6,8 სმ.

759. ქილა ფრაგმენტირებული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს ჰქონია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური.

760. ქოთნის პირის ფრაგმენტები, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. პირის დიამეტრი — 14 სმ.

761. ფიალა ფრაგმენტირებული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელი სამფეხა ყოფილა.

762. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები, სილანარევი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი მოგლუვებული. ძირის დიამეტრი — 10,5 სმ.

763. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქით, მოგლუვებული.

764. ჭურჭლის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი შრე — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია.

765. სადღვებლის ფრაგმენტები, სილანარევი თიხისა. უხეშკეციანი, გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებული.

766. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

767. დიდი ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი მოგლუვებული.

768. მძივები სარდიონის, ნახეთქი, ბირთვისებური, 7 ცალი. ობსიდიანის ანატკეცი.

სამარხი № 75 (ტაბ. XLV 769—774) ძლიერ დაზიანებულია. მდებარეობს № 73 სამარხის ქვეშ, 0,40 მ-ის სიღრმეზე.

769. ქილა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, სფერული მუცელი და ამობურცული ვიწრო ძირი.

სიმაღლე — 24 სმ; პირის დიამეტრი — 13 სმ; მუცლის დიამეტრი —26,5 სმ; ძირის დიამეტრი — 7,5 სმ.

770. ლანგარი სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი და რუხი, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი, სწორი მხრები და კარგად გამოსახული ძირი.

სიმაღლე — 7 სმ; პირის დიამეტრი — 28 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

771. სადღვებელი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად.

ზედაპირი რუხი, შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ამობურცული, ვიწრო ძირი. მხარზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი; მილის გვერდით დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. მილის სიმაღლეზე ჭურჭელს გარშემოუყვება ორი განიერი ღარი.

სიმაღლე — 27,5 სმ, პირის დიამეტრი — 10 სმ, მუცლის დიამეტრი — 23 სმ, ძირის დიამეტრი — 8 სმ.

772. ქილა წვრილმარცვლოვანით თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, სფერული მუცელი და ოდნავ ამობურცული ძირი. მხარზე დაძერწილია შვერილი ყური. ყურის სიმაღლეზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 20 სმ; პირის დიამეტრი — 16,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 24 სმ; ძირის დიამეტრი — 9 სმ.

773. ქილა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს გარშემოუყვება ერთი ღარი.

სიმაღლე — 21 სმ; პირის დიამეტრი — 10,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 20 სმ; ძირის დიამეტრი— 8 სმ.

774. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

სამარხი № 76 (ტაბ. XLVI, 775—778). შემორჩენილია ორმოსამარხის მცირე ნაშთი (0,70×0,70) მ); მიცვალებულის ძვლები თითქმის არ არის გადარჩენილი.

სამარხში აღმოჩნდა:

775. ლანგარი, ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. პირგანიერი, გადაშლილი ჭურჭელია წიბოიანი მხარით. პირის დიამეტრი —32 ს.

776 კოჭობის პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი რუხადაა გამომწვარი. ჭურჭლის ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით, ყელი შემკულია ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდე — ირიბი ნაჭდევებით. ძირს ამკობს ამოღარული სპირალი.

პირის დიამეტრი — 11,2 სმ, ძირის დიამეტრი — 7 სმ.

777. ქილა ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი რუხადაა გამომწვარი, ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი. მუცელზე დაძერწილია ბრტყელი ყური. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური, ხოლო მუცელს — ერთი განიერი ღარი.

პირის დიამეტრი — 9,2 სმ.

778. კათხის პირ-გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი თიხისა. კეცი რუხადაა გამომწვარი. ზედაპირი მოგლუვებულია.

სამარხი № 77 (ტაბ. XLVI 779—786) ზევიდან ედო № 78 სამარხს. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,86 მ-ის სიღრმეზე. სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული და მისი ორმოს მხოლოდ მცირე ნაწილია გადარჩენილი. დაზიანებული

იყო ადამიანის ჩონჩხიც, თუმცა ზოგიერთი ძვალი მიუთითებს, რომ მიცვალებული მარჯვენა გვერდზე წოლილა კიდურებმოხრილი.

სამარხში აღმოჩნდა:

779. კოჭობი ფრაგმენტირებული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე-პირის თხელი ფენა — შავი, შიდა — წაბლისფერი. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით, ძირის კიდეს ირიბი ნაჭდევები ამკობს.

780. თიხის ჭურჭლის ხუფი, სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, ჩალისფერი და შავი ლაქებით, მოგლუვებული. ძირბრტყელ და ვიწროყელიან სასმისს წააგავს. ზევიდან ბრტყელი ნაწილი შემკული აქვს წვერით ერთიმეორეზე დაყრდნობილი ამოღარული სამკუთხედებით. სიმაღლე—6,7 სმ; ზედა ბრტყელი ნაწილის დიამეტრი — 4,5 სმ; უდიდესი დიამეტრი — 9 სმ, ყელის დიამეტრი — 5,5 სმ.

781. კათხა, ძირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე-პირის თხელი ფენა — შავი, შიდა — წაბლისფერი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, წელში გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი. პირსა და წიბოზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. პირს გარედან გარშემოუყვება ორი ღარი.

პირის დიამეტრი — 11,7 სმ, მუცლის დიამეტრი — 11,5 სმ.

782. დერგის ფრაგმენტები, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული —წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი უნდა ჰქონოდა. მუცელზე შერჩენილია ლენტური ერთი ყური. დაღარულია კონცენტრული ხაზებით.

783. სადღვებელი მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგად. ზედაპირი ხორკლიანი. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, გამობერილი მუცელი. ვიწრო ძირი. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი, მის გვერდით დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი, გრეხილზურგიანი ყური. ყელს ძირში გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 23,5 სმ, პირის დიამეტრი — 10,5 სმ, მუცლის დიამეტრი — 22,5 სმ, ძირის დიამეტრი —- 8,5 სმ.

784. ჭოთნის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით, ძირის კიდეს ამკობს ირიბი ნაჭდევები.

785. ჭოთნის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული—წაბლისფერი. დაღარულია კონცენტრული ხაზებით.

786. ფიალა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ყავისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, ჩაღარული გვერდი, წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. პირსა და მუცლის წიბოს გარშემოუყვება თითო განიერი ღარი.

სიმაღლე — 6 სმ; პირის დიამეტრი — 13 სმ, ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

სამარხი № 78 (ტაბ. XLVII) აღმოჩნდა № 77 სამარხის ქვეშ, 0,33

მ-ის სიღრმეზე. იგი წარმოადგენს მოგრძო, ოთხკუთხ ორმოს სიგრძივ დამხრობილს NW—SO.

მიცვალებული დაუსვენებიათ სამარხის ცენტრალურ ნაწილში, მარცხენა გვერდზე, თავით NW. პირისახის წინა თხის (?) ჩონჩხია, თავთან — თიხის საძირ ჭურჭელი, მუხლთან — ერთი, ზურგს უკან კი — ოთხი.

787. ქვაბქოთანა, ნაკლული, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, შავი ლაქით, მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, ლილვაკისებურბაკოიანი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. მუცელზე დაძერწილია შვერილი ორი ყური, ზურგზე ურთიერთგადამკვეთი ღარებით. მხარს გარშემოუყვება ორი ღარი.

სიმაღლე — 22 სმ; პირის დიამეტრი — 19 სმ, მუცლის დიამეტრი — 27 სმ, ძირის დიამეტრი — 10 სმ.

788. კათხა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, გამოყვანილი ტანი, დაბალი წიბოიანი მუცელი, ვიწრო ძირი. პირსა და წიბოზე დაძერწილია ერთი ყური. ტანზე წიბომდე გარშემოუყვება რელიეფური ზოლები.

სიმაღლე — 10 სმ, პირის დიამეტრი — 11,5 სმ, ძირის დიამეტრი — 5 სმ.

789. ფიალა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, ძირთან შავი ლაქით. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი მომრგვალებული წიბოიანი მხარით და ვიწრო ძირით.

სიმაღლე — 4 სმ; პირის დიამეტრი — 10,5 სმ, ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

790. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, ძირთან შავი ლაქით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, სწორი წიბოიანი მხარი, ვიწრო ძირი.

სიმაღლე — 7 სმ; პირის დიამეტრი — 22 სმ; ძირის დიამეტრი — 8 სმ.

791. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა. გამომწვარია ლეგად. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, დაქანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მუცელზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. სიმაღლე — 12 სმ, პირის დიამეტრი — 15,5 სმ, მუცლის დიამეტრი — 18 სმ, ძირის დიამეტრი — 6 სმ.

792. სადღვებელი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, ძირთან შავი ლაქით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, დაბალი ყელი, კვერცხისებური ტანი, ამობურცული, ვიწრო ძირი. მუცელზე დატანილია სითხის გადმოსაღვრელი მილი, მილის გვერდზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. მხარზე გარშემოუყვება ორღარიან ჩარჩოში ჩასმული ტალღური ამოღარული ხაზი. სიმაღლე — 33 სმ, პირის დიამეტრი — 13 სმ, მუცლის დიამეტრი — 25 სმ, ძირის დიამეტრი — 7 სმ.

793. დერგი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული ვიწრო პირი, დაბალი ყელი, განზე გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, ამობურცული, ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს გარშემოუყვება კოცენტრული ამოღარული ხაზები. სიმაღლე — 43 სმ, პირის დიამეტრი 13 სმ, მუცლის დიამეტრი — 36 სმ, ძირის დიამეტრი — 11 სმ.

794. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული.

795. ჯამი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, ლეგა და შავი ლაქებით. ჭურჭელს აქვს განიერი ლილვაკისებურბაკოიანი პირი, ოდნავ დაქანებული მხრები, წიბოიანი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარზე გარშემოუყვება რელიეფური ზოლები. პირსა და მუცლის წიბოზე დაძერწილია ერთი ყური.

სიმაღლე — 10 სმ, პირის დიამეტრი —16,6 სმ; ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

796. ღილები ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ყუნწით. 1. დიამეტრი — 1,2 სმ; 2. დიამეტრი — 0,9 სმ.

797. საკიდი ბრინჯაოსი, ბაყაყის სკულპტურული გამოსახულებით. გატეხილია. სიგრძე — 1,3 სმ. წვრილფეხა საქონლის ჩონჩხი.

სამარხი № 79 გამართულია განამარხებულ ჰუმუსზე. წარმოადგენს ორმოსამარხს. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია ადამიანის ჩონჩხის ნაწილი.

სამარხში აღოჩნდა:

798. დერგი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებულია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. ყელის ძირს და მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 31 სმ, პირის დიამეტრი — 11,5 სმ, მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

799. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებულია.

800. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული—ნაცრისფერი ზედაპირი მოგლუვებული. ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

801. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს უნდა ჰქონოდა განიერი პირი, დაბალი, გოფრირებული ყელი, ბიკონუსური ტანი. პირსა და მხარზე დაძერწილია ბრტყელი ყური.

802. ჯამის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს ჰქონია განიერი, ლილვაკისებურბაკოიანი პირი, წიბოიანი მუცელი და მკვეთრად გამოსახული ძირი.

803. კოჭობის ფრაგმენტები წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ღარებით.

804. კოჭობის ფრაგმენტები, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქებით.

805. ტოლჩის პირ-გვერდის ფრაგმენტი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი ნაცრისფრადაა გამომწვარი. მოგლუვებული ზედაპირით.

806. სამი ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები. ერთი მცირე ჯამის პირ-

გვერდის ფრაგმენტი, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული—რუხი. ზედაპირი მოგლუვებული. მეორე—კოჭობის პირ-გვერდის ფრაგმენტი, სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი მოგლუვებული. მესამე — კათხის (?) პირ-გვერდის ფრაგმენტი, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, შავი ლაქით, მოგლუვებული.

807. კოჭობის ფრაგმენტები, მჭისე, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირი — შავი, შუაგული — ლეგა. ზედაპირი დასერილია კოხცენტრული ღარებით. ჭურჭლის მხარი შემკული ყოფილა ირიბი ნაჭდევებით.

808. ძვლის კვირისტავი.

წვრილფეხა ცხოველის ძვლები.

სამარხი № 101 (ტაბ. NLVIII 809—819) აღმოჩნდა 1971 წ. ქვემო სამგორის არხის ტრასის სამხრეთ ჭრილში. წარმოადგენს ოთხკუთხა ორმოს (1,80×1,20 მ). კუთხეები მომრგვალებული აქვს. სამარხის ცენტრალურ ნაწილში დასვენებული იყო მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით NW. თავთან თიხის ხუთი ჭურჭელი იდგა; მიცვალებულს ყელზე ბრინჯაოს მავთულის გვერგვი (?) ეკეთა. ხელის მტევნების წინ მძივები იყო გაბნეული. თითზე ბრინჯაოს ბეჭედი ეკეთა.

809. ბადია სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. ზედაპირი შავი, ჩალისფერი ლაქებით, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, ლილვაკისებური ბაკოთი, ოდნავ გამობერილი მუცელი, კარგად გამოკვეთილი, ოდნავ შეძაღლებული ძირი. მხარს გარშემოუყვება რამდენიმე ღარი, რომლებიც ქმნიან რელიეფურ ზოლებს.

სიმაღლე — 15 სმ; პირის დიამეტრი—21 სმ; მუცლის დიამეტრი — 24 სმ; ძირის დიამეტრი — 11 სმ.

810. ბადია სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, მოწაბლისფრო ლაქებით, მოგლუვებული და ხუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, ოდნავ გამობერილი მუცელი, კარგად გამოკვეთილი, ოდნავ შემაღლებული ძირი. მხარს ამკობს ტალღური ამოღარული ხაზების სარტყელი.

სიმაღლე — 17 სმ; პირის დიამეტრი — 25 სმ, მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი — 10,5 სმ.

811. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ნაცრისფერი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ეს არის პირგანიერი, ჭურჭელი ოდნავ მომრგვალებული მხრებით, კარგად გამოკვეთილი, ოდნავ შემაღლებული ძირით. მხარზე დაძერწილია დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ყურა. ყურის სიმაღლეზე გარშემოუყვება ამოღარული ხაზები, რომლებიც ქმნიან რელიეფურ ზოლებს.

სიმაღლე—9,5 სმ; პირის დიამეტრი — 15,5სმ; ძირის დიამეტრი — 6.2 სმ.

812. ჩაფი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული—წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ბაკომომრგვალებული ვიწრო პირი, მაღალი კონუსური ყელი, დაჭანებული მხრები, გამობერილი წი-

ბოიანი მუცელი, ბრტყელი ძირი. პირსა და მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური, რომელიც ზევიდან დაბრტყელებით მთავრდება. ყურის ზურგი ნაჭდევი წიწვოვანი ორნამენტითაა შემკული. ჭურჭლის მხარზე წერტილებით ნატვიფრი, დაკუთხული მეანდრებია დატანილი. მის ქვემოთ გარშემოუყვება რელიეფური სამი ზოლი.

სიმაღლე—33 სმ; პირის დიამეტრი — 12,5 სმ; მუცლის დიამეტრი — 28.5 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ.

813. სასმისი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული—ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, მოწაბლისფრო ლაქებით, კარგად მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, საშუალო სიმაღლის, კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მუცელს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 16 სმ; პირის დიამეტრი — 9 სმ; მუცლის დიამეტრი — 13,5 სმ; ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

814. ხვია ბრინჯაოსი, ბრტყელი ღეროსი 1,5 ხვიისა, თავებწატეხილი. უდ. დიამეტრი — 2,1 სმ, უმც. დიამეტრი — 2 სმ; ღეროს სიგანე — 0,3 სმ.

815. ხვია ბრინჯაოსი, ბრტყელი ღეროსი, 1,5 ხვიისა; თავებწატეხილი. უდ. დიამეტრი — 2,2 სმ, უმც. დიამეტრი — 2,1 სმ, ღეროს სიგანე — 0,3 სმ.

816. საკისრე რგოლი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, ფრაგმენტირებული. ღეროს უდ. დიამეტრი — 0,3 სმ.

817. ხვია ბრინჯაოსი, სპირალურად დახვეული მავთულისა.

818. მილაკი ბრინჯაოსი, გვერდგახსნილი, დეფორმირებული. სიგრძე — 0.7 სმ.

819. მძივი სარდიონის, ერთი ცალი.

სამარხი № 102 (ტაბ. XLVIII 820—823) აღმოჩნდა 1971 წ. ქვემო სამგორის არხის ტრასის მარჯვენა ჭრილში, სამი მეტრის სიღრმეზე. იგი წარმოადგენს ორმოსამარხს. ორმო მოგრძოა, სიგრძივ დამხრობილი NW—SO. სამარხი ამკარად გაძარცულია ძველადვე. ადამიანის ძვლები დაგროვილია სამარხი ორმოს აღმოსავლეთ კუთხეში.

სამარხში აღმოჩნდა:

820. ქვაბქოთანა მჭისე, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მოწაბლისფრო მორუხოდ. ზედაპირი ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი, დაკუთხულბაკოიანი პირი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ძირი. პირს ზემოდან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური, კონცენტრული ამოღარული ხაზები და რელიეფური წნული სარტყელი, ძირის კიდეს — ირიბი ნაჭდევები.

სიმაღლე — 24 სმ პირის დიამეტრი — 19 სმ, მუცლის დიამეტრი — 25,5 სმ, ძირის დიამეტრი — 9,5 სმ.

821. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით.კეცი პირთან ნაცრისფერი,დანარჩენ ადგილებში მისი გარეპირის თხელი ფენა—შავი, შიდა — ნაცრისფერი, ზედაპირი შავი და ნაცრისფერი, მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, მაღალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწ-

რო ძირი. მხარს ამკობს სოლისებური ნაჭდევების პირამიდალური ჯგუფები, მუცელზე გარშემოუყვება რელიეფური ზოლები.

სიმაღლე — 35 სმ, პირის დიამეტრი — 13 სმ, მუცლის დიამეტრი — 31,5 სმ, ძირის დიამეტრი — 10 სმ.

822. სასმისი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა—წაბლისფერი. ზედაპირი შავი წაბლისფერი ლაქებით. მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები, ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, დაბალი კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი. სიმაღლე—13 სმ, პირის დიამეტრი — 8,5 სმ, მუცლის დიამეტრი — 12 სმ; ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

823. კოჭობი წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია მოწაბლისფრო მორუხოდ. ზედაპირი ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, დაბალი ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება ირიბი ნაჭდევების ორი რიგი, ძირს — ერთი.

სიმაღლე — 13,5 სმ, პირის დიამეტრი — 12,5 სმ, მუცლის დიამეტრი — 17 სმ; ძირის დიამეტრი — 5 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 103 აღმოჩნდა 1970 წ. ქვემო სამგორის არხის ტრასის ჩრდილო ჭრილში. გაძარცულია.

ს ა მ ა რ ხ ი № 104 (ტაბ. XLIX) აღმოჩნდა 1971 წელს ქვემო სამგორის არხის ტრასის გაჭრის დროს.

წარმოადგენს ორმოსამარხს, სიგრძივ დამხრობილს NS. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამოვლინდა ცხოველის თავის ფრაგმენტები, ცენტრალურ ნაწილში კი—მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხის მცირე ნაშთი. სამარხში თიხის რამდენიმე ჭურჭელი აღმოჩნდა.

824. ჭილის პირ-გვერდის ფრაგმენტები, კარგად განლექილი ცხიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალები. აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, ლილვაკისებური ბაკოთი დაბალი ყელი. მხარი შემკულია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

825. დერგი კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, ლილვაკისებური ბაკოთი, ძალიან დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 45,5 სმ; პირის დიამეტრი — 12,2 სმ, მუცლის დიამეტრი — 36 სმ, ძირის დიამეტრი — 9,4 სმ.

826. ჭილის პირ-გვერდის ფრაგმენტი, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი,

შუაგული—წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული, სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი. მხარი შემკულია კონცენტრული ამოღარული ხაზებით.

827. ბარძიმი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — რუხი. ზედაპირი შავი, რუხი ფერის ლაქებით, მოგლუვებული. პირგანიერი, ლილვაკისებური ბაკოთი, მომრგვალებული მხრებითა და გამოყვანილი ღრუჭუსლიანი ძირით. ჭუსლს კიდეები ჩამოტეხილი აქვს. მხარს გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 15 სმ, პირის დიამეტრი — 21 სმ.

828. ჭურჭლის ფრაგმენტები კარგად განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირი — შავი, შიდა — ვარდისფერი.

829. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი ზედა ნაწილში—ნაცრისფერი, ქვევით მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი და ნაცრისფერი, მოგლუვებული და ნაპრიალებია,. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს ამკობს კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 31,3 სმ, პირის დიამეტრი — 13,3 სმ, მუცლის დიამეტრი — 28,5 სმ; ძირის დიამეტრი — 8,8 სმ.

830. ბარძიმი ნაკლული, განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული —წაბლისფერი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და ნაპრიალები. ეს არის პირგანიერი, ლილვაკისებურბაკოიანი ჭურჭელი ოდნავ მომრგვალებული მხრებით და გამოყვანილი ღრუჭუსლიანი ძირით. ჭუსლი მოტეხილია. მხარზე გარშემოუყვება კონცენტრული ღარები.

831. ქვაბქოთანას პირ-გვერდის ფრაგმენტი, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ყავისფრად. ზედაპირი ყავისფერი, ლეგა ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელი პირგანიერი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი უნდა ყოფილიყო. მხარი შემკულია ირიბი ნაჭდევების ორი რიგით, რელიეფური წნული სარტყელით და ერთი განიერი ღარით.

ს ა მ ა რ ხ ი № 105 (ტაბ. L) წარმოადგენს ოთხკუთხ, მოგრძო ორმოს, რომლის ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული იყო მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით N. ორმოს კედლებთან აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ხოლო ჩონჩხთან კონცენტრირებული იყო სამკაული.

832. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მოწაბლისფრო. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალები.

833. ქვაბქოთანა სილანარევი თიხისა. კეცი ჭურჭლის ზედა ნაწილში — ნაცრისფერი, ქვევით მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი და ნაცრისფერი, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებულ პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური ხაზი, რამდენიმე კონცენტრული ღარი და ნაჭდევი რელიეფური სარტყელი, მუცელზე—

ერთი რელიეფური ზოლი, ძირთან ახლოს ჭურჭელს ამკობს გაშლილი ტალღული ამოღარული ხაზი, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ნაჭდევები.

სიმაღლე — 23,8 სმ, პირის დიამეტრი — 18,2 სმ, მუცლის დიამეტრი — 28,5 სმ; ძირის დიამეტრი — 9,3 სმ.

834. სასმისი განლექილი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — მონაცრისფრო. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალებია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარზე გარშემოუყვება ერთი ღარი.

სიმაღლე — 14,1 სმ, პირის დიამეტრი — 7,3 სმ, მუცლის დიამეტრი — 13 სმ; ძირის დიამეტრი — 5,7 სმ.

835. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი ჭურჭლის ზედა ნაწილში — მოწაბლისფრო რუხი, ქვევით — მისი გარეპირის თხელი ფენა—შავი, შიდა—მოწაბლისფრო რუხი. ზედაპირი შავი და მოწაბლისფრო-მორუხო. ეს არის პირგანიერი, ბაკომომრგვალებული, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. პირსა და მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარს ამკობს ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე—19,2 სმ, პირის დიამეტრი—14,2 სმ, მუცლის დიამეტრი—22,5 სმ. ძირის დიამეტრი — 7,7 სმ.

836. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი ჭურჭლის ზედა ნაწილში — მოწაბლისფრო-მორუხო, ქვემოთ მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოწაბლისფრო-მორუხო. ზედაპირი შავი და მოწაბლისფრო-მორუხო. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყუთი მხარი შემკულია ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზით.

სიმაღლე—35,9 სმ, პირის დიამეტრი — 12,2 სმ, მუცლის დიამეტრი — 31,2 სმ, ძირის დიამეტრი — 10,5 სმ.

837. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი ჭურჭლის ზედა ნაწილში — მოწაბლისფრო, ქვემოთ მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოწაბლისფრო. ზედაპირი მოწაბლისფრო და შავი, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირი. მუცელზე დაძერწილია ბრტყელი ორი ყური, ყურის ზურგზე დატანილია თევზიფხური ნაჭდევები. მხარზე გარშემოუყვება ორი გაშლილი ტალღური ღარი და მათ შორის დატანილი კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე—26,6 სმ, პირის დიამეტრი — 9,9 სმ, მუცლის დიამეტრი — 22 სმ, ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

838. დერგი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — მოშავო, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოშავო, წაბლისფერი და შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი,

დაბალი კონუსური ყელი, გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, ამობურცული ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 40,3 სმ. პირის დიამეტრი — 13,2 სმ, მუცლის დიამეტრი — 32,5 სმ, ძირის დიამეტრი — 10,3 სმ.

839. დერგი სილანარევი თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი ჭურჭლის ზედა ნაწილში — ნაცრისფერი, ქვევით — მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი ნაცრისფერი და შავი, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაბალი ყელი, გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, ოდნავ ამობურცული ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური. მხარს ამკობს ერთი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 28,8 სმ, პირის დიამეტრი — 11,3 სმ, მუცლის დიამეტრი — 25,5 სმ, ძირის დიამეტრი — 8,2 სმ.

840. ჯამის პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტები, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი მომრგვალებული მხრებითა და ვიწრო ძირით. მხარს გარშემოუყვება თითო ტალღური და კონცენტრული ამოღარული ხაზი.

პირის დიამეტრი — 13,6 ძირის დიამეტრი — 5,5 სმ

841. კოჭობი მქისე, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარეპირის თხელი შრე — შავი, შიდა — მოწაბლისფრო. ზედაპირი შავი, ღია წაბლისფერი ლაქებით. ეს არის პირგანიერი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირვიწრო, ჭურჭელი. ყელის ძირს, მხარს და ძირის კიდეს გარშემოუყვება ორიბი ნაჭდევები, პირს ზემოდან კი — ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 9,3 სმ, პირის დიამეტრი — 9,2 სმ, მუცლის დიამეტრი — 11,7 სმ, ძირის დიამეტრი — 4 სმ.

842. ფიალა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული ლეგა. ზედაპირი შავი, ლეგა მოყავისფრო ლაქებით, მოგლუვებული. პირგანიერი, მხრებსწორი ჭურჭელია. მხარზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი. ძირთან ნაკლული.

პირის დიამეტრი — 12,4 სმ.

843. ფიალა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია შავად. პირგანიერი, მხრებსწორი. ძირვიწრო ჭურჭელია. მხარზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 5,4 სმ, პირის დიამეტრი — 9,8 სმ, ძირის დიამეტრი — 4,5 სმ.

844. ჭილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული მონაცრისფრო. ზედაპირი მოგლუვებული და ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი: დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარზე დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნაპირეტიანი ორი ყური. ყურის სიმაღლეზე, მხარს გარშემოუყვება ერთი გაშლილი ტალღური და რამდენიმე კონცენტრული ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 16,2 სმ, პირის დიამეტრი — 10,4 სმ, მუცლის დიამეტრი — 18 სმ. ძირის დიამეტრი — 6,6 სმ.

845. ქოთანი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის თხელი ფენა—შავი, შიდა — მონაცრისფრო. ზედაპირი შავი. მონაცრისფრო რუხი ლაქებით. მოგლუვებული, ძირთან სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი, ბრტყელ-ბაკოიანი პირი, მრგვალი მუცელი და ვიწრო ძირი. პირთან დაძერწილია მასიური, დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ორი ყური. მხარზე ერთმანეთის შენაცვლებით გარშემოუყვება ტალღური და კონცენტრული ამოღარული ხაზები. პირს ზემოდან ამკობს გაშლილი ტალღური ამოღარული ხაზი.

სიმაღლე — 11,7 სმ, პირის დიამეტრი — 11,1 სმ, მუცლის დიამეტრი — 14,8 სმ, ძირის დიამეტრი — 6,5 სმ.

846. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირისს თხელი ფენა—შავი, შუაგული—ლეგა მონაცრისფრო. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი მომრგვალებული მხრებითა და ვიწრო ძირით. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები. პირს გარედან გაუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე 8,5 სმ, პირის დიამეტრი — 13,9 სმ, ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

847. სასმისი სილანარევი წმინდა თიხისა. კეცი გამომწვარია მოწაბლისფროდ. ზოგან მისი გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — მოწაბლისფრო. ზედაპირი შავი და მოწაბლისფრო, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, კონუსური ყელი, დაქანებული მხრები, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე 15,7 სმ, პირის დიამეტრი—9,2 სმ, მუცლის დიამეტრი—14,5 სმ. ძირის დიამეტრი — 6,6 სმ.

848. ფირფიტები ბრინჯაოსი (2 ცალი), ერთი ფრაგმენტირებული, წაკვეთილი ბოლოებით. ზედაპირზე ქვემოდან დაწოლით შესრულებულია ერთი რელიეფური ზოლი. ნაპირებზე გარშემოუყვება პუნქტირით შესრულებული ზოლები. თავში — ერთი და ბოლოში — ორი ნახვრეტით.

1. სიგრძე — 6,9 სმ, უდ. სიგანე — 3,8 სმ.

2. სიგრძე — 5,5 სმ, უდ. სიგანე — 3,7 სმ.

849. საკიდები ბრინჯაოსი, ბაყაყის სკულპტურული გამოსახულებით 2 ცალი.

850. სამკერდული ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ბრტყელი ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება ორი ღარი, რითაც შექმნილია რელიეფური ზოლი.

დიამეტრი — 4,2 სმ, სიმაღლე — 1 სმ.

851. ღილები ბრინჯაოსი 2 ცალი, კონუსური ფორმის, თავზე კოკით. შიდა მხარეს ბრტყელი ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება ღარები, ნაპირებზე დაკბილულია.

1. დიამეტრი — 2,3 სმ, სიმაღლე — 1 სმ.

2. დიამეტრი — 1,5 სმ, სიმაღლე — 0,7 სმ.

852. ღილები ბრინჯაოსი, 2 ცალი, ნახევარსფერული. შიდა მხარეს ბრტყელი ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება ღარები.

1. დიამეტრი — 1,4 სმ, სიმაღლე — 0,5 სმ.

2. დიამეტრი — 1,1 სმ, სიმაღლე — 0,4 სმ.

853. ძეწკვი ბრინჯაოსი, მრგვალბრტყელგანივკვეთიანი, თავგახსნილი რგოლებისაგან.

854. ღილები ბრინჯაოსი 12 ცალი, 4 ცალი ფრაგმენტირებული. ნახევარსფერული, შიდა მხარეს ბრტყელი ყუნწით. სამს ზედაპირზე გარშემოუყვება ოდნავ შესამჩნევი ღარები.

1. დიამეტრი — 1,3 სმ, სიმაღლე — 0,5 სმ.
2. დიამეტრი — 1,3 სმ, სიმაღლე — 0,6 სმ.
3. დიამეტრი — 1,2 სმ, სიმაღლე — 0,4 სმ.

855. კილიტები ბრინჯაოსი 10 ცალი, 4 ცალი ფრაგმენტირებული. ნახევარსფერული, შიდა მხარეს ყუნწით.

856. საკიდის ფრაგმენტი ბრინჯაოსი, ფრინველის გამოსახულებით.

857. მძივები სარდიონის, ნახეთქი, 22 ცალი. პასტისა მრგვალბრტყელი, 1 ცალი.

„პირდაპირი მიწების“ გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი

1971 წელს სოფ. გადრეკილის დასავლეთით, ქვემო სამგორის არხის ტრასის დაზვერვის დროს გამოირკვა, რომ სოფლიდან ორიოდე კილომეტრზე, ადგილ „პირდაპირ მიწებში“ არხის გავლებისას, მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1—1,2 მეტრის სიღრმეზე მშენებლებს დაუზიანებიათ ორმოსამარხები. აქ, არხის ფლატის მარცხენა ჭრილში გაიწმინდა რამდენიმე სამარხის ნაშთი და ორი სრული ორმოსამარხი.

სამარხი № 1 (ტაბ. LIII). სამარხი ორმო ოთხკუთხია (1,60×1,40 მ). მიცვალებული იწვა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა თიხის ათი ჭურჭელი და ბრინჯაოს ღილები.

858. ჭილა პირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით, კეცი ლეგად გამომწვარი. ზედაპირი ლეგა. შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს უნდა ჰქონოდა ვიწრო პირი და საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი. მხრებდაქანებულია, მუცელგამობერილი და ძირვიწრო, მხარს ამკობს სოლისებური ნაჭდევების ჯგუფები, რომლის ქვემოთ მუცლის წიბომდე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 23სმ, მუცლის დიამეტრი — 26 ს,მ ძირის დიამეტრი—9,8 სმ.

859. ბარძიმი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია ნაცისფრად. ზედაპირი ნაცრისფერი, წაბლისფერი და მოშავო, ხაოიანი. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ოდნავ მხრებდაქანებული ჭურჭელი წიბოიანი მუცლით და მაღალი გამოყვანილი ღრუჭუსლიანი ძირით. მუცლის წიბოსთან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 12,5 სმ, პირის დიამეტრი —14,5 სმ, ძირის დიამეტრი — 7,7 სმ.

860. ბარძიმი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გამომწვარია რუხად. ზედაპირი რუხი, შავი ლაქებით, ხაოიანი. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, ოდნავ მხრებდაქანებული ჭურჭელი წიბოიანი მუცლით და გამოყვანილი მაღალი ღრუჭუსლიანი ძირით, ძირთან ნაკლული. მხარს გარშემოუყვება რელიეფური ზოლები, მუცლის წიბოსთან — ერთი განიერი ღარი.

სიმაღლე — 10,3 სმ, პირის დიამეტრი — 15 სმ.

861. ქოთნის ფრაგმენტები, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — წაბლისფერი.

862. ქილა სილანარევი წმინდა თიხისა. კეცის გარეპირის ძალიან თხელი ფენა — მოშავო, შიდა წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ვიწრო ძირი. მხარზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 24,1 სმ, პირის დიამეტრი — 11,4 სმ, მუცლის დიამეტრი — 23,5 სმ; ძირის დიამეტრი — 7,5 სმ.

863. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე—შავი, შუაგული — წაბლისფერი.

864. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — ლეგა. ზედაპირი მოგლუვებული. პირგანიერი, მხრებსწორი, ძირვიწრო ჭურჭელია.პირთან, მხარზე დაძერწილია დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ყური. მხარს გარშემოუყვება რელიეფური ზოლები.

სიმაღლე — 7,2 სმ, პირის დიამეტრი — 12,3 სმ, ძირის დიამეტრი — 6 სმ.

865. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა. უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა—შავი, შიდა—ლეგა, შუაგული—წაბლისფერი. ზედაპირი—შავი, ჩალისფერი ლაქები, მოგლუვებული. ძირთან ეტყობა ნაპრიალების კვალი. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, დაქანებული მხრები, ოდნავ გამობერილი მუცელი, ჭუსლიანი, ვიწრო ძირი. მხარსა და მუცელზე გარშემოუყვება რელიეფური ზოლები.

სიმაღლე — 11,8 სმ; პირის დიამეტრი — 16,8 სმ, მუცლის დიამეტრი — 19,5 სმ ძირის დიამეტრი — 8,6 სმ.

866. სადღეებელი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი ვიწრო პირი, დაბალი კონუსური ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. მუცელზე დატანებლია სითხის გადმოსაღვრელი მილი. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 30,4 სმ. პირის დიამეტრი—11,9 სმ ,მუცლის დიამეტრი — 26 სმ; ძირის დიამეტრი — 8,5 სმ.

867. ქილა სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით, ძირთან მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, ძალიან დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი, მკვეთრად გამოსახული, ოდნავ შემაღლებული ვიწრო ძირი. მხარზე დატანილია სოლისებური ნაჭდევების სახე. მუცელზე გარშემოუყვება ორი განიერი ღარი.

სიმაღლე — 25 სმ, პირის დიამეტრი — 15,4 სმ, მუცლის დიამეტრი — 27,5 სმ, ძირის დიამეტრი — 8,6 სმ.

868. ღილი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ბრტყელი ყუნწით. ზედაპირზე გარშემოუყვება ორი ღარი.

დიამეტრი — 2,2 სმ.

869. კილიტები ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, შიდა მხარეს ბრტყელი ყუნწით. 7 ცალი.

ობსიდიანის ნატეხები, 2 ცალი.

სამარხი № 2 (ტაბ. LIV) ორმო ოთხკუთხია (1,40×1,40). მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით NO.

სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის წინ აღმოჩნდა თიხის ხუთი ჭურჭელი.

870. ჭურჭლის ფრაგმენტები სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით. ჭურჭლის მხარი და მუცელი შემკულია ყოფილა სოლისებური ნაჭდევების ჯგუფებით.

871. ბარძიმი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი მოგლუვებული, სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, ოდნავ გამობერილი მუცელი, მაღალი, გამოყვანილი ღრუჭუსლიანი ძირი. ძირთან ნაკლული.

სიმაღლე — 15. 2 სმ, პირის დიამეტრი — 17,1 სმ.

872. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარეპირის თხელი შრე — შავი, შიდა — ლეგა. ზედაპირი მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი პირი გარეთ დახრილი ბრტყელი ბაკოთი, ოდნავ მომრგვალებული მხრები და ვიწრო ძირი. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ერთი ხაზი.

სიმაღლე — 10.3 სმ, პირის დიამეტრი — 17.5 სმ, ძირის დიამეტრი — 4,5 სმ.

873. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — შავი, შუაგული — მონაცრისფრო. ეს არის პირგანიერი ჭურჭელი ოდნავ მომრგვალებული მხრებით და ბრტყელი ძირით. პირთან, მხარზე დაძერწილია დაკუთხული, მრგვალნახვრეტიანი ყური. მხარს გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე —10,1 სმ, პირის დიამეტრი — 13,5 სმ, ძირის დიამეტრი — 7 სმ.

874. კოჭობი სილანარევი თიხისა. კეცი გამომწვარია აგურისფრად. ზედაპირი აგურისფერი, ლეგა ლაქებით. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მუცელი, ვიწრო ძირი. ყელსა და მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო პირისა და ძირას კიდეებს ირიბი ნაჭდევები. ყელს ძირში გარშემოუყვება ერთი ღარი.

სიმაღლე — 10,7 სმ, პირის დიამეტრი 10, 8 სმ, მუცლის დიამეტრი — 14,5 სმ, ძირის დიამეტრი — 5,6 სმ.

სამარხის ნაშთი

875. ჭოთნის ფრაგმენტები მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა—შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი შავი, წაბლისფერი ლაქებით.

876. ბარძიმი სილანარევი წმნიდა თიხისა, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი, შუაგული — ლეგა. ზედაპირი მოგლუვებული და სუსტად ნაპრიალები. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, ოდნავ მომრგვალებული მხრები, მაღალი, გამოყვანილი ღრუჭუსლიანი ძირი. ძირთან ნაკლული.

სიმაღლე — 10 სმ, პირის დიამეტრი — 9,8 ს.

877. კოჭობი მჭისე, წვრილმარცვლოვანი თიხისა. კეცი გამომწვარია ლეგა მოწაბლისფროდ. ზედაპირი მოგლუვებული. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი ყელდაბალი ჭურჭელი ბიკონუსური ტანით, გამოკვეთილი, ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით. მხარზე გარშემოუყვება ერთი ღარი:

სიმაღლე — 7,4 სმ, პირის დიამეტრი — 6,2 სმ, მუცლის დიამეტრი — 9.5 სმ, ძირის დიამეტრი — 3,9 სმ.

878. კოჭობი მჭისე, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი რუხად გამომწვარი ზედაპირი ხორკლიანი. ეს არის პირგანიერი, გადაშლილი, მუცელგაბერილი, ძირვიწრო ჭურჭელი. ჭურჭლის მხარს ამკობს ჰორიზონტალური, ფრჩხილისეული, ხოლო ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. მთელი კორპუსი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით, ძირს გარშემოუყვება ამოღარული სპირალი.

სიმაღლე — 14 სმ; პირის დიამეტრი — 14.8 სმ, მუცლის დიამეტრი — 17.5 სმ, ძირის დიამეტრი — 6,7 სმ.

879. ჯამი სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა — შავი. შუაგული ნაცრისფერი. ზედაპირი მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი, ბაკომომრგვალებული პირი, სწორი წიბოიანი მხრები, ვიწრო ძირი. მხარზე გარშემოუყვება ერთი ღარი.

სიმაღლე — 7 სმ, პირის დიამეტრი — 13,1 სმ, ძირის დიამეტრი — 3.4 სმ.

880. პირმოყრილი ქვაბქოთანას ფრაგმენტები, სილანარევი თიხისა, უწმინდესი მბზინავი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა შავი, შუაგული — წაბლისფერი. ზედაპირი მოგლუვებული.

881. ლანგარი ნაკლული, სილანარევი თიხისა. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე — რუხი, შუაგული წაბლისფერი. ზედაპირი რუხი, შავი ლაქებით, მოგლუვებული. ჭურჭელს აქვს განიერი პირი, სწორი წიბოიანი მხრები, კარგად გამოკვეთილი ბრტყელი ძირი. ძირს ამკობს ამოღარული სპირალი, ძირის კიდეს — ირიბი ღრმა ნაჭდევები. ზედაპირზე ერთ ადგილას დაუყვება პრიალა შვეული ხაზების ჯგუფები.

სიმღალე — 7,5 სმ, პირის დიამეტრი — 31,5 სმ. ძირის დიამეტრი—14,2 სმ.

882. სასმისი პირთან ნაკლული, სილანარევი წმინდა თიხისა, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით, კეცის გარეპირის თხელი ფენა — შავი, შიდა—ნაცრისფერი. ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით, მოგლუვებული, ძირთან სუსტად ნაპრიალები. მხარზე გარშემოუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზები.

სიმაღლე — 12,3 სმ, პირის დიამეტრი — 7,1 სმ, მუცლის დიამეტრი — 11,4 სმ. ძირის დიამეტრი — 5,5 სმ.

883. ისრისპირი ბრინჯაოსი (ტაბ. LI) სკვითური ტიპის.

სიგრძე — 3,5 სმ.

884. სამაჯურის ფრაგმენტი ბრინჯაოსი, ბრტყელი ღეროსი. ღეროს უდ. სიგანე — 0,6 სმ; უმც. სიგანე — 0,3 სმ.

885. საკიდი ბრინჯაოსი (ტაბ. LII), ბიკონუსური ფორმის, დაფანჯრული.

ამოჭრილია ექვსი სამკუთხედი. ამოვსებულია სამსხმელო თიხით. ყუნწმოტეხილი.

დიამეტრი — 1,5 სმ.

886. საკიდი ბრინჯაოსი (ტაბ. LII), ფრაგმენტირებული. სუსტად გამოსახული ბიკონუსური ფორმის, დაფანჯრული, აქვს მრგვალგანივკვეთიანი დიდი ყუნწი და ძეწკვის ფრაგმენტი.

დიამეტრი — 1,4 სმ.

887. საკიდი ბრინჯაოსი, ფრაგმენტი დიდი ბრტყელი ყუნწით.

888. ნამგალი (?) ბრინჯაოსი (ტაბ. LI), ოდნავ მოხრილი.

სიგრძე — 8,7 სმ. უდ. სიგანე— 2,6 სმ.

889. სამკერდულის ფრაგმენტი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, ზედაპირზე გაუყვება ორი ღარი.

890. მახათი ბრინჯაოსი (ტაბ. LI), მრგვალგანივკვეთიანი, ბრტყელყუნწიანი.

სიგრძე— 7,1 სმ, ღეროს დიამეტრიი— 0,2 სმ.

891. საკიდების ფრაგმენტები ბრინჯაოსი, 2 ცალი.

892. შუბისპირი რკინისა (ტაბ. LI), მასრაგახსნილი, მრგვალმასრიანი, მხრებდაჭანებული, პირზე ქედით.

სიგრძე — 21,2 სმ, მასრის დიამეტრი — 2,1 სმ.

893. შუბისპირი ბრინჯაოსი (ტაბ. LI), ჰთლიანადსხმული, მასრით, ფოთლისებური პირით, პირზე წვერამდე გაუყვება მრგვალი, მაღალი ქედი. მასრაზე აქვს ორი რელიეფური ზოლი და გამჭოლი ნახვრეტი.

სიგრძე — 29.8 სმ, პირის უდ. სიგანე — 4,6 სმ.

894. შუბისპირი ბრინჯაოსი (ტაბ. LI), მთლიანადსხმული, მრგვალი მასრით, ფოთლისებური პირით, პირზე წვერამდე გაუყვება მრგვალი, მაღალი ქედი. მასრაზე გამჭოლი ნახვრეტით.

სიგრძე — 16,5 სმ; პირის უდ. სიგანე — 4 სმ.

895. რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ. LII), მრგვალღეროიანი, ზედაპირზე განივი და ირიბი ჭდეებით.

896. რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ. LII), მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. ერთმანეთზე გადასული თავებით. თავებთან ზედაპირი შემკული აქვს განივი და თევზიფხური ნაჭდევებით.

897. რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ. LII), მრგვალღეროიანი, თავებგადადებული.

898. ქვაბის პირისა და ყურის ფრაგმენტები.

899. მძივი პასტის.

900. რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ. LI), მრგვალბრტყელი ღეროსი, ზედაპირზე ნაჭდევებით.

დიამეტრი — 2,7 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,3 სმ.

901. ხვია ბრინჯაოსი (ტაბ. LII), მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, ერთნახევარი ხვიისა.

დიამეტრი — 2,4 სმ; ღეროს დიამეტრი — 0,3 სმ.

902. ნივთის ფრაგმენტი ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა ღეროსი, ოდნავ მოღუნული.

სიგრძე — 9,9 სმ, ღეროს სიგანე — 0,4 სმ.

903. შუბისპირი ბრინჯაოსი (ტაბ. LI), მთლიანადსხმული, ფოთლისებური პირით, პირზე აქვს მაღალი, ძრგვალი ქედი, მასრაზე ორი გამჭოლი ნახვრეტით. ნახვრეტი აქვს პირზეც.

სიგრძე — 9,9 სმ, მასრის უდ. დიამეტრი — 1,8 სმ.

904. სადგისის ფრაგმენტი ბრინჯაოსი (ტაბ. LI), ოთხწახნაგა.

სიგრძე — 2,5 სმ; ღეროს სიგანე — 0,3 სმ.

905. მძივი სარდიონის, ნახეთქი, 1 ცალი.

906. სადგისი ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა, წვერმოტეხილი.

სიგრძე — 6 სმ; უდ. სიგანე — 0,5 სმ.

907. მძივები პასტის (ტაბ. LII), ღია მომწვანო. კასრისებური, მრგვალი ნახვრეტით, ზედაპირზე ვერტიკალურად დატანილია ოთხი ერთმანეთის პარალელური ხაზი, რომელთა შორის არე შევსებულია ირიბი ღარებით.

908. გვერგვი ბრინჯაოსი (ტაბ. LII), გრეხილღეროიანი, ბრტყელი, აკეცილი თავებით.

909. მძივები სარდიონის და მინის. (ტაბ. LII), 2 ცალი.

910. სადგისი რკინისა, ოთხწახნაგა.

სიგრძე — 8,6 სმ; სიგანე — 0,7 სმ.

911. მძივები ბრინჯაოსი (ტაბ. LII), კასრისებური, ოთხ-ოთხი კოპით, 3 ცალი, სარდიონისა, ნახეთქი 2 ცალი.

912. სამაჯური ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. ფრაგმენტირებული.

913. შუბისპირი ბრინჯაოსი (ტაბ. LI), მთლიანადსხმული, მრგვალი მასრით, ფოთლისებური პირით, პირზე აქვს მრგვალი, მაღალი ქედი, მასრაზე ორი ბრტყელი რელიეფური ზოლით და გამჭოლი ორი ნახვრეტით. სიგრძე — 19,3 სმ, პირის უდ. სიგანე — 4,2 სმ.

914. შუბისპირი ბრინჯაოსი (ტაბ. LI), მთლიანადსხმული; მრგვალი მასრით; ფოთლისებური პირით, პირზე გაუყვება მრგვალი, მაღალი ქედი, მასრაზე ორი რელიეფური ზოლით და გამჭოლი ორი ნახვრეტით. პირთან ნაკლული.

სიგრძე — 16,6 სმ, პირის სიგანე — 4 სმ.

915. სატევრის ტარი ქუდით, ბრინჯაოსი (ტაბ. LI), II ქვეტიპი. ქუდის დიამეტრი — 3,5 სმ.

916. სატევრის ტარი ქუდით, ბრინჯაოსი (ტაბ. LI), ქედაბეკური ტიპისა.

917. მახათი ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი, ყუნწმოტეხილი.

918. მახათი ბრინჯაოსი (ტაბ. LII), მრგვალღეროიანი, ყუნწბრტყელი.

919. მახათი ბრინჯაოსი (ტაბ. LII), მრგვალღეროიანი, ყუნწბრტყელი

920. ნივთი ბრინჯაოსი, გაურკვეველი დანიშნულებისა.

921. ჰურჭლის ფრაგმენტები თიხისა, შავად გამომწვარი, ნაპრიალები. ზედაპირზე დატანილია სხვადასხვა მიმართულების ხაზებით შევსებული შევრონე, წვერზე კოპით.

922. ჰურჭლის ფრაგმენტი თიხისა, შავი, ზედაპირზე კონცენტრული წრეებით.

ამგვარად, ნაშრომში აღწერილია სოფ. გადრეკილის „ნასადგომარის“ სამაროვანზე გათხრილი 105 და „პირდაპირი მიწების“ სამაროვანზე გათხრილი 2 სამარხი და მასში აღმოჩენილი ინვენტარი.

„პირდაპირი მიწების“ სამაროვანი ერთსართულიანი სამაროვანია. აქ აღმოჩენილი სამარხები ძვ. წ. XIV—XIII სს უნდა დათარიღდეს, იგი „ნასადმომარის“ სამაროვნის ქვედა იარუსის სინქრონულია.

„ნასადგომარის“ სამაროვნის არსებობა კი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დასტურდება. აქ გამოვლენილი სამარხები თითქმის სრულად მოიცავს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს და სამ იარუსადაა განლაგებული.

სამარხთა სტრატიგრაფიული განლაგება თერთმეტ შემთხვევაში შევნიშნეთ. აქედან სამ შემთხვევაში სამარხები სამ იარუსად იყო განლაგებული: 34-ე ფარავდა 35-ეს, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ 38-ე ყორღანულ სამარხს. 37-ე ფარავდა 68-ეს, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ 69-ე სამარხს. 56-ე ფარავდა 58-ეს, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ 64-ე სამარხს.

რვა შემთხვევა გვქონდა სამარხების ორ იარუსად განლაგებისა. აქედან № 60 სამარხი ზედ ედო № 59 სამარხს, მაგრამ ამ შემთხვევაში მასალა ერთიმეორეში იყო არეული და ცალკეული კომპლექსების გამოყოფა არ ხერხდება. ორი შემთხვევა გვაქვს სამი სამარხის ორ იარუსად განლაგებისა: № 53 სამარხი ფარავდა № 52 და № 54 სამარხებს, ხოლო № 62 სამარხს ზედ ედო № 61 და 67 ახიანებდა ნაწილობრივ.

ხუთ შემთხვევაში ორი სამარხი პირდაპირ იყო ერთიმეორეზე განლაგებული. № 32 ა სამარხს ზევიდან ედო № 32, ხოლო ორივე თავის მხრივ ყორღანიდან ამონაყარ მიწაზე იყო მოთავსებული. № 49-ს ზედ ედო № 50, № 71-ს ზედ ედო № 70, № 75-ს ზევიდან ედო № 73 სამარხი, ხოლო № 73-ს ფარავდა № 77 სამარხი.

ამგვარად, „ნასადგომარის“ სამაროვანი კახეთის ტერიტორიაზე, გულგულის „ოლიების ტყის“ სამაროვნის შემდეგ მეორე იარუსებიანი სამაროვანია, რომელიც მთლიანად მოიცავს ძვ. წ. II ათასწლეულის ძეგლებს, მაგრამ განსხვავებით მისგან აქ გაცილებით მრავლადაა წარმოდგენილი ქვედა იარუსის სამარხები და მასალაც უფრო მრავალფეროვანია. როგორც ქვემოთ დავინახავთ, გადრეკილის სამაროვნის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია კახეთის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგიის საკითხების კვლევისას, ვინაიდან იგი შეიცავს ეტალონურ მასალებს ამ თვალსაზრისით. მაგრამ ამ სამაროვანზე გამოვლენილი სამარხების განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც ის არის, რომ მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა თვალი გაგვედევნებინა მრავალი ნიშნისათვის, რომელიც მთლიანად ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ძეგლებს ახასიათებს ამ რეგიონში. ამ მასალების კვლევისას პირველად მოგვეცა საშუალება გვესაუბრა ცალკეულ დეტალებზე, რომელიც რომელიმე კონკრეტულ პერიოდს ახასიათებს, დაგვედგინა როდის ჩნდება ან როდის ქრება ისინი. მათი საშუალებით დაგვეკავშირებინა ან გაგვეთიშა ერთი მეორისაგან განვითარების სხვადასხვა საფეხური და სხვა.

განვიხილოთ „ნასადგომარის“ მასალების ყველა ნიშან-თვისება ცალცალკე.

„ნასადგომარის“ სამაროვანის განათხარ ფართობზე აღმოჩენილია როგორც მიწაყრილიანი ყორღანები, ისე ორმოსამარხები. როგორც წესი ყორღანული სამარხები სულ ქვედა ფენის სამარხების კუთვნილია, თუმცა ხშირად ქვედა გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის სამარხები უბრალო ორმოსამარხებითაც არის წარმოდგენილი. ყორღანული სამარხები ერთიმეორესთან ახლო-ახლოს ყოფილა გამართული, იმდენად, რომ მათი მიწაყრილის ზვინული ხშირად ერთიმეორეს ნაწილობრივ ფარავს. მოგვიანო ორმოსამარხები ჩვეულებრივ ყორღანთა მიწაყრილებს აზიანებს, რაც კარგად ჩანს წარმოდგენილი ჭრილების ძიხედვით.

მიწაყრილიანი ყორღანები, როგორც წესი, ორმოიანია. ორმოები მცირეა—მაქსიმალური სიგრძე ორი მეტრია, სიგანე კი — ერთნახევარი მეტრი, სიღრმე ერთნახევარ მეტრს არ აღემატება. ყორღანთა ყრილებში ჩაშვებული ორმოსამარხებისა და საერთოდ ზედა ფენის სამარხების ზომები ან ოდნავ მცირეა ან არ განსხვავდება ყორღანების ქვეშ მოქცეულ სამარხთა ორმოებისგან.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „ნასადგომარის“ სამაროვნის ყველა იარუსის სამარხების სიგრძივი დამხრობა ერთი და იგივეა NW—SO ხაზზე ოდნავი გადახრებით. არსებითია, რომ ყველა პერიოდის სამარხში ასევე პრინციპში ერთნაირია მიცვალებულის თავით დამხრობაც NW-ს შორის, მეტად იშვიათია გადახრები ამ წესისგან. ასე მაგალითად, თავით ჩრდილოეთით მიცვალებულები დაკრძალული იყო — № 1, 64, 65, 66, 68, 72, 105 სამარხებში; მიცვალებულები თავით დასავლეთით დამხრობილი იყო — № 10, 11, 46 სამარხებში; მიცვალებულები თავით ჩრდილო-დასავლეთით ან ქვეყნის ამ ორ მხარეს შორის ოდნავი გადახრებით დაკრძალული იყო № 4, 6, 12, 26, 28, 34, 38, 39, 40, 49, 57, 78, 101 სამარხებში. მხოლოდ ერთი შემთხვევაა მიცვალებულის თავით NO მხარეს დაკრძალვისა; არსებითია, რომ „პირდაპირი მიწების“ ყველა სამარხში მიცვალებულები თავით მხოლოდ NO მხარეს იყო დაკრძალული. ამგვარად, „ნასადგომარის“ სამაროვნის მეზობლად მდებარე სამაროვანზე თითქოს მიცვალებულთა დაკრძალვაში მცირე განსხვავება შეინიშნება, თუმცა იცი უნდა შევნიშნოთ, რომ მიცვალებულის ამგვარი დაკრძალვა არც „ნასადგომარის“ სამაროვნისათვის ჩანს სრულიად უცხო. საზოგადოდ კი ამ მონაცემებით რაიმე გარკვეული დასკვნის გამოტანა ჯერჯერობით ძნელია. როგორც ჩანს, შემდგომში საჭირო იქნება ამ მონაცემების შეჯერება როგორც იორ-ალაზნის, ისე მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისა თუ უფრო ფართო მასშტაბის მონაცემებთან, რაც სავარაუდოა რომ მოგვცემს რაიმე მყარი დასკვნის გამოტანის საშუალებას.

ჩვენი დღევანდელი ცოდნის საფუძველზე, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულთა დამხრობა იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მთლიანად II—I ათასწლეულთა ფარგლებში დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს ერთიმეორისაგან და უმთავრესად ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის რკალზე თავსდება, გადახვევები შედარებით იშვიათია. ვფიქრობთ, დაკრძალვის წესის ამ ნიშანთვისებასაც შემდგომში არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მატერიალური კულტურის განუწყვეტელი კვლევისას. ამავე საკითხების შესწავლისას უეჭველად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მიცვალებულთა დაკრძალვის

წეს-ჩვეულება პრინციპში ერთნაირია, ისევე როგორც „ნასადგომარისა“ და „პირდაპირი მიწების“ სამაროვნებზე. მიცვალებულებს ასვენებენ ორმოსამარხებში. ადრეულ ორმოსამარხებს მიწის დიდ ზვინულს უკეთებენ, შემდეგ კი მხოლოდ ორმოსამარხებია, იშვიათად ქვის მცირე ყრილით. ეს უკანასკნელი დეტალი „ნასადგომარსა“ და „პირდაპირი მიწების“ სამაროვნებზე საერთოდ არ გვხვდება. ყველა სამარხში მიცვალებულები დაკრძალული არიან გვერდზე მოხრილი კიდურებით — ქალები მარცხენა, კაცები — მარჯვენა გვერდზე. თუმცა ამ ბოლო წეს-ჩვეულებიდან გადახვევები უფრო ხშირია. „ნასადგომარის“ სამაროვანზე მხოლოდ ერთ № 57 სამარხშია მიცვალებული დაკრძალული უშუალოდ თიხის ჭურჭელზე, რაც, ვფიქრობთ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ სამარხში მიცვალებული თავდაპირველად ხის სარეცელზე იყო დასვენებული. ხის სარეცელზე დაკრძალვა, როგორც ცნობილია, ჯერ კახეთსა და შემდეგ აღმოსავლეთ სხვა ძეგლებზეც უკვე არაერთგზისაა დადასტურებული. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ის არის, რომ ისევე როგორც „ნასადგომარის“ № 57 სამარხი სხვა სარეცლიანი სამარხებიც გვიანბრინჯაოს ხანის მხოლოდ მეორე საფეხურს განეკუთვნება. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის არცერთ სამარხში არ შეგვხვედრია დაკრძალვის ამდაგვარი წესი[1]. სარეცლიანი სამარხები ცნობილია სასომხეთის ბრინჯაოს „ხანის სამარხებშიც (37, გვ. 122).

№ 57 სამარხის გარდა როგორც „ნასადგომარის“, ისე „პირდაპირი მიწების“ ყველა შესწავლილ სამარხში მიცვალებულები დაკრძალულია ორმოს ცენტრალურ ნაწილში, მათ თან ახლავთ ყველა ლითონის იარაღი, სამკაული თუ ტანსაცმლის კუთვნილი ნივთი, თიხის ჭურჭელი კი ძირითადად თავის არეშია განლაგებული ან გულმკერდის წინ აწყვია. თავთან სითხის ჭურჭელი, ლანგარი და სასმისი დგას. ხშირია სამარხების თავზე ჭურჭლების აღმოჩენა, რაც ცხადია, მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ განსაზღვრული რიტუალის შესრულებაზე უნდა მეტყველებდეს. ამ ფაქტის დადასტურება მით უფროა მნიშვნელოვანი, რომ მსგავსი შემთხვევები დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოში ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებულ არქეოლოგიურ ძეგლებზედაც. კერძოდ, ე. წ. „ალაზან-ბედენური კულტურის“ კუთვნილ ძეგლებზე, რომლებიც საკმაოდ სანდოდ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდებიან, თრიალეთური კულტურის კუთვნილ სამარხებში, შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი ხასიათის ძეგლებზეც. ამგვარად, ეს მონაცემებიც ძვ. წ. III—II ათასწლეულებში თითქოს ტრადიციის უწყვეტლობაზე მიგვითითებს და მით უფრო საინტერესოა, რომ მსგავსი წეს-ჩვეულება კახეთში გათხრილ ძვ. წ. I ათასწლეულების სამარხებშიც არაერთხელაა დადასტურებული.

გადრეკილისა და პირდაპირი მიწების სამარხებში მიუხედავად იმისა, რომ ხის ნაშთები სრულიად არ არის გადარჩენილი, ცხადია, რომ ყველა პერიოდში ორმოსამარხები ხის ძელებით იყო გადახურული, ამის მაუწყებელი მრავალი ნიშანი გვაქვს — სამარხის ფსკერზე წყლისაგან ჩატანილი ნალექი, სამარხთა უმეტესობაში თიხის ჭურჭლების მხოლოდ ზედა ნაწილების დაზიანება, რაც მხოლოდ გადახურვის ჩაქცევას შეიძლება დავუკავშიროთ და სხვა.

---

[1] აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ 1981 წელს დილიჭაში გათხრილ ყორღანში, რომელიც მიახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულის ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს, აშკარად სარეცელზე დაკრძალვის ნიშნებია დაფიქსირებული.

მაგრამ სოფ. გადრეკილის გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნების სამარხთა შორის სხვაობაც ჩანს, ეს პირველ რიგში შეიმჩნევა სხვადასხვა იარუსის სამარხთა ინვენტარის მიხედვით, რაც ბუნებრივია მათ ქრონოლოგიურ სხვაობაზე მიგვითითებს. სხვაობის მანიშნებელია მაგალითად, ქვედა და ზედა სამარხებში თიხის ჭურჭლის რაოდენობის აშკარა სხვაობა. ქვედა სამარხებში, როგორც წესი, ერთ ათეულამდე ჭურჭლების რაოდენობა იშვიათად აღწევს, მაშინ როდესაც ზედა სართულის სამარხებში მათი რაოდენობა ორჯერ და ზოგჯერ სამჯერ იზრდება. იგივე ფაქტის კონსტატაცია მოხერხდა გულგულის „ოლიების ტყისა“ და ჩალიანხევის სამაროვნებზე. ამგვარად, ამ ფაქტმა რამდენადმე კანონზომიერი მოვლენის სახე მიიღო და ეს ბუნებრივიცაა, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის სამარხები აგრძელებენ ძველ ტრადიციას და თიხის ჭურჭლის სიმცირით ემსგავსებიან მათზე ადრეულ სამარხებს, რომლებიც შუაბრინჯაოსა და შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდით თარიღდებიან. სამარხებში თიხის ჭურჭლის სიმრავლე კი გვიანბრინჯაოს ხანის განვითარებული ე. ი. გვიანბრინჯაოს II საფეხურს უკავშირდება. ჩვენის აზრით, ეს მოვლენა სამეურნეო ცხოვრების პროგრესს — სამეთუნეო წარმოებაში სწრაფად მბრუნავი ჩარხის დანერგვას უნდა უკავშირდებოდეს, როდესაც ფაქტიურად გაჩნდა შესაძლებლობა პროდუქციის სერიული წარმოებისა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სამეთუნეო ჩარხი მხოლოდ ხოვლეს ნამოსახლარზეა აღმოჩენილი, მხოლოდ პროდუქციის მიხედვითაც კი საკმაოდ არსებითი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა იქმნება, რასაც სამაროვნების ტოტალური გათხრა და დიდძალი მასალის დაგროვება უწყობს ხელს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ნასადგომარისა“ და „პირდაპირი მიწების“ სამაროვნებზე მოპოვებული სამარხეული ინვენტარის ანალიზის შედეგები[2].

ჩვენ ძირითად ყურადღებას ვუთმობთ კერამიკულ ნაწარმს, რომელიც ამ სამაროვნებზე სხვა ყველა მასალაზე მრავლადაა წარმოდგენილი და განსაკუთრებით მეტყველია. როგორც ქვემოთ დავინახავთ თიხის ჭურჭლის კეცის შემადგენლობის, მისი დამუშავების, გამოწვის, ჭურჭლის ფორმებისა და ორნამენტის მიხედვით შესაძლებელი გახდა გამოგვეყო გვიანბრინჯაოს ხანის სხვადასხვა საფეხური და მათთვის დამახასიათებელი ნიშნები.

პირველ რიგში ყურადღება მიიქცია თიხის ჭურჭლის ერთი ჯგუფის გარეგნულმა სახემ, რომელიც ფორმით, კეცის შემადგენლობით და დამუშავებით, ზედაპირის დამუშავებითა და შემკობით ძალიან ემსგავსება მატერიალური კულტურის წინამორბედი საფეხურების კერამიკას.

ისიც საგულისხმო გამოდგა, რომ ეს თიხის ჭურჭელი, როგორც წესი ქვედა იარუსის სამარხებს უკავშირდება. ამდენად, „ნასადგომარის“ სამაროვანზე მოპოვებული მასალის საგანგებო შესწავლას ამ თვალსაზრისით ერთობ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ცნობილია, ამ ტიპის მასალები ჩვენ აღმოსავ-

---

2 სულ ახლახან გამოქვეყნდა გამოკვლევა, რომელიც იორ-ალაზნის აუზის ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ერთ-ერთი მრავალიარუსიანი ძეგლის — გულგულის სამაროვნის შესწავლას ეძღვნება. იქ მხოლოდ ერთი სამარხითაა წარმოდგენილი გვიანბრინჯაოს ხანის ეს უძველესი საფეხური (41, ტაბ. III).

როგორც ცნობილია მატერიალური კულტურის განვითარების ეს საფეხური არც საშთაგროს ცნობილ სამაროვანზეა სათანადოდ წარმოდგენილი (5).

ლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის ყველა დღემდე ცნობილ ძეგლზე არქაულად მიგვაჩნია, თუმცა ისინი ამ ეპოქის ფარგლებს გარეთ მაინც არ გაგვაქვს და გვიანბრინჯაოს ხანის საწყის პერიოდს ვუკავშირებთ (4, გვ. 88—102; 6 გვ. 146 — 158)).

„ნასადგომარისა“ და „პირდაპირი მიწების“ სამაროვნებიდან გვიანბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურს ვუკავშირებთ: ნასადგომარის სამაროვნის №№ 1, 6, 9, 10, 11, 38, 42, 46, 66, 101, 102, 104, და 105 სამარხეულ კომპლექსებს და პირდაპირი მიწების №№ 1,2 სამარხების ინვენტარსა და მესამე სამარხის ნაშთს.

ამ ჯგუფის ცალკე. გვიანბრინჯაოს ხანის ადრე, პირველ საფეხურად გამოსაყოფად და მისი არქაულობის სამტკიცებლად ყველაზე მეტყველია ამ კომპლექსებში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ კომპლექსთა კერამიკული ნაწარმის ერთი ნაწილის კეცი შუაბრინჯაოსა და გარდამავალი ხანის კომპლექსების თიხის ჭურჭლის უმეტესობის მსგავსად, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და შერეული აქვს თეთრი მბზინავი ნაწილაკები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემდგომი ხანის კომპლექსებში მსგავსი კეცისაგან დამზადებული ჭურჭელი აღარ გვხვდება.

ამგვარად, ამ სტრუქტურის კეცი დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა თიხის ჭურჭლისათვის, იგი ჯერ კიდევ უმეტესობას წარმოადგენს გარდამავალი ხანის კომპლექსთა თიხის ჭურჭელში და მხოლოდ გადმონაშთის სახით გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებზე, შემდგომი — შედგენილტარიანი ბრინჯაოს სატევრისპირების შემცველი კომპლექსების პერიოდიდან კი თითქმის სრულიად ქრება და ადგილს უთმობს ქვიშანარევი სტრუქტურის თიხის ჭურჭელს, რომელიც უკვე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან ხდება ძირითადად დამახასიათებელი.

„ნასადგომარისა“ და „პირდაპირი მიწების“ სამაროვნების ამ ჯგუფის ძეგლები განვითარების წინა საფეხურების მასალებს უახლოვდება ზოგიერთი თიხის ჭურჭლის კეცის გამოწვითაც. კერძოდ, ამ კომპლექსთა მრავალ ჭურჭელს, რომლებიც წმინდა თიხის სტრუქტურით ხასიათდებიან, კეცი სარჩულიანი აქვთ (ზედაპირი შავი, სარჩული კი ღია ფერის), ე. ი. ორფენოვნად გამომწვარი, რითაც ისინი ისევ და ისევ შუა და გარდამავალი ხანის ძეგლებს უახლოვდებიან, შემდგომი ხანის ძეგლებისაგან კი განსხვავდებიან, მაგრამ ამგვარი კეციანი ჭურჭელი ამ კომპლექსებში უკვე მცირე ნაწილს წარმოადგენს, უმეტესობის კეცი ერთფრად ე. ი. კეცის მთელ სიღრმეზე თანაბრად—ლეგა-მოწაბლისფროდ ან მოშავოდაა გამომწვარი. ნიშანდობლივია, რომ არქაული წესი კეცის დამუშავებისა—ორფენოვნად გამოწვა, შედგენილტარიანი სატევრისპირების არსებობის პერიოდისათვის სრულიად აღარ არის დამახასიათებელი.

ამ ჯგუფის ჭურჭელთა ერთი ნაწილის კეცი ფხვიერია, რითაც ისინი შუა და გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭელს ემსგავსებიან, უმეტესობის კეცი კი მკვრივია, რითაც უფრო გვიანბრინჯაოს ხანის ტიპიურ მასალებს უახლოვდება.

ამ სამარხთა თიხის ჭურჭლის ზედაპირი ჩვეულებრივ შავია და კარგად ნაპრიალები, რითაც იგი კვლავ ადრეულ ნიმუშებს ჰგავს. ძალიან მცირე პროცენტს წარმოადგენს გვიანდელი იერის მჭისეზედაპირიანი ნაკეთობანი.

ამ ჯგუფის ჭურჭლები წინამორბედი ხანის კომპლექსებს უკავშირდება ფორმებითაც. მაგალითად, ჯერ კიდევ დამახასიათებელია ჭურჭლის პირის ლილვა-

კისებური ბაკო; ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება ნაწილობრივ სახეშეცვლილი მაღალი ღრუფეხიანი ჯამები თუ თასები (ტაბ. XII—110; XXXIX—672, XLIX — 830; LIII — 859; LIV—871, 876), რომლებიც დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანისა და გარდამავალი საფეხურის ძეგლებისათვის (ტაბ. IV—5,8), ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევრისპირების შემცველი კომპლექსების პერიოდიდან კი აღარ გვხვდება.

ამ კომპლექსებში გრძელდება ძველი ტრადიციები პირმოყრილი ჭურჭლების არსებობითაც, რომლებიც (ტაბ. XXXIX—669) ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანის დასასრულ საფეხურებზე გვხვდებიან (1, ტაბ. 45—310), გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის შედგენილტარიანი და ფოთლისებური სატევრისპირების შემცველი კომპლექსების პერიოდში ფართო გავრცელებას აღწევენ (ტაბ. XIV—165, 160, XXXIII—551; XXXIV 571;— XXXVII — 619: XL—673. XL—687; XLIV—743), გვხვდებიან უშუალოდ მის მომდევნო ეპოქის დასაწყისშიც და შემდეგ კი ქრებიან.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის მიკუთვნებულ კომპლექსებში ჭურჭლის შედარებით დაბალ ყელს ჯერ კიდევ ხშირად აქვს კონუსური მოყვანილობა (ტაბ. XII — 109, 112, 114, XXV—403, 404, 407; XXXIX — 668, XLVIII—812. 813. 821, XLIX — 826 და სხვა), რაც მათ გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს მატერიალური კულტურის განვითარების წინამორბედ საფეხურებთან. შემდგომ კი ეს თავისებური ნიშანი ასე მკვეთრად გამოხატული აღარ არის.

გარდამავალი ეტაპის ბოლო საფეხურზე ჩნდება და გვიანბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურზე ერთ-ერთ დამახასიათებელ ფორმად იქცევა მაღალყელიანი და ფართომუცლიანი, წმინდა თიხისგან დამზადებული, ზედაპირნაპრიალები მცირე სასმისები, რომლებსაც ჩვენ „მელიღელურს“ ვუწოდებთ (ტაბ. VIII— 2, X — 36; XI—59, 72, 73, 79, 82, 84; XII — 103, 105, 107, 108, 116, XIII—137, 138, 139, 141; VXI—182. 183, 187, 189, XXI—334, 343, 353 და სხვა).

განვითარების შემდგომ საფეხურებზე ამ სახის ჭურჭელი აგრძელებს არსებობას, მაგრამ ნაწილობრივ სახეშეცვლილი სახით. დაბალ კონუსურ ყელს ცვლის მაღალი წელში გამოყვანილი ყელი (ტაბ. XVI—213, 225, 227; XVII—229, 236; 239; XXXIV — 573; XLI — 689).

„ნასადგომარის“ სამარხების მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანის ამ საფეხურის თიხის ჭურჭელის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ერთიმეორის საპირისპიროდ მუცელზე ან პირთან მიძერწილი მასიური ოთხკუთხგანივკვეთიანი მკვეთრწიბოიანი ყურები, ჰორიზონტალური მრგვალი ნახვრეტით (ტაბ. VIII — X; XI—60, 62; XII—112, 114, XV—181, 191; XXI—330, 357; XXV—417 და სხვა).

ამდაგვარი ყურები პირველად ჩნდება განვითარების ამ ეტაპზე, შემდეგ საფეხურზე შედარებით იშვიათია, ადრერკინის ხანიდან კი სრულიად აღარ არის დამახასიათებელი.

ნასადგომარის სამაროვნის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ კომპლექსებში ჩნდება ფართოპირიანი, შვეულკედლიანი სარძევეები გოფრირებული კორპუსით, რომლებსაც პირზე ერთიმეორის საპირისპიროდ, წინ აღწერილი ფორმის ყურები აქვთ მიძერწილი (ტაბ. VIII—У; XI— 68; XXI—336; XL—674). ამ სახის თიხის ჭურჭელი აგრძელებს არსებობას გვიანბრინჯაოს ხანის შემდეგ

ეტაპზეც (ტაბ. XVII — 263; 278; XX—303; XXVI—451; XXVII — 457; XXXII — 536; XXXVI — 603; XXXVII — 628; XLII — 704; XLIII — 731; XLIV — 750). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კორპუსის გოფრირებაც ამ ჯგუფის თიხის ჭურჭლის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ დეტალს წარმოადგენს.

ნასადგომარის გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის სამარხებში პირველად ჩნდება თიხის უყურო რძის სადღვებელი ჭურჭელი (ტაბ. XI—64; XII — 209; XXXIX — 666, 670; XL—675); გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე ეს ჭურჭელი ავრძელებს არსებობას (ტაბ. XXVI—435, 438; XXXIII—561; XLII—703, XLVI—783; XLVII—792 და ს ხვა). არსებითია, რომ ამავე დანიშნულების იდენტური ჭურჭელი ამ რეგიონის არქეოლოგიურ ძეგლებზე ადრეფეოდალური ხანის საწყისს საუკუნეებშიც კი გვხვდება.

„ნასადგომარისა“ და „პირდაპირი მიწების“ სამაროვნების გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლის ორნამენტული მოტივები მეტად მრავალფეროვანია, რომელთა საშუალებით ამ ეტაპის კომპლექსები კარგად უკავშირდება როგორც წინამორბედს, ისე შემდეგი დროის მასალებს და ერთდროულად აშკარად გამოირჩევა კიდეც მათგან. გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე წმინდაკეციანი თიხის ჭურჭლის შემკობის ძირითად სქემას წარმოადგენს მხარზე, ფრიზში მოქცეული სხვადასხვა სახეები.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის კერამიკისათვის ნასადგომარის სამაროვნის კომპლექსებიდან ყველაზე დამახასიათებელი ხდება მხარის შემკობა კონცენტრული ამოღარული და ტალღური ზოლების არშიით. ორნამენტის ეს სახე ჩნდება გარდამავალი ხანის დასასრულს, ახასიათებს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს და მეორე საფეხურზე ყველაზე ხშირად გვხვდება. ასევე ყველაზე გავრცელებული მოტივთაგანია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის თიხის ჭურჭლის მხრებზე გამოსახული ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეული ამოღარული ტალღური ხაზის სარტყელი (ტაბ. VIII—X; X — 34, 35, 38; XII —104, 108, 109, 112; XV—182; 183, 184 და სხვა). შემკობის ეს სქემა ამ პერიოდის დასასრულს ჩნდება და უმთავრესად შემდგომი, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის დასაწყისის ძეგლებისათვის ჩანს დამახასიათებელი იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე (ტაბ. IX,XIV, XVI, XVIII და სხვა მრავალი).

ამ ჯგუფის ჭურჭელთა ყველაზე მეტად დამახასიათებელ ორნამენტულ სახეს წარმოადგენს — ჭურჭლის მხრის ირგვლივ რამდენიმე რიგად შემოყოლებული ნატვიფრი სოლური სახეები (ტაბ. VIII—W; X—34; XIII—148; XXVIII—472; XXXIX — 659; XLVIII—821; LIII — 852, 867; LIV—870). ჩემი აზრით, ამ ჯგუფშიც კი იმ კომპლექსების ნაწილი, რომელშიც ეს ორნამენტი პირამიდალურადაა განლაგებული შედარებით გვიანია (იხ. 32, ტაბ. LV LVI; 35, სურ. 26; 36, ტაბ.XV — 1325). ნასადგომარის უძველეს კომპლექსებში აგრეთვე გვხვდება ერთიმეორეში ჩასმული მცირე წრეები და ოთხკუთხი, შიგნით ბადურად დაშტრიხული შტამპით ნატვიფრი ორნამენტი, რომლის კუთხეებშიც ხშირად ერთიმეორეში ჩასმული წრეებია ნაჭდევი; ერთიმეორეში ჩასმული ნატვიფრი წრეების გარშემო წერტილოვანი ორნამენტი და ერთიმეორესთან დაკავშირებული სპირალები (ტაბ. XV—192; XXI—342, 351; XXV—404;

XXXVIII—655). ეს ორნამენტული მოტივები ჩდება ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში (7, ტაბ. XIII, XIV, XX, XXI. სურ. 15, 17, 19, 25, 33, 36, 37, 49, 50, 55, 60 და სხვა) და შემდგომ მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის ჩვენ მიერ გამოყოფილი ადრეული საფეხურისთვისაა დამახასიათებელი.

შემდგომი ხანის ძეგლებში ძალიან იშვიათად გვხვდება ზოგიერთი ამ ორნამენტის მიბაძვით დატანილი შემკულობა, მაგრამ ისინი აშკარად განსხვავებულ სახეს ატარებენ და შეუძლებელია მათი შერევა ადრეულ ნიმუშებთან (33, ტაბ. LIII; 34, ტაბ. VIII — 8).

„ნასადგომარის“ სამაროვნის ადრეულ სამარხებში ჯერ კიდევ გვხვდება თიხის ჭურჭლის შემკობა წერტილოვანი ტექნიკით შესრულებული მეანდრით (ტაბ. XLVIII — 812). ეს კი ამ კომპლექსებს შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის ძეგლებთან აახლოებს, ვინაიდან ამგვარი შემკობა სწორედ ამ ჯგუფის ძეგლებს ახასიათებს (4, ტაბ. Vნნნ

ვებით „ნასადგომარისა“ და „პირდაპირი მიწების“ სამაროვნების გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ჯგუფის კერამიკას მიუხედავად ზედაპირის ბარწყინვალედ დამუშავებისა არ ახასიათებს ნაპრიალები სახეებით შემკობა, მაგრამ ამგვარი შემკულობა ძალიან ხშირია ამავე კულტურის სხვა თანადროულ ძეგლებზე — კახეთში, ქართლში, სასომხეთში. მაგალითად, ართიკის სამაროვნის ადრეულ სამარხებში მოპოვებული თიხის ჭურჭლისათვის ნაპრიალები ორნამენტი იმდენად დამახასიათებელი ჩანს, რომ მისი რაოდენობის მიხედვით ტ. ხაჩატრიანი გამოყოფს ადრეულ და გვიან ჯგუფებს (12, 14).

„ნასადგომარის“ სამაროვნის მხოლოდ ყველაზე ადრეულ მეექვსე სამარხში აღმოჩნდა ერთადერთი ჭურჭელი, რომელსაც ყელი ნაპრიალები ვერტიკალური ზოლებით აქვს შემკული (ტაბ. X — 39). თიხის ჭურჭლის ყელის ამგვარი შემკობა ადრეული ძეგლებიდან ცნობილია მხოლოდ შუაბრინჯაოს ხანის მოხატულ კერამიკაზე (8, ტაბ. $15_{4, 16, 22}$; 19_{20}, 24_{23}), უფრო გვიან ძეგლებზე გვხვდება მხოლოდ მადნისჭალის სამაროვანზე (9, სურ. 4, 5, 9, 13), რომელიც ასევე შუაბრინჯაოს ხანის მოხატული ჭურჭლის ტრადიციების გამაგრძელებლად უნდა მივიჩნიოთ.

„ნასადგომარის“ სამაროვნის სამარხების ადრეულ ჯგუფში უხეშ თიხის ჭურჭელი ისევე იშვიათია, როგორც შუაბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გარდამავალ პერიოდში (ტაბ. $XI_{38, 80, 87}$; XII_{106}, XIII_{143}, $XV_{188, 190}$; XXI XXV_{402}; XXVIII; XXXIX_{657}; XLVIII_{820}; XLIX_{831}; L_{833}; LIII; LIV^{874}) ისინი მსგავსია შემკობითაც, ნასადგომარის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის უხეშ თიხის ჭურჭლებსაც წინამორბედი ნაკეთობების მსგავსად მხოლოდ მხარი აქვს შემკული ირიბი ღრმა ნაჭდევებით, კონცენტრული ხაზებით და რელიეფური წნული სახეებით. კორპუსის დანარჩენ ნაწილზე კი ემჩნევა მხოლოდ წმინდა კონცენტრული ხაზები, რომელიც ჩარხზე ტრიალის შედეგად უნდა იყოს დაღარული. მსგავსადაა შემკული მათი ძირის კიდეებიც ირიბი ღრმა ნაჭდევებით. როგორც ქვემოთ დავინახავთ, გვიანბრინჯაოს მეორე საფეხურიდან უხეში თიხის ჭურჭლების შემკობა სხვაგვარია.

ამგვარად, თუ „ნასადგომარისა“ და „პირდაპირი მიწების“ თიხის ჭურჭლის მიხედვით ვიმსჯელებთ, გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე ჯერ კიდევ მტკიცეა შუაბრინჯაოსი და გარდამავალი პერიოდის ტრადიციები. თუმცა ისიც უნდა შეინიშნოს, რომ ამასთან ერთად აქ უკვე დიდი რაოდენობით ჩნდება მატერიალური კულტურის ახალი თავისებური ელემენტები, რომლებიც განვითარების შემდგომ საფეხურებზე განმსაზღვრელი ხდებიან.

მაგრამ თუ თიხის ჭურჭლის მიხედვით ერთი მხრივ შუაბრინჯაოს და გარდამავალი ხანის, ხოლო მეორე მხრივ გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლების გენეტიკური კავშირის თვალის გადევნება შესაძლებელია, ამის თქმა არ შეიძლება გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ლითონის ინვენტარის ანალიზის შედეგად. ფაქტიურად გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის კომპლექსებში ნაპოვნი ლითონის ნაკეთობანი ორიგინალურია, არ გვანან შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის მასალებს და თუ მხოლოდ მათი მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ, თითქოს, შეუძლებელი იქნება ცენტრალური ამიერკავკასიის ძვ. წ. მეორე ათასწლეულის პირველი და მეორე ნახევრის მატერიალური კულტურის დაკავშირება. მაგრამ მაინც რით უნდა აიხსნას ის, რომ მა-

ტერიალური კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურები ერთიმეორეს გენეტიკურად უკავშირდება თიხის ჭურჭლის მიხედვით, მაშინ როდესაც ლითონის ინვენტარით ამ კავშირის დადგენა შეუძლებელია. ვინაიდან მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტით განვითარების სხვადასხვა საფეხურები გენეტიკურად უკავშირდება ერთიმეორეს, ცხადია, შეუძლებელია საუბარი კულტურის მთლიან შეცვლაზე, თუნდაც სხვა ინვენტარით ამის თვალის გადევნება არ ხერხდებოდეს. ამ შემთხვევაში დასახელებულ ვითარებას მხოლოდ ორი ახსნა შეიძლება მოეძებნოს ან შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის ძეგლები ჯერ კიდევ კარგად არ არის გამოვლენილი და ამის გამო იქ ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ლითონის ინვენტარის პროტოტიპები, ან გარდამავალი ხანის ძეგლებსა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ მასალებს შორის განვითარების კიდევ რამდენიმე საფეხური უნდა არსებობდეს. ვფიქრობ ამ პრობლემის სწორი გადაწყვეტა თავისთავად მოიძებნა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1980 წლის სამუშაოების შეედგად დავით გარეჯის უდაბნოში. გარდამავალი ხანის აქ გათხრილ № 8 ყორღანში ამ დროის ტიპიური თიხის ჭურჭელთან, ობსიდიანისა და კაჟის ისრისპირებთან, ბრინჯაოს სფერულ ლახტისთავთან, ბრინჯაოს წინააზიურ სატევართან და ბრინჯაოს სოკოსებურთავიან საკინძთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს შუბისპირი, რომლის პირი, ე. წ. კახური, მთლიანმასრიანი შუბისპირების (ნასადგომარის № 10 სამარხი, (ტაბ. XII_{121}) შილდის სამლოცველოში აღმოჩენილი შუბისპირების ერთი ნაწილი (31, ტაბ. XLVIII) ადრეულ ცალებს ემსგავსება მასრა კი ძალიან არქაული აქვს — იგი გახსნილია, მისი ფრთები ღრმად გადადის ერთიმეორეზე და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მასრაში შეხვეულია შუბისპირის საბრძოლო მჭრელი ნაწილი. ამგვარად, გარდამავალი ხანის კომპლექსში აღმოჩნდა ტიპიური კახური, მთლიანმასრიანი ადრეული შუბისპირების პროტოტიპი. ეს კი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ შემდგომში, როდესაც მომრავლდება შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი ხანის კომპლექსები, აღმოჩნდება გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კიდევ მრავალი ბრინჯაოს ნაკეთობის პროტოტიპი.

ჩემს ადრეულ მონოგრაფიაში მე უკვე შევეხე კახური ბრინჯაოს მახვილების წარმოშობის პრობლემას. ჩემი აზრით ცენტრალურ ამიერკავკასიაში შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ იარაღს მთლიანად ცვლის ე. წ. წინააზიური საბრძოლო იარაღის ფორმები სატევრები და მახვილები (4, ტაბ. VI_1; VII_3; IX_4 და სხვა). შემდგომ პერიოდში კი — გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე წინააზიური იარაღის ფორმების მიხედვით უკვე იქმნება ადგილობრივი გაუმჯობესებული კონსტრუქციის იარაღი, რომელიც როგორც ჩანს, ჯერ კიდევ წინააზიური ფორმების პარალელურად არსებობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ნასადგომარის“ № 10 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს მახვილის პირის ფრაგმენტი (ტაბ. XII_{220}) სწორედ წინააზიური იარაღის საფუძველზე შექმნილ ყველაზე ადრეულ ადგილობრივ იარაღს უნდა ეკუთვნოდეს. ამის უფლებას გვაძლევს სოფ. მელაანის მახლობლად ფევრების სამაროვანზე ქვედა იარუსის № 86 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს მახვილი, რომელიც ჩემი აზრით, გვიანბრინჯაოს ხანის უეჭველად ერთ-ერთი უძველესი მახვილია ცენტრალურ ამიერკავკასიაში. ასეთივე ადრეული ბრინჯაოს

სატევარი აღმოჩნდა შილდის სამლოცველოზე (31, ტაბ. XLVIII), ორივე ეს იარაღი კონსტრუქციულად ახლოს დგას წინააზიურ იარაღებთან ჩარჩოიანი ტარით, მაგრამ მათგან ნაწარმოები ადგილობრივი ცალები აშკარად უფრო დაწინაურებულია კონსტრუქციულად.

ვფიქრობ, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ეს პროცესი, ე. ი. წინააზიური იარაღის საფუძველზე ადგილობრივი ნაკეთობების შექმნა მიმდინარეობდა მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში ერთდროულად. ეს სრულიად ბუნებრივი პროცესი გვგონია, ვინაიდან როგორც ადრეც მივუთითებდით, ამ ხანებში ამ რეგიონში ერთი კულტურის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ (4, გვ. 103).

ამდენად სრულიად ბუნებრივია, რომ ერთი კულტურის ფარგლებში ერთი და იგივე იარაღის მიხედვით შექმნილ მახვილსა თუ სატევარს რომ მსგავსი იერი ექნებოდა მთელ ამ ტერიტორიაზე. ამ იარაღის იდენტურობის მანიშნებელი კი მრავალი ფაქტის მითითება შეიძლება მთელი ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიიდან (ბრინჯაოს იარაღის უახლოესი აღმოჩენები — კახეთში, შიდა ქართლში, სომხეთში).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ კი სრულიად ბუნებრივი ჩანს ისიც, რომ ცენტრალური ამიერკავკასიის ფარგლებში, უკვე გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის დასაწყისშიც კი, ე. ი. კახეთში, შედგენილტარიანი სატევრებისა და მახვილების არსებობის დროს, ჯერ კიდევ მსგავსი ბრინჯაოსტარიანი სატევრები და მახვილებია დამახასიათებელი. (დიდი შეცდომა იქნებოდა ისინი მხოლოდ რომელიმე ცალკეული რეგიონის კუთვნილად მიგვეჩნია და ისეთი სახელწოდება მიგვეცა, რომლის შინაარსშიც რომელიმე კუთხის კუთვნილების აზრი იქნებოდა ჩადებული) ისინი მხოლოდ განვითარების შემდგომ საფეხურზე იღებენ თავისებურ იერს განსაზღვრულ მიკრორაიონებში — ქედაბეკი,ჩრდილო სომხეთი, კახეთი, შიდა ქართლი და სხვ.

ჩემი ვარუდით არ უნდა იყვნენ სწორი ის ავტორები, რომლებიც ე. წ. ქედაბეკურ თუ ხოჯალ-ქედაბეკურ ბრინჯაოს ყველა მახვილს ერთი და იგივე პერიოდის ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისს საუკუნეებს მიაკუთვნებენ. ამ იარაღის უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი აღმოჩენები (40, ტაბ. $I_{1, 3}$; 37, ტაბ. 87, 93, $_{21, 27, 28}$, 98; 42, ნახ. 48; 43, ნახ. 71 და სხვა) მათ შორის კარგად დოკუმენტირებულ კომპლექსებში, იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ტიპის იარაღი თავისი გავრცელების რეგიონში გაცილებით მეტი დროის განმავლობაში არსებობს, დაახლოებით ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებიდან I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩათვლით. ამასთან ერთად, როგორც უკვე შევნიშნეთ, გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისს საუკუნეებში მათი ფორმები, კონსტრუქცია და შემკობა იდენტურია მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში.

„ნასადგომარის“ სამაროვნის გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის სხვა ლითონის ნივთები — მრგვალი ბალთები რელიეფური ორნამენტით (ტაბ. XII $_{122-125}$; XIII $_{130}$; XXVIII $_{474, 475}$). ფრინველისებური საკიდები (ტაბ. VIII_{t}; XI_{93}: L_{836}). სასაფეთქლე რგოლები (ტაბ. XL 681), რომბისებური შემაერთებლები რელიეფური ორნამენტით და მის გარეშე (ტაბ. VIIIi), ამას გარდა ყოველნაირი ბრინჯაოს მძივები, ღილები, საკიდები და სხვა მრავალი, ისევე, როგორც თიხის ჭურჭელი სრულიად იდენტურია აღმოსავლეთ საქართველოს, აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და ჩრდილო სომხეთში, რა თქმა

უნდა მცირე თავისებურებებით. ამდენად, ბუნებრივია, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მთელ ამ მხარეში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ერთი მატერიალური კულტურის არსებობას, ისევე როგორც შუაბრინჯაოს ხანაში და გარდამავალ პერიოდში შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის. ბოლო დროის აღმოჩენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ჩემი ეს მოსაზრება.

ყაზახის რაიონში, აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა სამარხი (10, გვ. 44-49, ტაბულა), რომელიც შუაბრინჯაოს ხანის სულ დასასრულ ეტაპს თუ შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის საწყისს საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს. ამ სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი იდენტურია თანადროული სამარხეული მასალისა მთელი ცენტრალური ამიერკავკასიიდან და ბუნებრივია ამ ნიშნებით ეს რეგიონიც იმ კულტურის გავრცელების ფარგლებში უნდა მოვაქციოთ, რომელსაც ვაკუთვნებთ თრიალეთურ კულტურასა და იმავე ტერიტორიაზე გავრცელებულ შუასა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალი პერიოდის ძეგლებს.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია შამხორის რაიონში, სოფელ ბიტილისთან მდებარე ნანმოსახლარ რუსთეფეზე აღმოჩენილი № 1 ორმოსამარხი (11, გვ. 76-82, ტაბ. I). სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ამ რეგიონს, უკვე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, ასევე ცენტრალური ამიერკავკასიის კულტურის გავრცელების ფარგლებში ათავსებს და ამ მხარეში ამ კულტურის საზღვრების გაფართოების აუცილებლობაზე მიუთითებს. ცენტრალურ ამიერკავკასიური კულტურის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის შემოფარგვლას, ჩემი აზრით, შემდეგი საბუთიანობა უწყობს ხელს.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე სევანის ტბის მიდამოებში ცალკე კულტურის არსებობას გულისხმობენ, რომელსაც ძალიან ხშირად ლჭაშენურს უწოდებენ. იგი ძირითადად მდიდრული ყორღანების მასალებითაა წარმოდგენილი, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა, რის გამოც მათი მონაცემებით თავისუფლად ოპერირება ჭირს. მიუხედავად ამისა მაინც გახდა შესაძლებელი რიგი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა.

ლჭაშენის ყორღანთა კომპლექსები ძირითადად ხასიათდება: შევრონული ორნამენტით შემკული შავპრიალა თიხის ჭურჭლით. შევრონები ჰორიზონტალურად დატანილი მოკლე ნაჭდევებითაა შედგენილი. ხშირია აგრეთვე ნაპრიალები ვერტიკალური ხაზები, ბადური მოტივი და სხვა. შავ ჭურჭელზე შევრონული ნაჭდევი ორნამენტი წითელი და თეთრი საღებავებითაა მორიგეობით მოხატული. თიხის ჭურჭლის ნაწილი ძალიან წააგავს ფორმით შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭლებს. ლჭაშენური თიხის ნაკეთობებისთვის დამახასიათებელია საკმევლები და ოთხკუთხი ყუთები, როგორც ჩანს ასევე საკულტო დანიშნულებისა.

არ შეიძლება ხაზგასმით არ შევნიშნოთ, რომ თუ № 1 ყორღანის ლითონის ინვენტარი: ცულები, სატევრები, ლაგმები ბორბლისებური საყბეურებით, ქანდაკებები ღუზისებურ სადგარებზე (შტანდარტები), მძივები, სამთითები, სახელურიანი სარკეები და სხვა იმეორებს სხვა ყორღანების მასალებს (№ 2,8,10), თიხის ჭურჭელი განსხვავდება იმით, რომ ისინი ნაჭდევი ორფრად შეღებილი შევრონული სახეების ნაცვლად შემკულია ნაპრიალები და გრავირებული ორნამენტით, რაც მათ აღმოსავლურ ქართულ მასალებთან აახლოებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლჭაშენის მესამე ყორღანში ტიპიურ ლჭაშენურ თიხის ჭურჭელთან და ლითონის ინვენტართან აღმოჩნდა

თიხის ჭურჭელი შემკული სოლისებური შტამპით, რომელიც ახასიათებს ცენტრალური ამიერკავკასიის კულტურას შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში და განსაკუთრებით გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე. ეს ფაქტი უდიდესი მნიშვნელობისაა, ვინაიდან თვალნათლივ მიუთითებს ამ რეგიონების მატერიალურ კულტურათა სინქრონიზაციაზე.

ამ კულტურათა სინქრონულობაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლაგმები ბორბლისებური საყბეურებით, შტანდარტები ღუზისებურ სადგარებზე, თიხის ჭურჭლები, რომლებიც გამოწვის შემდეგაა მოხატული და სხვა. სხვა სურათია ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ სომხეთში. აქ სტაციონარული გათხრები მხოლოდ ორ პუნქტშია ჩატარებული—ართიკში (12; 13; 14) და ლორიბერდში (15; 16).

სტეფანავანის რაიონში, ლორიბერდის ყორღანებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ აქ ხდება ორი კულტურის შეხვედრა. თუ ლორიბერდული თიხის ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონული მასალისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მისი მოხატულობა ორფერია—თეთრი და წითელი, ლითონის ინვენტარი ტიპიურია ლჭაშენის კულტურისათვის.

ართიკის კატაკომბური სამარხების თიხის ჭურჭლის უმეტესობა თითქმის სტერეოტიპულად იმეორებს აღმოსავლეთ საქართველოსთვის გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე დამახასიათებელ ინვენტარს, ლითონის მასალა კი ამასთან ერთად ბევრ საერთოს პოულობს როგორც ლჭაშენურ, ისე ლორიბერდულ ნაკეთობებთან, რაც, ცხადია, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ სინქრონულობას, ე. ი. ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლების, მათ შორის, რა თქმა უნდა, „ნასადგომარის“ სამაროვნის ქვედა იარუსის სამარხების კულტურისა და ლჭაშენური კულტურის სინქრონულობას. ჩრდილო სომხეთის ეს მასალები საშუალებას იძლევა გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის გავრცელების უკიდურესი სამხრეთ—დასავლეთი საზღვარი ამ რეგიონში ვივარაუდოთ. როგორც ცნობილია, ამ კულტურის საზღვრები ჩემს მონოგრაფიებში საკმაოდ დამაჯერებლადაა დადგენილი (6; 4). მის საზღვრებში შემყავს მთლიანად შიდა ქართლი, სასომხეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი სევანის აუზამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთით აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ი. გუმელის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე. (39, სურ. 16, 17, 22, 23, 26, 29;), სადაც ორი სხვადასხვა კულტურის შეხვედრას ვგულისხმობ და იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიას მთლიანად. როგორც ვხედავთ, ეს ტერიტორია ემთხვევა შუაბრინჯაოს ხანის, ე. წ. თრიალეთური კულტურის გავრცელების საზღვრებს და ამას არ შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიენიჭოს.

ბოლო დროს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის მატერიალური კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი მასალები იქნა მოძიებული აღმოსავლეთ საქართველოში. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ჩალიანხევის A ნამოსახლარი (სიღნაღის რაიონი, სოფ. ნუკრიანის მიწები), სადაც ჩემ მიერ გამოყოფილი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ნამოსახლარის კულტურული ფენა, ყოველგვარი სტერილური შრის გარეშე ზედ ადევს შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის ნამოსახლარის კულტურულ ფენას.

ამასთან დაკავშირებით, ეხლა უკვე მყარ სტრატიგრაფიულ საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ მატერიალური კულტურის განვითარების ამ ორი საფეხურის გენეტიკური კავშირის შესახებ: ეხლა უკვე უდავოდ შეიძლება იმის მტკიცება, რომ გარდამავალ პერიოდს უშუალოდ მოსდევს თან სწორედ ჩემ მიერ გამოყოფილი გვიანბრინჯაოს ხანის პირველი საფეხური და მისი კუთვნილი კომპლექსები, რომ სწორედ ეს მასალებია გვიანბრინჯაოს ხანის ყველაზე ადრეული ძეგლები. მაგრამ ეს ძეგლი სხვა მნიშვნელოვან მონაცემებსაც გვაწვდის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგიის საკითხების კვლევისათვის. ამ ნამოსახლარის სამაროვანზე გაითხარა სამარხების რამედნიმე იარუსი, სადაც ყველაზე ქვედა სამარხებს ჩემ მიერ გამოყოფილი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის მასალით ზევიდან ადევს სამარხები, რომლებიც შეიცავენ შედგენილტარიანი ბრინჯაოს იარაღის თანადროულ ინვენტარს, რომლებიც ჩემი შეხედულებით შიდა ქართლის ფოთლისებურპირიანი კომპლექსების თანადროულია.

ამგვარად, დგინდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის მატერიალური კულტურის განვითარების განუწყვეტელი ჯაჭვი. ეს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნაა, მაგრამ ის ცხადია, რომ ამ პრობლემის შემდგომი კვლევაა საჭირო მრავალფენიანი, სტრატიფიცირებული ნამოსახლარების თუ მრავალიარუსიანი სამაროვნების სტაციონარული კვლევის საფუძველზე.

როგორც ცნობილია გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლების დასათარიღებლად მნიშვნელოვანი მასალები იქნა აღმოჩენილი ჩრდილო—დასავლეთ სასომხეთში, ართიკის სამაროვანზე. აქ ტ. ხაჩატრიანმა გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ტიპიურ ცენტრალურ-ამიერკავკასიურ მასალასთან იპოვა ხურიტულ-მითანური ცილინდრული საბეჭდავები. ამ ტიპის საბეჭდავები წინა აზიაში ძვ. წ. XV—XIV სს. თარიღდება, თუმცა კომპლექსები რომლებთანაც ეს საბეჭდავები აღმოჩნდა ტ. ხაჩატრიანს არ მიაჩნია ძვ. წ. XIV — XIII სს უფრო ადრეულად (13, გვ. 158).

ბოლო დროს ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდის იორ-ალაზნის აუზში მონაპოვარი სამარხეული კომპლექსებიც.

ჩემი ყურადღება მიიქცია „ნასადგომარის“ სამაროვნის არაერთ სამარხში აღმოჩენილმა ბრინჯაოს აბჯრის ფირფიტებმა (ტაბ. VIII1; $XII_{127\cdot128}$; XV_{203} L_{848}). მათ უმეტესობას პარალელი ვერ მოვუძებნე, მაგრამ ერთ ბრინჯაოს ფირფიტას (ტაბ. XII_{128}), რომელიც აღმოჩნდა ნასადგომარის № 10 სამარხში (ტაბ. XII). შავპრიალა კერამიკასთან და ბრინჯაოს ოთხყურა ქვაბთან, მრგვალ ბალთებთან, კონუსურ ღილებთან, სარდიონის მძივებთან, ბრინჯაოს მახვილის ბოლოსთან და ადრეული იერის ბრინჯაოს შუბისპირთან, ვუპოვე მრავალი პარალელი წინა აზიის კარგად დათარიღებულ და ბრწყინვალედ სტრატიფიცირებულ არაერთ ძეგლზე. ამგვარი ფირფიტები აღმოჩნდა — ბოღაზქოიში (17); თელ-ათხანაში (ალალახი) (18, ტაბ. LXXI); ნუზიში (19, სურ. 73 (2); ჩოგა ზენბილეში 23, ტაბ. XCII), რასშამრაში (20); მეგიდოში (21, ტაბ. 177); ტროაში (24, ტაბ. 297); თელ ფახარში (25, ტაბ. 24); ნიმრუდში (26); ჰამაში (27).

ამ ფენების ქრონოლოგიური ჩარჩოებია ძვ. წ. XV—XIII სს. აბჯრის ამ ტიპის ბრინჯაოს ფირფიტები არასოდეს არ გვხვდება ძვ. წ. XIII ს. უფრო გვიან კულტურულ ფენებში. მაგალითად, რას-შამრაში ისინი ნაპოვნია კედლის უშველებელი ქვების ქვეშ, ძვ. წ. XIII ს. დანგრეული სასახლის იატაკზე. ნუზი-

ში ისინი აღმოჩენილია ხურიტული ქალაქის სულ ზედა ფენაში, რომელიც წყვეტს თავის არსებობას ძვ. წ. XIV ს. შუახანებში და სხვა.

ამას გარდა, როგორც კარგად ჩანს, აბჯრის ფირფიტების შემაჯამებელ ტაბულაზე, გვიანი ფირფიტები ძლიერ განსხვავდება ჩვენთვის საინტერესო ცალებისგან ფორმითაც (4, ტაბ. XXXII).

ამგვარად, სრულიად ცხადია იმ კომპლექსების ზედა თარიღს, რომლებშიც ამ ტიპის აბჯრის ფირფიტებია აღმოჩენილი, ჩვენ ვერ გადმოვიტანთ ძვ. წ XIII საუკუნის აქეთ, რაც ზუსტად ემთხვევა ტ. ხაჩატრიანის მიერ ცილინდრული საბეჭდავების საშუალებით გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ართიკის სამარხებისათვის განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებისათვის ამ თარიღს გვიდასტურებს, გურჯაანის რაიონის სოფ. მელაანის მახლობლად ე. წ. ფევრების სამაროვანზე ამ დროის სამარხებიდან აღებული ხის ნიმუშის რადიოკარბონული ანალიზი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში შესრულდა. ნიმუშების თარიღი ძირითადად განისაზღვრა ძვ. წ. XIV — XIII სს. (38, გვ. 69—70).

ამგვარად, ჩემი აზრით ცენტრალური ამიერკავკასიის ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის მატერიალური კულტურის დასათარიღებლად ამჟამად უკვე გვაქვს მრავალმხრივ შემოწმებული საფუძველი, რომელიც შესაძლოა ამოსავლად გამოდგეს მეზობელი პერიოდების დასათარიღებლადაც. თავისთავად ცხადია, რომ განვითარების შემდგომი ეტაპები შეიძლება დათარიღდეს მხოლოდ ძვ. წ. XIII ს. მომდევნო დროით. როგორც არაერთხელ იქნა დამტკიცებული სტრატიფიცირებულ ძეგლებზე გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურს ე. ი. ძვ. წ. XIII ს. მომდევნო პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ე. წ. შედგენილტარიანი იარაღის შემცველი კომპლექსები.

„ნასადგომარის“ სამაროვანის არქეოლოგიური მასალა გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის შემდგომი პერიოდის სამარხებიდან აგრძელებს ძველ ადგილობრივ ტრადიციებს და განვითარების წინა პერიოდის ძეგლებთან გენეტიკურადაა დაკავშირებული. ეს ეხება როგორც თიხის ნაწარმს, ისე ბრინჯაოს ნაკეთობებს და საერთოდ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისის მთელ მატერიალურ კულტურას. ცხადია, ისე როგორც ყველგან აქაც ჩნდება სხვადასხვა ნაკეთობათა ახალი ფორმები, მაგრამ როგორც წესი, ყველა ისინი წარმოადგენენ უფრო ძველი, ადგილობრივი კულტურის წარმონაქმნს სხვადასხვა ასპექტში.

ყველაზე მკვეთრი ცვლილება შეინიშნება თიხის ჭურჭლის გარეგნულ სახეში. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ამ პერიოდიდან თიხის ჭურჭლის კეცი უხეშდება. თიხის ჭურჭლის ცომში წმინდა ნაწილაკების ნაცვლად ურევენ საკმაოდ მსხვილ ქვიშას, გამოწვა უფრო მაღალ ტემპერატურაზე ხდება, რის გამოც იცვლება თიხის ჭურჭლის კეცის სიმკვრივე და ფერი. კეცი თითქმის ყოველთვის მტკიცეა და ერთფერი — უფრო მეტად ლეგა, მორუხო, ნაცრისფერი. ჭურჭლის ზედაპირს უმეტესად აღარ აგლუვებენ, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, როცა მის ზედაპირს მოასწორებენ, იგი მაინც ხაოიანი რჩება, ამის გამო, როგორც წესი, იგი აღარ არის ნაპრიალები. უნდა ვიფიქროთ, რომ ჭურჭლის ზედაპირისა და კეცის ამგვარად შეცვლა ტექნიკური პროგრესის პროდუქტია. ამ დროიდან უნდა ვიგულისხმოთ სწრაფად მბრუნავი სამეთუნეო ჩარხის ხმარებაში შემოსვ-

ლა, რამაც შესაძლებელი გახადა ნაწარმის სერიული დამზადება. ამის გამო ცხადია თიხის ჭურჭლის ზედაპირის დამუშავებას ისეთ ყურადღებას ვეღარ უთმობდნენ როგორც წინათ, როდესაც ერთიათად ნაკლები პროდუქცია მზადდებოდა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამის შემდეგ გაუარესდა თიხის ჭურჭლის ხარისხი, პირიქით უფრო დაიხვეწა ფორმები, უკეთესი გახდა გამოწვა, კეცი თხელია და უმეტესად კარგად შემცხვარი, მკვრივი.

როგორც ჩანს, ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია თიხის ჭურჭლის ორნამენტული საშუალებების გასადავებაც. გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან—შედგენილტარიანი იარაღის არსებობის პერიოდი, თიხის ჭურჭელზე თითქმის სრულიად აღარ გვხვდება შვეული, ვერტიკალური ორნამენტი, ნაჭდევი სახეები, ნაპრიალები ხაზებით დატანილი შემკულობა, ან მოხატულობა. შემკულობის მთელი სქემა ამ პერიოდიდან ჰორიზონტალურ, წრიულ პრინციპზეა აგებული, რაც ისევ სწრაფად მბრუნავი ჩარხის შემოღებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ, გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან თიხის ჭურჭელზე თითქმის მხოლოდ კონცენტრული ხაზების სხვადასხვა ვარიანტი, ძირითადად კი ტალღური და კონცენტრული ხაზების სარტყლები გვხვდება (ტაბ. IX, XIV, XVI, XVIII და სხვა მრავალი), ე. ი. ისეთი ორნამენტი, რომელიც ჩარხზე ტრიალის დროს დაიტანებოდა.

ამგვარად, თუ თიხის ჭურჭლის მიხედვით ვიმსჯელებთ შუაბრინჯაოსა და განვითარების მისი მომდევნო საფეხურების შემდეგ გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე მატერიალური კულტურის დაცემასთან კი არა, პირიქით, მძლავრ წინსვლასთან გვაქვს საქმე. ამასთან ერთად, გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები მატერიალური კულტურის წინა საფეხურებთან მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია, მათ შორის მოჩვენებითი წყვეტილის შთაბეჭდილებას ჩვენი აზრით სწორედ მძლავრი ტექნიკური პროგრესის შედეგები ქმნის და არაფერ შუაში არ უნდა იყოს აქ სხვა რაიმე კულტურების ზეგავლენა ან შემოსვლა, თუმცა არც ეს არის მთლიანად გამოსარიცხი.

„ნასადგომარის“ სამაროვნის გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულის საფეხურების სამარხეული მასალის თიხის ჭურჭლის გენეტიკურ კავშირზე წინა საფეხურების ნაკეთობებთან უეჭველად მიუთითებს ჭურჭლების მთელი რიგი ფორმები.

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზეც დამახასიათებელი რჩება მაღალყელიანი და ძირისკენ სწრაფად შევიწროვებული ფართომუცლიანი მცირე ზომის სასმისები, მაგრამ იცვლება მათი ყელის ფორმა, იგი ვიწრო, მაღალი და წელში გამოყვანილი ხდება (ტაბ. $XVI_{213,\ 225,\ 227}$; $XVII_{229,\ 236,\ 239}$; XXIII_{385}; XXXIV_{573}; XLI_{689}). ისევ არსებობს ჰორიზონტალურყურიანი სადღეგრძელები, რომლებიც პირველად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე შეიქმნა (ტაბ. $XXVI_{435,\ 438}$; XXXIII_{561}; XLII_{703}; XLVI_{783}; XLVII_{792} და სხვა). როგორც შევნიშნეთ ამ ფორმის ჭურჭლები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული ფეოდალიზმის ეპოქის ჩათვლით არსებობს.

ამავე პერიოდისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება ე. წ. სარძევეები სწორი ცილინდრული კორპუსით და ფართო ძირით (ტაბ. XVIII_{263}; XX_{303}; XXVI_{451}; XLII_{704} და სხვა). როგორც უკვე ითქვა, ამგვარი ჭურჭელი პირ-

ველად ჩნდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, მეორე საფეხურზე მხოლოდ მცირედ იცვლება მათი კორპუსის ფორმა, კედლები უფრო ვერტიკალური ხდება, ადრეულ ცალებს, როგორც დავინახეთ, კორპუსი უფრო წელში გამოყვანილი ჰქონდა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ე. წ. პირმოყრილი ჭურჭლები სფერული კორპუსით უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს თუ II ათასწლეულის დასაწყისში ჩნდება ცენტრალური ამიერკავკასიის ძეგლებზე (1, ტაბ. 45_{301}), ფართო გავრცელებას კი დახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან აღწევს. ისინი არსებობენ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისშიც კი, შემდეგ კი საერთოდ ქრებიან. სწორედ ამაზე მიუთითებს აღმოჩენები „ნასადგომარის“ ზედა იარუსების სამარხებში (ტაბ. $XIV_{160, 165}$; XXVII_{461}; $XXXIII_{551, 563}$; XXXIV_{571}, XLI_{687} და სხვ.)

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულამდე არსებობს გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე შექმნილი თიხის ჭურჭლების ყურების ფორმა — მასიური მრგვალი ნახვრეტით, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის კომპლექსებში კი ისინი, როგორც წესი, აღარ გვხვდება.

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება ე. წ. უხეში ჭურჭელი—კოჭბები და ქვაბქოთნები, რომელთა მთელი კორპუსი კონცენტრული ღარებითაა დასერილი, მხარსა და ძირის კიდეს კი ირიბი ნაჭდევები შემოსდევს. ზოგჯერ მხარზე ეს ორნამენტი ამოღარული ტალღურა ხაზითაა შეცვლილი (ტაბ. IX_{24}, XIV_{171}, XVIII_{271}, $XIX_{287, 294, 295, 298}$; $XX_{308, 311, 312}$, $XXII_{363, 364, 367}$ და სხვა მრავალი). როგორც ადრეც შევნიშნეთ, ამ ტიპის ჭურჭელი ცენტრალურ ამიერკავკასიაში ჩნდება უკვე შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს, მაგრამ იგი ძალიან იშვიათია. ასევე იშვიათია მსგავსი ჭურჭელი გარდამავალ პერიოდში და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, მეორე საფეხურიდან იგი საკმაოდ ხშირი ხდება, შემდგომ კი ერთ-ერთ ძირითად ფორმად იქცევა. გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან ჭურჭლებზე სრულიად აღარ გვხვდება ადრეული ცალებისათვის დამახასიათებელი რელიეფური წნული სარტყლები მხარზე და ზოგჯერ მთელ კორპუსზე.

გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე განვითარების წინა პერიოდების მსგავსად თიხის ჭურჭლის პირი, ძირითადად, ისევ ლილვაკისებურია, ეს დეტალი ბრტყელი და ძლიერ გადმოკეცილი ხდება მხოლოდ ძვ. წ. 1 ათასწლეულის დასაწყის საუკუნეებში.

„ნასადგომარის“ სამაროვნის ზედა ორი იარუსის სამარხეული ინვენტარის მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე ჩნდება პირგადაშლილი ლანგრები (ტაბ. XXVI_{439}, XXX_{507}, XXXI_{519}; XXXIII_{555}; $XLII_{700, 705}$; XLVI_{775} და სხვა). როგორც ცნობილია, შუაბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ჩათვლით ცენტრალურ ამიერკავკასიაში გავრცელებულ კომპლექსებს მხოლოდ ღრმა ჯამები ახასიათებს. ამგვარად პირგადაშლილი ლანგრების არსებობა ამა თუ იმ ძეგლის გვიანდელობის მანიშნებელი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში ისინი ძვ. წ. XIII ს. უფრო გვიანდელი კომპლექსების დამახასიათებელი ჩანს.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის ჩნდება წელში გამოყვანილი ცალყურა კათხები (ტაბ. IX_3; XVII_{260}; XVIII_{264}; $XX_{301, 304, 315, 318}$; XXII

$_{365}$; XXVI $_{449}$; XXXIII $_{566}$; XLVI $_{781}$ და სხვა). იორ-ალაზნის ტერიტორიისათვის ამგვარი კათხები დამახასიათებელი ჩანს ძვ. წ. I ათასწლეულის განმავლობაშიც.

როგორც უკვე შევნიშნეთ, „ნასადგომარის“ სამაროვნის ორი ზედა იარუსის კუთვნილი სამარხების უმეტესობა ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა და მათმა ინვენტარმა ჩვენამდე ძლიერ ნაკლული სახით მოაღწია. შესაძლოა ამის გამო ამ სართულების სამარხებიდან ლითონის ინვენტარი მეტად მცირე რაოდენობით გადარჩა, ის კი რამაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სამკაულებითაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, სხვა სამაროვნებიდან მომდინარე სინქრონული მასალებით, სადაც მსგავსი თიხის ჭურჭელი ლითონთანაა აღმოჩენილი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ნასადგომარის სამაროვნის ქვედა, მეორე იარუსის სამარხებს უნდა ახლდეს ე. წ. შედგენილტარიანი ბრინჯაოს იარაღი, მესამე, ზედა იარუსის სამარხებს კი — მთლიანადსხმული ბრინჯაოს იარაღი. ბოლო დროს გამოითქვა შეხედულება, რომ ჩემ მიერ კახურად და ჰერულად წოდებული ბრინჯაოს მახვილები, რომლებსაც ვათარიღებ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დასაწყისით, ძირითადად ძვ. წ. VIII—VII სს. ქრონოლოგიურ ჩარჩოში უნდა ჩაჯდეს (28).

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ჩემი პოზიციის კრიტიკა არ უნდა იყოს მართებული. მინდა მკითხველს შევახსენო, რომ ე. წ. კახური ბრინჯაოს მახვილების პირდაპირი პროტოტიპები იორ-ალაზნის ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობითაა ცნობილი და ამის შესახებ ადრე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება ბრინჯაოს მთლიანადსხმულ იარაღს, რომელსაც მე პირობითად კახურსა და ჰერულს ვუწოდებ, მათი ზედა თარიღი ბოლო აღმოჩენების მიხედვით საგარეჯოში, უეჭველად ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს და ეს ჩვენ თვითონაც გვქონდა აღნიშნული 1979 წლის საველე სამუშაოებისადმი მიძღვნილ სესიაზე გაკეთებულ მოხსენებაში. მაგრამ ამის გამო ამგვარივე ბრინჯაოს მახვილების ერთი ნაწილის ადრეულობაზე ეჭვის შეტანა, ვფიქრობთ, უსაფუძვლოა. საქმე იმაში გახლავთ, რომ მაგალითად ჩალაუბანში კომპლექსში მოპოვებული ერთი ამგვარი (ჰერული) ბრინჯაოს მახვილი და თეთრწყლებსა და ყვარელწყალში აღმოჩენილი, ე. წ. კახური მახვილები აშკარად ძვ. წ. VIII—VII სსზ-ე ადრეულ კერამიკულ მასალასთანაა აღმოჩენილი (6, ტაბ. LXVII$_1$; 29, ტაბ. XV — XXIX; 30, ტაბ. VII — XII). საგარეჯოს მახვილებს კი გვიანდელად იმიტომ ვთვლით, რომ ისინი სულ სხვა ტიპის წითელკეციან ჭურჭელთან, რკინის მახვილთან (ტარზე ბრინჯაოს ნაწილებით), გრავირებულ ბრინჯაოს სარტყელთან, სადამასრიან შუბისპირთან და სხვა გვიან ინვენტართან ერთადაა აღმოჩენილი. ასევე ძალიან გვიანი შეიძლება იყოს ქვემო ქედში ლითონის სახელოსნოზე აღმოჩენილი ბრინჯაოს მახვილებიც (6, ტაბ. X—XX), მაგრამ ამის გამო ყველა ამ ტიპის მახვილის ძვ. წ. VIII—VII სს. ნაკეთობად გამოცხადება, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია.

ამგვარად, ე. წ. კახური და ჰერული დახვეწილი, მაღალგანვითარებული და მოსახერხებელი საბრძოლო იარაღი — ბრინჯაოს მახვილები დასავლურ-ქართული — კოლხური ცულების მსგავსად, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი დროის განმავლობაშია დამახასიათებელი იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე გავრცე-

ლებული მატერიალური კულტურისათვის. თუ „ნასადგომარის“ საძაროვნის ტერიტორიაზე მოპოვებული შემთხვევითი მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, აქ ზედა იარუსის სამარხები კარგად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (ტაბ. LI, LII).

სამაროვნის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული ყველაზე გვიანი ნივთი უნდა იყოს სამფრთიანი ბრინჯაოს ე. წ. „სკვითური“ ისრისპირი (ტაბ. LI 883), მაგრამ ძნელია სამაროვნის სამარხეული კომპლექსებისათვის მისი მიკუთვნება.

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ СЕЛ. ГАДРЕКИЛИ

Р е з ю м е

В монографии дана полная публикация археологического материала, добытого в сел. Гадрекили (Махарадзе) Гурджаанского района Грузинской ССР. Полевые исследования, связанные со строительством Иорской оросительной системы, в 1970 г. проводила Кахетская археологическая экспедиция АН Грузинской ССР. В работе даются публикация и анализ всего материала и предлагаются новые трактовки ряда важных проблем, касающихся материальной культуры Центрального Закавказья второй половины II — первой половины I тыс. до н. э.

Самыми древними являются комплексы, доследованные в русле оросительной системы на южной окраине села. Это два наполовину разрушенных ямных кургана с каменными насыпями. В сохранившихся частях погребальных камер были обнаружены только глиняные сосуды (табл. II).

В связи с новейшими находками обосновывается вывод о том, что в Центральном Закавказье, до памятников переходного этапа (от эпохи средней к эпохе поздней бронзы) существовали комплексы, которые, в свою очередь, судя по триалетским материалам, являлись более поздними, чем выделенная Э. М. Гогадзе третья (последняя) группа памятников эпохи средней бронзы. По нашему мнению, к концу эпохи средней бронзы нужно включить и гадрекильские курганы.

Следует подчеркнуть, что материалы этого времени идентичны по всей Восточной Грузии. Особо важно и то обстоятельство, что абсолютное сходство наблюдается и в вновь найденных материалах середины первой половины II тыс. до н. э. как в Триалети, так и в Кахети и Картли (черноглиняная керамика, глиняные сосуды украшенные красными кругами, нанесенными обжигом, золотые изделия и т. д.).

Констатация этих фактов еще раз подтверждает точку зрения проф. О. М. Джапаридзе, согласно которому т. н. триалетская культура эпохи средней бронзы охватывала всю Восточную Грузию, включая Шида Картли и Кахети.

К следующему, переходному периоду от эпохи средней к эпохе поздней бронзы относится курган, раскопанный юго-западнее сел. Гадрекили, в урочище Брима-цкали. Курган небольшого размера с земляной насыпью и частично сохранившимся каменным панцирем (табл. III). В центре, под насыпью расчищено два ямных погребения, инвентарь которых составляют исключительно глиняные сосуды (табл. IV).

В монографии особое место занимает изучение могильников эпохи поздней бронзы и раннего железа — «Насадгомари» и «Пирда-

пири мицеби». На первом раскопано 105 погребений, на втором — два.

Могильник «Насадгомари» расположен к юго-западу от села и занимает вдоль правого берега оврага «Хвинчиант хеви» площадь приблизительно 700 × 50 метров (табл. VI_1). Здесь погребения расположены в три яруса. В связи с обработкой земли под виноградники, верхний ярус грунтовых погребений почти полностью уничтожен. По той же причине поврежден и второй ярус. Лучше других сохранился нижний, третий ярус могильника. Погребения нижнего яруса представляют собой курганы с земляной насыпью, а погребения двух верхних ярусов — грунтовые могилы.

В раскопанной части могильника «Насадгомари» зафиксировано одиннадцать случаев стратификации погребения; в трех случаях друг на друге лежат три погребения — верхние № 34, среднее № 35, нижние № 38. Сообразно такому же порядку расположены погребения №№ 37, 68, 69 и №№ 56, 58, 64. В восьми случаях погребения расположены в два яруса — погребение № 60 лежало на № 59, погребение над погребениями № 52 и 54; 61 погребение над погребением № 62 (это последнее частично было повреждено погребением № 67), погребение № 32 над погребением № 32а; погребение № 50 на погребении № 49, погребение № 70 над погребнием № 71, погребение № 73 над погребением № 75, а погребение № 77 над погребением № 78. Зачастую стратифицированные погребения сильно повреждены и от их инвентаря сохранились только фрагменты.

На могильнике «Насадгомари» раскопано восемь ямных курганов с земляной насыпью (№№ 38, 42, 57, 65, 66, 71, 82 и 105), остальные 97 — грунтовые погребения, из которых хорошо сохранились только 40. Погребальные ямы четырехугольные — в длину максимально 2 метра, в ширину 1,50 м. Все погребения индивидуальные. Скелеты лежат в центральной части могилы на правом (мужчины), или левом (женщины) боку, со скорченными конечностями, головой ориентированы между севером и западом. У изголовья — глиняные сосуды, рядом с покойником, лежат разные украшения и оружие.

Особо важен анализ погребального инвентаря, найденного в раскопанных погребениях этих могильников. Именно по этим памятникам нам удалось впервые выделить древнейшие комплексы эпохи поздней бронзы.

Здесь сразу же бросается в глаза резкое отличие структуры черепка и техника его обработки глиняных сосудов нижнего и верхних слоев. Для древнейших погребений могильника «Насадгомари» — погребения №№ 1, 6, 8, 10, 11, 26, 38, 42, 46, 66, 101, 102, 104, 105 и для двух погребений могильника «Пирдапири мицеби», характерной продолжает оставаться глиняная посуда с мелкозернистым черепком двуслойного обжига, и примесью мельчайших блестящих частиц. Но в это время уже начинают преобладать сосуды однослойного обжига черного или каштанового цвета. Поверхность большинства этих сосудов чернолощеная. Керамика с примесью песка в тесте окончательно формируется на раннем этапе эпохи поздней бронзы и встречается в большом количестве. С этого времени хорошо спекшийся черепок этих сосудов имеет однослойный обжиг темно-коричневого цвета и шероховатую поверхность.

Существенно то, что в этих комплексах формы сосудов еще часто повторяют абрис более древних прототипов эпохи средней бронзы и

переходного периода. Это в первую очередь валикообразные венчики и конусообразные горлышки сосудов (табл. $XII_{109, 114}$, $XXV_{403, 404, 407}$, XXXIX_{668}, $XLVIII_{812,813,821}$, XLIX_{826} и т. д.); однако в отличие от более древних они становятся низкими. В несколько трансформированном виде древние формы повторяют сосуды на высокой ножке (табл. XII_{110}, XXXIX_{672}, $XLIX_{827, 830}$, $LIV_{871, 876}$, LIII_{859}), глубокие миски с ушком и без него (табл. $XXV_{406, 410, 412, 418}$, XLVIII_{811} и т. д.).

Однако, особое внимание привлекает огромное количество новых форм, которые не встречались на предыдущих ступенях развития материальной культуры. Это безушные маслобойки (табл. XI_{64}, XII_{109}, $XXXIX_{666,670}$, XL_{675}), большие сосуды и горшочки средних размеров с массивными ушками (табл. VIIIz, $XI_{60,62}$, $XII_{112,114}$, $XV_{181,191}$, $XXI_{330,357}$, XXV_{417}, XXXVIII_{650}, $XL_{676,335,841,845}$), молочники с вертикальными и гофрированными стенками, а также приталенные сосуды, с массивными или горизонтальными ручками с круглыми дырочками (табл. VIII_y, XI_{68}, XXI_{336}. XL_{674}). Эта форма сосудов становится особо характерной для следующего этапа развития материальной культуры.

